ქართული გაზეთი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№10 (253)
1-30 ნოემბერი
2016
ფასი 1 ლარი

გამოდის
თვეში ორჯერ

რუსთველი – 850

მურმან თავდიშვილი

ვერსიოლოგია

როგორც იქნა, აღსრულდა!

დიდებული რუსთველის პოემის სრული ტექსტი გამოვიდა!

დღემდე ქართველ კაცს არ მისცემია შესაძლებლობა, საამაყო პოემას სრულად გასცნობოდა. „ვეფხისტყაოსანში“ ჩემ მიერ ჩაბრუნებულ დაახლოებით აკაკის „გამზრდელის“ მოცულობის ტექსტს იგი პირველად წაიკითხავს. მათ შორის ბევრი გენიალური სტროფია, ზოგიც – სიტუაციისათვის აუცილებელი.

მაშ, რას აკეთებდნენ აქამომდე ჩვენი აკადემიკოს–პროფესორები და სხვა სწავლულნი კაცნი? – იკითხავს გაოცებული მკითხველი. პასუხი მარტივია: „ჩხრეკდნენ, იკითხვიდნენ“ ხელნაწერებს, სხვათა გამოცემებს, ადგენდნენ კრიტიკულ და აკადემიურ ტექსტებს, ოღონდ ამას შედეგი არ მოჰყოლია – ვერც ვერაფერი დაადგინეს. რუსთველოლოგიური ტექსტოლოგიის ფიასკო განაპირობა იმთავითვე აღებულმა მცდარმა და უხეირო გეზმა, „ვეფხისტყაოსნის“ სრულიად უმეცარი მკვლევარის ალექსანდრე სარაჯიშვილის მიერ დამკვიდრებულმა, რომლის დევიზიც ასე უკუღმართული იყო: სჯობს არ გაგვეპაროს არცერთი ინტერპოლაცია, თუნდაც ამას ორი–სამი ნამდვილი სტროფი ემსხვერპლოსო.

ამ მკვლევარებმა იბრძოლეს, იზრუნეს და ვრცელი პოემა–ეპოპეა, ლექსად დაწერილი რომანი, ისე ამოკლეს, კრიჭეს და „ხვეწეს“, ხევსურულ ბალადას დაამსგავსეს.

რუსთველოლოგიური ტექსტოლოგიის კრახის სათავე ისტორიულ წარსულშია საძიებელი. სხვაზე უწინარეს ჩვენს მშობლიურ ეპოსს ავად შეეხო პოემის პირველი ბეჭდური გამოცემის მესვეური. კეთილ საქმეს მან ცუდიც ზედ მიადევნა – ინტერპოლაციებით დაშინებულმა ნაბანი წყალი გადააქცია და ბავშვიც თან გადააყოლა; ქმნილების ორგანული ნაწილი, ინდოეთის ამბის დასკვნითი ტექსტი, მთელი სამი თავი, განზე მოისროლა. ვახტანგ მეექვსე უკეთეს საქმეს გააკეთებდა, თუ ტექსტოლოგობაზე (რაც ნამდვილად არ იყო მისი საქმე) უარს იტყოდა, არ დაიწყებდა ნამდვილი ტექსტის დადგენას და რომელიმე ერთ ხელნაწერს გამოაქვეყნებდა. პირველ გამოცემას, ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, სხვა ხარვეზებიც აქვს: ბევრი შიდა სტროფია უარგუმენტოდ იგნორირებული. რუსთველოლოგიური ტექსტოლოგიის თვალსაზრისით, მართლდება ვახტანგის შვილის ბაქარის სიტყვები საკუთარ მამაზე: „რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე“.

ვახტანგისეულმა გამოცემამ (1712) „დანაელთა საჩუქრის“ როლი შეასრულა ჩვენს მეცნიერებაში. მომდევნო ხანის ტექსტოლოგები, ვახტანგ ბაგრატიონის ავტორიტეტით ზურგგამაგრებულნი, ნაკლოვან და ხარვეზიან პირველ გამოცემას კერპად იხდიდნენ და მისგან გადახვევას ვერ ბედავდნენ, ხოლო ზოგი უფრო შორსაც კი წავიდა და გენიალური პროლოგის 32 სტროფიდან საკუთარი რედაქციით გამოცემულ ტექსტში მხოლოდ სამად სამი სტროფი შეიტანა. ამგვარ მკრეხელობასა და გენიალური პოეტური აბზაცების ხელყოფას ვერავინ გაბედავდა, მათ რომ არ წაეკითხათ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მოსაზრება: „ვეფხისტყაოსანი“ არცთუ ისე ძლიერი მხატვრული ნაწარმოებია; მისი მსგავსი და უკეთესებიც კი აღორძინების მწერლობაში ბევრი გვაქვსო (1924 წელი). პროფესორი აქ გულისხმობდა დავით გურამიშვილსა და სხვებს.

ასე შეაფასა ჩვენი ეროვნული ეპოსი აკადემიკოსმა.

ახლა ვნახოთ, როგორ აფასებს მას საქართველოს მეორე პოეტი გურამიშვილი: ბრძენი რუსთველის პოემა მარგალიტია, ხოლო ჩემი ლექსი მასთან შედარებით არისო ჩალის ძირი:

„მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს – ჩალის ძირსა“.

როგორცა ვხედავთ, პოეტის შეფასება უფრო სწორი გამოდგა.

პოემის „დახვეწასა“ და შემოკლებაში თავი გამოიჩინა აკაკი შანიძემაც. ვახტანგის გამოცემის აღმომჩენმა მართლაც კერპად გაიხადა ეს ტექსტი და სრულიად უარგუმენტოდ განაცხადა: ძალიან ადვილად დამტკიცდება, რომ „ინდო–ხატაელთა ამბავი“ რუსთველის არ არისო; გარდა ამისა, ბატონმა აკაკიმ (ენათმეცნიერმა) ბევრი რითმა, სტროფი და სიტყვა ჩაუსწორა რუსთველს (პოეტს) გრამატიკულად, რითაც პოეზია დაუმახინჯა. ამასთანავე, ათობით კონიექტურა გამოიყენა, რაც ყოვლად დაუშვებელია. აკაკი შანიძეს ეს მაშინაც არ ეპატიებოდა, აკაკი წერეთელიც რომ ყოფილიყო.

პოემის შეკუმშვა–დაპატარავებაში საკმაოდ გაიწაფნენ მომდევნო თაობის მკვლევარები. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ალექსანდრე სარაჯიშვილის სულიერი მემკვიდრე ალექსი ჭინჭარაული.

ერთი სიტყვით, დიდ ავტორიტეტს ამოფარებული რუსთველოლოგთა თაობები ვერ გათავისუფლდნენ პოეტი–მეფის ზეგავლენისაგან და ამიტომაცაა, ქართველ ხალხს დაუმალეს ვეფხისტყაოსნის სრული და მთლიანი ტექსტი.

რუსთველოლოგიური ტექსტოლოგია აშკარად ასცდა სწორ გზას. მას გვერდზე უნდა გადაედო გვირგვინოსნის ტექსტოლოგიური ხელგარჯილობა და ტექსტი უნდა დაედგინა ვახტანგამდელი ხელნაწერების შეჯერების გზით, რამეთუ ვახტანგისეული კომპილაციური გამოცემა ამ საქმეში ვერავითარ დახმარებას ვერ გაგვიწევს. პირიქით, როგორც ითქვა, „დანაელთა საჩუქრის“ როლს დღესაც წარმატებით ასრულებს. ამისი მკაფიო საბუთია ქართული მწერლობის მე–4 ტომი, რომელშიც წარმოდგენილია კუდმოკვეცილი პოემა. აქ ბოლო ამბავი ჩამოკვეცილია. ესე იგი, შუა გზაზეა მიტოვებული ცენტრალური გმირები – ტარიელი და ნესტანი. რა ქნეს მათ: მიაღწიეს თუ არა საწადელს, იქორწინეს ინდოეთში თუ არა, ეღირსათ იქ მეფობა თუ არ ეღირსათ; ბოლოს და ბოლოს, როგორ გადაწყდა ის სამემკვიდრეო პრობლემა, რის გამოც მთელი ეს დავიდარაბა გაიმართა; აღსრულდა თუ არა ქალიშვილის ოცნება, ტარიელს რომ გაუმჟღავნა: „მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე–სძლობასა!“

არცერთი ეს საკითხი ამ გამოცემის მესვეურებს არ აღელვებთ, არ აწუხებთ. სამაგიეროდ, მოსდით ყმაწვილური შეცდომა: მათ მიერვე იგნორირებული ბოლო ნაწილიდან მაინც იმარჯვებენ ზოგიერთ სტროფს. რა უფლების ძალით? თუ „ინდო–ხატაელთა ამბავი“ არაა რუსთველის ნაკალმარი, ამავე მონაკვეთის ორგანულ სტროფებს რა ნამუსითა და სინდისით იყენებენ?

სწორედ ამათზეა ნათქვამი: „ამფერ, ჩემო მანასეო, ხან – ისე და ხან – ასეო!“

გარდა აღნიშნულისა (და არაერთი რამისა, რასაც აქ ვერ ვიტყვი), უნდა ითქვას შემდეგი: პოემის ამ ბოლო, დამაგვირგვინებელ, ნაწილში ავტორს მოუმარჯვებია ბევრი ისეთი მეტაფორა, აფორიზმი და სხვა მხატვრული ფიგურა, რომლებიც ნებისმიერი მსოფლიო დონის სიტყვის ოსტატის შემოქმედებას დაამშვენებდა. შეიძლება ითქვას უფრო კონკრეტულადაც: აქ მომარჯვებული ზოგი მხატვრული ფიგურა განუწყვეტლივ აგონდებოდათ და ახსოვდათ ჩვენს კლასიკოსებს: ილიას, აკაკის, ვაჟა–ფშაველას, გალაკტიონს, მიხეილ ჯავახიშვილს. ზოგიერთი მათგანი მაინც შევიხსენოთ:

მას ესვა ქალი მნათობი, მზისაცა უფრო მზიანი,
კბილ-მარგალიტი, ტან–ალვა, ღაწვ–ბალახშ,
ყორან–თმიანი;
ნარგისთაგან ნაწვიმარი ღვარი ადგა, თოვლი გადნა;
იგი ქედი ჩაიქროლეს, ბუქისაგან უფრო ბუქდა;
შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნიღა
დაღრეჯანია;
ხრმალი ჩემი მოლესული შენს ტანზედა დავაბლაგო;
მე ჩაბალახად გახმარნე, რაცა გიმუზარადიან!
ღმერთი ალხენს მონანულთა, არ შეუნდობს კაცი
ვინა?
წაღმავე წაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუ
ნაცარსა;
ტარიას ხრმალნი ვერ გაძღეს, ჯერთ ხორცი
მოიმშიერეს;
ინდოეთს ზეცით სინათლე ჩადგა, მართ ვითა
სვეტია;
სრულად ნათლითა აევსო ზღუდე და ბანის–ბანია;
გიშრისა ტევრსა მოჰფოცხდა ბროლისა
საფოცხელია;

ქალმან დედასა შესტირნა: „ჰა–ჰა, მე რა ვქნა, დედაო?!

წითელ–ყვითლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა გხედაო,
მამამან ტახტი დაცალა, არღარსადა ზის ზედაო;“

▶ 2 ᲒᲒ.

▶ 1 ბბ.

დედამან ცრემლნი მოსწურნა: „ნუ სტირ, დადუმდი,
ბედ–აო“.
– იცინოდით და იმღერდით, ნუ ცრემლი
აწანწკარითო!

აღნიშნული ფრაზები და სტროფები უმაღლესი პოეტური ოსტატობის მაცნეა. ისინი, მხატვრული თვალსაზრისით, კონკურენციას გაუწევენ პოემის შიგნიტექსტის ნებისმიერ უმაღლეს მხატვრულ ადგილს, ხოლო ზოგი ისე ძლიერია, კიდევაც აღემატება შიგნიტექსტის უმძლავრეს მხატვრულ ფიგურებს. ასეთად მიმაჩნია ლამის ხალხურ ანდაზად გადაქცეული გამოთქმა: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდნიღა დაღრეჯანია“. ილია ჭავჭავაძეს არ უმტყუნა გუმანმა, როდესაც ეს ფრაზა რუსთველისეულად უყოყმანოდ აღიარა.

ჩემი გემოვნების თვალსაზიერიდან ასე ჩანს: ზოგიერთი აქ მოყვანილი მხატვრული ყალიბი იმგვარი გენიალური თქმაა, რომ ბევრი ცნობილი მწერლის მთელ შემოქმედებაზე მეტადაც კი ფასობს. ასეთია, მაგალითად, ზემოთ მოყვანილი კლასიკური აფორიზმი; ასევე მეტად თამამი სკაბრეზული შინაარსის, ოღონდ გამაოგნებელი მხატვრული ძალის შემცველი ტაეპები:

პირბოზო, ჩემი მორევნა რა დიდად დაგიქადიან,
მე ჩაბალახად გახმარნე, რაცა გიმუზარადიან!

ჩვენს ზოგ აკადემიკოსს გემოვნება ნამდვილად ღალატობს და იძულებული ვხვდები, დაწვრილებით ავუხსნა, განვუმარტო, დავუწიგნო: ქვემოთ მოყვანილ ნიმუშში გვეძლევა კონგენიალური მეტაფორა. აქვე მივუთითებ: მეტაფორა არის მხატვრული გამოსახვის უმაღლესი და უძვირფასესი ფორმა; იგი ახდენს აზრის სასწაულებრივ კონდენსირებას. პოემის საერთო მეტაფორულობა არის ნათელი პასუხი პროლოგში დასმული პრობლემისა – „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“. სწორედ მეტაფორა გახლავთ გრძელი სიტყვის შემოკლების უნიკალური (ძნელად დასაურვებელი და ამადაც ძვირად ღირებული) საშუალება. აი, ეს შეპირებული მხატვრული სასწაულიც:

ნარგისთაგან ნაწვიმარი ღვარი ადგა, თოვლი გადნა.

განმარტება: გმირმა ფარსადან მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო: ცხარედ ატირდა. ნარგიზებიდან (თვალთაგან) ნაწვიმარმა ცრემლმა სახეზე ღვარი ააყენა, სახის თეთრი და სპეტაკი „თოვლი“ გაადნო.

აქ არა მარტო ღრმა გააზრება გვეძლევა, არამედ უმაღლესი ესთეტიკაც. რუსთველისეული ალიტერაციის მუსიკა ჟღერს ტაეპში:

იგი ქედი ჩაიქროლეს, ბუქისაგან უფრო ბუქდა.

აქ ცენტრალური ცნებაა „ჩაიქროლეს“. სიტყვის მთავარი ფონემაა „ქ“. რუსთველი ოთხჯერ ახმიანებს ამ ბგერას, ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „გ“ ბგერაც იმავე კლასისაა, რაც „ქ“ (ქართული ტრიადაა გ – ქ – კ), მაშინ ტაეპში ერთნაირი ფონემა ისმის ექვსჯერ!

არ შემიძლია, ორიოდე სიტყვა არა ვთქვა პოემის ამ ნაწილის კიდევ ერთ კონგენიალურ მეტაფორაზე, რომელიც მარტო აღებულიც კი ერთ პოემადა ღირს:

გიშრისა ტევრსა მოჰფოცხდა ბროლისა საფოცხელია.

ტარიელმა გამზრდელი მეფის ფარსადანის სიკვდილის ამბავი მოულოდნელად შეიტყო. მან სიმწრისაგან დაიგლიჯა თმა და წვერი. „გიშრის ტევრი“ მისი შავი თმა–წვერია, ხოლო „ბროლის საფოცხელი“, ანუ ფოცხი, – ხელის თითები.

ამ ტაეპის შემცველ სტროფში რითმაც წმინდად რუსთველურია. ჩვენი მგოსანი ლამობს, ყოველი სტროფის ბოლოში, სარითმო სიტყვაში, მოაქციოს სტროფის ცენტრალური ცნება და იგი ამ ხერხით დაგვამახსოვროს. თინათინი რომ ავთანდილს ფიცს აძლევს, იქ მთავარი ცნებაა „ქმარი“. ამიტომაც სტროფის ოთხივე ტაეპის ბოლოში რითმად მეორდება სიტყვა ქმარი; ასე ხდება არაერთგან. იგივე ხერხია მომარჯვებული ამ შემთხვევაშიც. ავი ამბის გაგებისას ტარიელს ცხელი დღე დაუდგა. მას მდუღარე, ცხელი ცრემლები სდის, ამიტომაც სარითმო კლაუზულად ოთხგზის მეორდება ცნება ცხელია.

აქ გავიმეორებ ვაჟა–ფშაველას დაბეჯითებით ნათქვამს: ასე მხოლოდ რუსთველს შეუძლია თქვას, სხვას – არავის!

აი, როგორ სტროფებს, ტაეპებს, ფიგურებს, ერთად შეზავებულ სიბრძნესა და ოსტატობას ებრძვიან ის უგემოვნო ტექსტოლოგები, რომელთა მთელ ნააზრევსა და შემოქმედებასაც კი არ აქვს აქ განხილული თუნდაც ერთი აფორიზმის ან მეტაფორმის წონა და ღირებულება!

მთელი ჩემი ცხოვრება ამ უმსგავსობის წინააღმდეგ ვიბრძოდი, რადგან წინ დროშად მიმიძღოდა უკვდავი სიტყვები: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. ამ „გრძელად“ მთხრობელთა შორის რუსთველი ისედაც მოკრძალებულად გამოიყურება. სპარსელი გენიოსის ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ დაახლოებით ათჯერ, ხოლო ნიზამის „ხამსე“ ხუთჯერ გრძელია „ვეფხისტყაოსანზე“, ხოლო ჩვენმა ნაფიცმა რუსთველოლოგებმა ეს შედარებით მოკლე ტექსტიც აღარ შეარჩინეს მგოსანს.

ქმნილების ორგანულ ბოლო სამ თავზე, ე. წ. „ინდო–ხატაელთა ამბავზე“, ზემოთ ვისაუბრეთ. აქ ახლა შიდა ხარვეზებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ყველა მაგალითს ვერ გამოვეკიდები, ოღონდ სანიმუშოდ და თვალსასაეიროდ რამდენიმე ადგილს განვიხილავ.

ნაფიც რუსთველოლოგთა მიერ დადგენილ ტექსტებში გვაქვს ამგვარი უცნაური სურათი: უზენაესი ხელმწიფის როსტევანის წინაშე მდგარი მონა–ქვეშევრდომი ისე მიდის „უცხო“ და უცნაური მოყმის მოსაწვევად, არც პატრონის ბრძანებას ელოდება და, რაც მთავარია, არც კი იცის, რა სწადია მას. ყურადღებით გავსინჯოთ ერთმანეთს მიდევნებული ორი სტროფის აშკარა ულოგიკობა!

მას ტანსა კაბა ემოსა, გარეთმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა;
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა.

წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდუღარისად.

I სტროფის ბოლო ტაეპი გვეუბნება: როსტევანს გულში ჩაუვარდა სურვილი უცნაური მოყმის ნახვისა, ოღონდ ეგ წადილი მას არავისთვის შეუტყობინებია, ეგ წადილი არავინ იცის, მბრძანებელს ჯერ არავისთვის არაფერი უთქვამს, არანაირი დავალება არ მიუცია. მაშ, რა უფლების ძალით მიდის ვიღაც „მონა“ საკვირველი რაინდის მოსაწვევად?! რა იცის, მეფეს რა სწადია? მეორეც, რატომ მხოლოდ ერთი კაცი მიდის და არა ორი–სამი? მაგრამ საქმეც ისაა, რომ აქ უბრძანებოდ არაფერი მოხდება და თანაც ხელმწიფემ კონკრეტულად ერთ მონას დაავალა ეგ საქმე. აი, სწორედ ეგ დავალების მიცემა, ანუ „ბრძანების კანონზომიერება“, აკლია აქ და ასეთი ბრძანების გამომხატველი სტროფი ხელნაწერებში არსებობს. აი, ისიც:

მეფემან ბრძანა: „ვინ არის უცხო პირად და
ტანადო?“
უბრძანა ერთსა მონასა: „წადი ფიცხლად და
ჯანადო!“
„გიბრძანებს“, – უთხარ, – ვერ გიცნობ ჩემთა
ლაშქართა თანადო,
ვინცა ხარ, მოდი წინაშე, შენ ჩვენგან მონაყვანადო!“

აი, სწორედ ამ ბრძანების მიღების შემდეგ წავიდა მონა უცხოს მოსაპატიჟებლად. თანაც დააკვირდით, ხელმწიფემ სწორედ რომ ერთ მონას მისცა ეგ დავალება: „უბრძანა ერთსა მონასა“ და ამიტომაც არის, რომ მომდევნო სტროფი ასე იწყება: „წავიდა მონა საუბრად“, აი, თუ რატომ არის, რომ მხოლოდ ერთი კაცი მიდის დავალების ასასრულებლად და არა სამი–ოთხი.

ჩემ მიერ მიგნებული ე. წ. „ბრძანების კანონზომიერება“ ნაბეჭდი ტექსტის კიდევ ერთ ხარვეზს გვითვალსაჩინოებს. პოემის ბოლოსაც არის ერთი ასეთი უცნაური სურათი: ორი უზენაესი ხელმწიფის (როსტევანი და ტარიელი) წინაშე დგას პატარა კუნძულის პატრონი ფრიდონი. ფაქტობრივად იგი როსტევან–ტარიელის უმორჩილესი მონაა. ტარიელი და როსტევანი შეთანხმდნენ, რომ თინათინი ავთანდილს ცოლად გაჰყვება. ამ ამბის დადებითად გადაწყვეტით სამივე გახარებულია. და უცებ ფრიდონი უბრძანებოდ ტოვებს უზენაეს პატრონებს და ავთანდილის მოსაყვანად მიდის.

რა უფლების ძალით?

„ბრძანების კანონზომიერების“ მიხედვით, ეს მისთვის ვინმეს (უზენაესთაგანს) უნდა დაევალებინა ანდა თვითონ გამოეთხოვა წასვლის ნებართვა. აქ კი ასე არ ხდება. ეს კი გვაფიქრებინებს: ხომ არ აკლია ამ ადგილას ე. წ. „ბრძანების კანონზომიერების“ გამომხატველი სტროფი? და გუმანი „არ ცუდად წაგვიხდეების“. არსებობს ჩვენი კანონზომიერების აღმდგენელი სტროფიც.

ჯერ აკადემიური გამოცემის ტექსტთა „უცნაური ბმა“ ვიხილოთ:

რა ტარიელ მეფისაგან ესე სიტყვა მოისმინა,
დადრკა, მდაბლად ეთაყვანა, პირსა ზედან დაეფინა.
კვლა როსტენცა თაყვანისა–სცა, წარემოვლო, წადგა წინა,
ერთმანეთი მოიმადლეს, მათ ერთსაცა არ ეწყინა.
ფრიდონ შეჯდა, ავთანდილის მახარებლად გაექანა.

ამ ტაეპით დაწყებულ სტროფს წინ უძღვის ჩემ მიერ მიგნებული და სხვათა მიერ ნაგავში გადასროლილი მარგალიტი – შესანიშნავი სტროფი, რომელშიც აღდგება ე. წ. „ბრძანების ეტიკეტი“:

ტარიელ ფრიდონ გაგზავნა მის ყმისა
მოსაყვანელად:
შესთვალა: „მოდი, გიბრძანებს იგი, შენ
ვისთვის სჩანს ელად;
ჭირნი გარდაგხდეს, მოგაკლდა ცრემლი ღაწვისა
მბანელად,
ნუღარ ეშიშვი სახმილსა, შენი დამწველი–ა ნელად“.

სწორედ ამის შემდეგ უნდა წავიდეს სტროფი:

ფრიდონ შეჯდა, ავთანდილის მახარობლად
გაექანა...
კიდევ ერთი ფრიად და ფრიად მეტყველი
მაგალითიც.

დავარმა „დამნაშავე“ ნესტანი დასაჯა, გალახა, მერე მოვიდნენ მონაზანგები და ნესტანი ზღვისაკენ კიდობნით გააცურეს. და ყოველივე ეს გააკეთეს პატრონის ბრძანების თვინიერ, რაც ე. წ. „ბრძანების კანონზომიერების“ მიხედვით, შეუძლებელია. მათ აუცილებლად უნდა მიეღოთ პატრონის მითითება, ბრძანება.

აქვე ასევე დგება კითხვა: რატომ მაინცდამაინც ზღვა–ზღვა გადაკარგეს დასჯილი და არა ხმელეთზე?

ამის პასუხს მოგვცემს ჩემ მიერ აღდგენილი სტროფი, რომელიც ასევე შეიცავს პატრონის მითითებას მონებისადმი, რომ ტუსაღი ზღვის შუაგულში გადაკარგონ.

უბრძანა: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა
ჭიპია,
წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერც ლიპია“
მათ გაეხარნეს, შეხლტუნვით იყივლეს: „იპი, იპია!“
ესე ვნახე და არ მოვკვე, არა მგავს არცა სიპია.

მაშასადამე, ეს შესანიშნავი პოეტური ამზაცი, ჩემი კანონზომიერების თანახმად, რუსთველისაა და მონაკვეთს მწყობრ ხასიათს ანიჭებს.

მკითხველს საგანგებოდ ვაფრთხილებთ: ნუ გეგონებათ, თითქოსდა ჩემ მიერ აღდგენილი სტროფები მხოლოდ რამდენიმე ან ერთ რომელიმე უმნიშვნელო ნუსხაში მოიპოვებოდეს. არა, ბატონებო, ისინი თავიანთ ადგილს იკავებენ მეტად მნიშვნელოვან ხელნაწერებში (S-4499; H-5005; H-757; H-54 და სხვებში).

ჩემ მიერ ტექსტში აღმოჩენილი სხვა არაერთი კანონი და კანონზომიერება მკაფიოდ უჩვენებს ნაბეჭდ ტექსტებში არსებულ ხარვეზებს და საშუალებას გვაძლევს, ეს ნაკლოვანებები აღმოვფხვრათ.

ნაბეჭდ ტექსტებში არსებული სტროფული ნაკლოვანებების, პოემის დაბოლოების პრობლემის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ ჭეშმარიტი მწერლები, ეპიკური ჟანრის დიდოსტატები: ვაჟა–ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე ჭიჭინაძე, აკაკი გაწერელია... მათ იმთავითვე იგუმანეს, რომ „ნაფიცი რუსთველოლოგები“ საქმეს ცერად წაიყვანდნენ და ძალად მაცხონე ტექსტოლოგებს ცხარედ შეუტიეს. ამათ კვალზე მდგარმა უბადლო ნოველისტმა პროფესორმა რევაზ მიშველაძემ ეფექტიანად გამოიყენა მისი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალი „კრიტიკა“ და „მარგალიტის“ დასაცავად თანამედროვე გამყალბებლების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღა. მწერლის ეს თავგამოდება შეუნიშნავი არ დარჩენია გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას, რომელმაც თავის დროზე ასეთი მეგობრული შარჟი გამოაქვეყნა: გაქვავებულ რუსთველოლოგიურ ბასტიონს სპილენძის მძიმე ეროს უშენს ოფლში გახვითქული რევაზ მიშველაძე, ეროს კი აწერია – მურმან თავდიშვილი.

მას უკან ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ არც ჩვენ გავჩერებულვართ: დავბეჭდეთ 530 გვერდიანი მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, აგრეთვე 250 გვერდიანი წიგნი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“ (ორივეს რედაქტორია რ. მიშველაძე); გამოვეცით არაერთი სტატია და ნარკვევი; კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებდით ცრურუსთველოლოგთა გამოსვლებს და სხვ. განსაკუთრებით მწვავედ და სატევარივით შემართული ვებრძოდით ცრუტექსტოლოგებს, რომელთაც ჯეროვნად პოემის ტექსტიც კი არ იცოდნენ. ვფიქრობთ, დღევანდელი დღე ადასტურებს, რომ ამ ომში გამარჯვებული გამოვედით და, მგონია, მეცა მაქვს უფლება, რუსთველის „შემჭმელ“ ტექსტოლოგებზე გამარჯვება ვიზეიმო, ხოლო რუსთველს – ჩვენი სულის მარადიულ დონორს – კონსტანტინე ჭიჭინაძისდარად მივმართო:

იყო ჭიდილი, იყო სიავე,
ვამაყობ ახლა ბრძოლის მოგებით;
ბზესავით ქარში გავანიავე
შენი შემჭმელი ტექსტოლოგები!

დიახ, ჩვენი ამ ბრძოლის ერთგვარი დაგვირგვინებაა წინამდებარე საეტაპო გამოცემა, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მისი ხელმძღვანელის, პირადად რექტორ არჩილ ფრანგიშვილის ინიციატივით განხორციელდა. ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი ძალისხმევა გამოიჩინა სტუ სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფესორმა იგორ კვესელავამ. ამ ფაქტით რუსთველის საერთაშორისო წელს მგოსნის მიმართ შერცხვენილ საქართველოს პირიც მოვბანეთ.

იმედია, აღნიშნულ გამოცემაზე მომავალი თავის სიტყვას იტყვის. მე კი ამ წერილს ასე დავამთავრებ: – ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?

რევაზ სტურუა

6+1

რიცხვთა სიმრავლე
მაშინაა
საინტერესო,
თუ იგი ზუსტი,
მიმდევრულია
და უწყვეტია...

თუ ის დაცემა _
წამოდგომის
ჯამს გამოსახავს...
თუ წამოდგომა
დაცემაზე
ერთით მეტია.

ადამიანო
ადამიანო, ერთხელ მაინც
თუ გიფიქრია,
რომ შემოხედვას
მადლიან მზის
გაურბის რაც კი,

რომ უკეთური, თითეული
ნაბიჯი შენი,
ზოგჯერ რომ სინდისს
ძილს დაუფრთხობს
და ზოგჯერ არც კი,
როგორც ტკივილი,
როგორც როკვა
დაჭრილი სულის,
როგორც დაჟანგულ,
დაბლაგულ ხმლის
ნაჭდევი ფარზე.
აღიბეჭდება შოლტით ნაგვემ
სისხლის ზოლებად,
მამას მინდობილ,
ჯვარზე გაკრულ
მაცხოვრის ტანზე.

ოქროს უთქვამს

ოქროს უთქვამს,
დამაფასე,
ვერცხლისაკენ
ნუ გამწევო,
თუ დამჭრი და
გადამადნობ,
მონეტებად
ნუ მაქცევო.

უთვალავი
საუკუნე
ჩემს ქებაში
გავიდაო,
სამათხოვრო
წვრილ-წვრილ ხურდად
გადავიქცე
არ მინდაო.

დავიღალე,
აღარა მსურს
სხვისი ცოდვა
ვეზიდოო,
მირჩევნია
ლამაზ ქალის
ბროლის ყელზე
ვეკიდოო.

ტახტზე

გონება თუ აღმასვლაში
ნებისყოფას იმაღლებს,
და თუ ასე ძალისხმევით
აღწევს ტახტის სიმაღლეს.

იგი თავს იქ მეუფედ გრძნობს
შესაბამად ჟამისა,
იხვეჭს სიმწრით მონაპოვარს
საამებლად თავისა.

სული ... სული ... სხვა რამეა,
ტახტზე ხელს მას ვინ ახლებს,
მაგრამ დიდხანს იქ ვერ რჩება,
ვეღარ უძლებს სიმაღლეს.

გაზაფხულის მოლოდინში

დეკემბრის სუსხებს
გაუძლო ხურმამ,
დათბა და აწი
აღარ გახმება.
ცოტა ხანიც და
კუდის ქიცინით
თებერვალი მარტს
მიეხლება.
მზე გაუღიმებს
შიშველ ტოტებზე
მიჯრით შემომჯდარ
შავ-თეთრ ნარჩიტებს
და ყოჩივარდა
თოვლის საბნიდან
იისფერ თვალებს
გამოაჭყიტებს.

სინანულისკენ
აისის სხივებს
ვხვდები მონობით,
დაცლილ ვნებით და
დაღლილ გონებით.
ცის სილურჯეში
ფერკმრთალდებიან
ისედაც მორცხვი
საფირონები.

მხრებზე შემოსმულ
მოგონებებით
ჭიქით ხელში და
მკერდზე ტიტებით,
მიმიძღვებიან
სინანულისკენ
დღეები-თეთრი
მარგალიტები.

•••

ომში წასულო ვაჟკაცო
გფარავს მაღალი ღმერთიო,
თუმცა ამ ომში შენ მისთვის
არა ხარ ერთად ერთიო.

ომიდან დაბრუნებული
მაშინ მაგონებ ლომსაო,
ჯერ დედას რომ ჩაეხვევი,
მერე შვილსა და ცოლსაო.

მაშინ ვკვდებით

მაშინ ვკვდებით,
როცა კვიცი
აღარ დახტის
მამის კვალზე;
როცა შვილი
უარს ამბობს
გარდაცვლილი
მამის ვალზე;
როცა შვილთა
ჭკუა-გონი
მამა-პაპის
სულს ვერ წვდება,
იქ იჩოქებს
ღირსება და
საქართველოც
მაშინ კვდება.

შეხვედრა

ო... რა დრო გასულა,
მაგ დაღლილ სახეზე
თითქოს ნაცრისფერი
გამხდარა ხალები...
...ჰო, არა მიშავსო _
ღიმით მიპასუხე,
ოდნავ მომარიდე
ჩამქრალი თვალები.

ფიქრები ამეწვა

და ასე მეგონა
მაგ ბავშურ ტყუილში
თითქოს ხელს გიშლიდი,
ვიდექით ასე და
დროს ვეღარ ვამჩნევდით,
რომ მიაბიჯებდა
ნაცრისფერ სიმშვიდით.

გააჩნია როგორ შეხედავ

ახლა, ამ ბოლოს
უფრო ხშირად
მეკითხებიან:
ამ უღმერთობას,
ამდენ ცოდვილს
რა ეშველება,
ადამიანის
სიცოცხლის დრო
ამ ქვეყანაზე
საკმარისია,
მოკლეა თუ ...
გრძლად მეჩვენება.
მე კი ვპასუხობ:
გააჩნია
როგორ შეხედავ,
დასაგროვებლად
ცოდვებისთვის
ალბათ გრძელია
მაგრამ მოასწრო,
ის ცოდვები
მოინანიო,
ერთ ცხოვრებაში
დამერწუნეთ,
მეტად ძნელია.

სურნელის ტკივილი

ვარდების სურნელსაც
სცოდნია ტკივილი
ტკივილი, რომელიც
ფეთქავს,
არ ყუჩდება,
როდესაც ლილიებს
ცრუ ამპარტავნობით
ნერვები ეშლებათ,
ეჭვები
უჩნდებათ.

ო..., კიდევ რამდენი
ვინმეა მოშურნე,
კბილებს რომ გიჩენს და
გული კი
უკვდება
და მაინც ვარდია
იგი ერთადერთი,
სურნელის ტკივილით
ამ ბაღს რომ
უხდება.

პირველი შეხვედრა „ხევისბერ გოჩასთან“

ბათუმი... თეატრი...
უტყვი მოკრძალება...
რამპები აფრქვევენ
ნაპერწკლებს ნისლებად,
მეხუთე კლასელი,
მეოთხე რიგიდან
იმ სცენის ტკივილის
ვნებებით ივსება.

და როცა გამჭოლად
დამძიმდა სხეული,
ხელოვნის სურვილებს
სულიც რომ ემონა,
მშობელი მამისგან
უნდობი მახვილი
ონისეს კი არა
მას მოხვდა ეგონა...
...მას შემდეგ, ვეღარ ვთვლი,
დიდი დრო გასულა,
იმ სცენას დღესაც ჰყავს
მომსვლელი, წამსვლელი,
მაგრამ, იმ ჭრილობას
ვერაფრით იშუშებს
ის ბიჭი პატარა,
მეხუთე კლასელი.

დამიჯერე
გული როცა
გარეთ გიწევს,
სახლში თუ კი
ვერ ჩერდები,
ერთი მაინც
დამიჯერე,
გზის პირას ნუ
გაჩერდები.

ავი ენა
რას არ იტყვის,
ათას ჭორებს
აგორებენ,
რადგან გზაზე
ლამაზ ყვავილს
მოუწყვეტავს
არ ტოვებენ.

სიზმარი

წუხელ ბალღივით მეძინა,
ტკბილი სიზმარი ვნახეო,
შორს, გზის ბოლოში ვიდექი,
ბავშვობა დავინახეო.

სულს ცოდვა არ ამძიმებდა
გულს კიდევ – მძიმე ხინჯები,
ფეხბურთის ბურთის
მაგივრად
მზეს ვაგორებდით ბიჭები.

გამომეღვიძა, დამთავრდა
მოკლე ღიმილი ბედისა,
სიზმრიდან აღარ წამოვალ
ერთხელ კიდევ თუ მეღირსა.

ახლა, აქედან კარგად ჩანს
იმ დღიდან რა სიშორეა...
მზე, ჩვენს მინდორზე
რომ იყო,
ახლა რამდენად შორია...

მე წავალ აწი

მე წავალ აწი...
რომ სტუმრობა
სიყვარულში
არ გამეწელოს...
შენთან კარგია,
მაგრამ, მაინც...
დაშორება
რომ არ მეძნელოს.
ცრემლი რომ დამცდეს
მეშინია
და ამიტომაც
აღარ დავთვრები
და დავბრუნდები
როცა, სადაც
შენ მომიხმობ,
მოგენატრები.

რას არ გაიგებ.....
ამ ქვეყანაზე
რას არ გაიგებ,
რა აღარ თქმულა,
რა აღარ ხდება,
მამრი ფუტკარი,
როგორც კი სატრფოს
მოისურვილებს,
მაშინვე კვდება.

ნეტავი ჩვენში
თუ დარჩა ვინმე,
ვნების ბილიკზე
ამ გზით იაროს
და საოცნებო
სიყვარულისთვის
ფუტკრის ეს ბედი
გაიზიაროს...

დარდი

ცოდვით დახუნძლული
ღამე მიილია,
დილას მოეხვია
ყელზე ათინათი.
მთვარემ ვარსკვლავები
ციდან აახვია
ვარდებს შემოადნათ
ტანზე ნამის კვართი.

ჩიტის პირველ სტვენას,
ოდნავ მოკრძალებულს,
აჰყვა მგალობელთა
მთელი მამითადი...
ერთხელც ვერ ვიხილო
მე ეს საოცრება
ვიცი, ზეზეულად
მომკლავს ამის დარდი.

ცოდვით დახუნძლული
ღამე მიილია...
კარიატიდებს
(კარიატიდი – ქურუმი ქალის ქანდაკებაა, გამოყენებული საყრდენ სვეტად ხუროთმოძღვრებაში)

დუელში გავიწვევ
იმ პირველ ხელოვანს,
დაშნაზე ავაგებ,
არ მოვერიდები.
ვინც ასე გაწირა
სამყაროს მშვენება
ქურუმი ქალები,
კარიატიდები.

საშველად დავლაშქრავ
ელადის ტრამალებს,
მოვალ არტემდას
კაცურად გპირდებით,
ოღონდ თქვენ დაგიხსნათ
იმ მძიმე ტვირთისგან,
ღმერთებსაც შევუტევ
და დავეჭიდები.

ახლა რომ ვფიქრდები...
რაც მეტი დრო გადის
მით მეტად ვრწმუნდები,
ქართველობა რომ
არაა ადვილი
მძიმეა შეჯიბრი,
ბრძოლაა მუდმივი,
ყავარზე კუდების
არ დარჩა ადგილი.

ქართველს ხომ ყველათვის
საქვეყნოდ ცნობილი
კუდი აქვს ლამაზი,
ფუმფულა, ჯანმრთელი,
იმას თუ ყავარზე
კარგად არ შემოდებს,
რაღაა სიცოცხლე,
რაღაა ქართველი.

ბახმაროს ნოსტალგია

ახლა იცი,
რა მსურს, ძმაო?
ღამის ცისკენ
გზა გავკვალო,
ახლო-ახლო
ვარსკვლავები
ორთავ ხელით
გადავთვალო.
ახლა, იცი
რა მსურს, ძმაო?
საყორნიის
მთას ვემთხვიო,
კისრისტეხვით
დავეშვა და
ბურან-ნისლში
გავეხვიო.
კიდევ იცი
რა მსურს, ძმაო?
არ ვიფრთხილებ,
რომც გამჭორონ,
მივეპარო
ბახვის წყალს და
მის ბროლის ყელს
ვეამბორო.

ახლა, მინდა
დავივიწყო,
რაც მივლია
გზები მრუდე,
იმ ნისლივით
თეთრ ბავშვობას
წუთით მაინც
დავუბრუნდე!

აი, რა დღეშია ქართველი მწერალი

თენგიზ სვანიძე უნიჭიერესი პოეტია – გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი.

მისმა განცხადებამ ცრემლი მომგვარა.

ამხანაგო ხელისუფლებავ, რა დაგიშავათ ასეთი ქართულმა მწერლობამ?

რას მივაწერო თქვენი აუხსნელი შურისძიება.

ჯერ იყო და კრიმინალმა სააკაშვილმა შენობა წაგვართვა და ქუჩაში გამოგვყარა... დღეს კი სახელმწიფო კანცელარიაში მწერალთა კავშირის სახელით გაგზავნილ ყველა თხოვნას უპასუხოდ ტოვებთ.

თენგიზ სვანიძის დღეშია დღეს ყოველი მეორე ქართველი მწერალი.

თენგიზ სვანიძე კი არა, შოთა რუსთაველიც დაგავიწყდათ. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის 850 წლისთავის იუბილის მოსაწყობად თითს თითზე არ აკარებთ.

ეს იმედი გვქონდა თქვენი?

მივმართავ ავკარგიან ბიზნესმენებს: იქნებ გაიკრათ ჯიბეზე ხელი და სანამ პირში სული უდგას, დაეხმაროთ თენგიზ სვანიძეს. წინასწარ გიხდით მადლობას.

რევაზ მიშველაძე
25.X.2016 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს
მცხ. თბილისი, გ. ცაბაძის ქუჩა, I კორპ.
ბინა №2–ში თენგიზ სვანიძის
(პირადობის მოწმობის №01024008055)
ტელ: 235–25–01, მობ: 599 312 135

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო მინისტრო, 2017 წლის 20 თებერვალს მისრულდება 80(!) წელი. 70 და 75 წლის იუბილე შესაბამისად გადამიხადეს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებმა. ახლა კი არ ვიცი, „მრავალი ავადმყოფობის თაიგული“, ცხოვრებისაგან გატიალებული პიროვნება, ვივარგებ კი სამაისო იუბილესთვის?!

ცხონებულ ედუარდ შევარდნაძის პერიოდში მწერლებს, ასე თუ ისე, პატივს სცემდნენ. რიგდებოდა ჰონორარები გამოცემულ წიგნებზე. დღემდე გამოცემული მაქვს 12 წიგნი. გამოსაცემად თითქმის მზადა მაქვს 5–6 წიგნი. დღესაც სომხეთში მწერალთა კავშირის წევრებს ყოველთვიურად აძლევენ 300 დოლარს. აზერბაიჯანში – 500 დოლარს. ქართველი მწერლები ასეთი უნიჭონი და დასავიწყებელი ვართ?! მწერალთა კავშირის წევრობის 26 წლის სტაჟი მაქვს. მე რომ 300 დოლარი პენსია მქონდეს, არ დამჭირდებოდა პენსიაზე ყოველთვიური დანამატი – 60 ლარი.

ბატონო მინისტრო, მაწუხებს ოსტეოქონდროზი (ხერხემლის გამრუდება), მწვავე რადიკულიტი. აუტანელი ტკივილებისას, როცა ჩამაწვენს ლოგინად, მშველის მხოლოდ ბლოკიუმ ბ–12. წელიწადში 2–3–ჯერ მესტუმრება ხოლმე ეს ავადმყოფობა. ძალიან მეშინია და ვუფრთხილდები თავს, მაგრამ... ასე დამემართა ქუთაისში დისშვილთან წასვლის წინა დღეს (ამა წლის 2 სექტემბერს). სამი ინექცია გავიკეთე. დღეს მეთერთმეტე დღეა. სამადლოდ სამივე ინექცია გამიკეთა სამმა სხვადასხვა პიროვნებამ. ძირითადში ყველა გაურბის ასეთ საქმეს. (ორი თვის წინ ჩვენს პოლიკლინიკაში გავიკეთე ცერებროლიზინის 10 ინექციაც. ისე მოვკვდები ბინაში, ბოდიში და, სანამდე არ ავმყრალდები, მჯერა, მანამდე ჩემს სიკვდილს ვერ გაიგებენ, რადგან ზოგს ქუთაისში ვეგონები წასული, ზოგს – ჭიათურაში.

წიგნები რომ გავამზადო გამოსაცემად (18 ბაინდერი მაქვს ლექსებით სავსე), უნდა გავშალო საწოლზე, სკამებზე, მაგიდაზე, იატაკზე. ამას თან სჭირდება მარტოობა, სიწყნარე, რომელსაც ვერანაირი ოჯახი ვერ აიტანს, ლექსები – ჩემი შვილებია! მათ მე ვერ ვუღალატებ. ცოტა ხანს კიდევ თუ მაცოცხლებენ, ისევ ლექსები.

დაზიანებული მაქვს თავის ქალა. ვიდრე წონასწორობას მთლიანად არ დავკარგავდი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ ვიმკურნალე ისე, როგორც საჭირო იყო. ვმკურნალობდი პოლიკლინიკის ექიმებთან. ვიღებ დიკავინტონს, სტუგერონს, ცინარიზინს, ფეზამს და ა. შ.

მიჭირდა სიარული. ბოლოს ლოგინად ჩამაგდო. გვერდით გადაბრუნებაზე თითქოს მივფრინავდი. მეუღლემ მე-9 საავადმყოფოდან მომიყვანა ბინაზე მედიცინის დოქტორი, პროფესორი – რევაზ ლუკავა (გეგზავნებათ რეცეპტის ასლი. ვგრძნობდი მდგომარეობიდან თანდათან გამოვდიოდი. ბოლოს მაინც იძულებული გავხდი მიმემართა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტისთვის. იმ ეკონომიური გაჭირვებისას გადავიხადეთ 360 ლარი.

ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოში ბატონმა მამუკა ბოკუჩავამ გამიკეთა სასწრაფო ოპერაცია მარცხენა ფეხზე (წლობით მაწუხებდა ვარიკოზული ვენების გაგანიერება. მაშინ ეს ოპერაცია უნდა გაიკეთო, რომ სიკვდილს გადაგარჩინოთო, იცნობდა ჩემს მეუღლეს. გადაურეკა ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მოვიდნენ 10 წუთში, ამომიღეს საზარდულთან სისხლის კოლტები. მას შემდეგ ბატონ მამუკასთან დავდივარ დღემდე, ვღებულობ მის მიერ დანიშნულ წამლებს. ხელებში შეგრძება დავკარგე. კალამს ვერ ვიმორჩილებ. გამექცევა ხელი და ვაფუჭებ მთელ ნაწერს. ბატონი მამუკა მარწმუნებს, რომ ეს ოსტეოქონდროზის ბრალია. მჯერა მე მამუკასი!

13 წლის წინ თბილისის ქირურგიის ინსტიტუტში ბატონმა პირტახიამ გამიკეთა სწორნაწლავზე ოპერაცია, მაგრამ შემცივდება თუ არა, მეწყება საშინელი ტკივილი. მშველის თბილი ვანები, ანდა სანთლები. ბოლო ხუთი წელია, ზოგჯერ მეწყება სისხლის დენა. ასე მოხდა 2015 წლის დასაწყისში. მოვხვდი დიღმის ცენტრალურ საავადმყოფოში. გამიკეთეს გადასხმები. ჩამაყლაპეს შემადედებელი ამბები. სისხლდენა შემიჩერეს. რადგან უპატრონო ვარ (რა თქმა უნდა მხოლოდ თბილისში), სახლში ტანსაცმლის წამღები არავინ მყავდა. ამიტომ ჩემი დაჟინებული თხოვნით, გამომწერეს. მომცეს მიმართვა გამოკვლევაზე. მესამე დღეს მივედი ყველანაირად მომზადებული ბატონ პროფესორ ნიშნიანიძესთან. ექოსკოპიაზე არ გამიშვეს, ეს კერძო კლინიკაა. მიდით ჩვენს მენეჯერთანო. ასეც მოვიქეცი, უფულო და ავადმყოფი კაცი უკან გამომაბუნძულეს.

მიმაჩნია ეს პატარა ეპიზოდი, რაზეც ახლა ვწერ, ცნობისათვის აუცილებელია: გეხსომებათ, ბატონო მინისტრო, აუცილებლად, 45 წლის სტაჟის მქონე ექთანი (ჩემი მეუღლე) სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მომიკლეს. იყო შაბათი დღე 2013 წლის 23 სექტემბერი. მიყვანიდან სამი დღეღამის შემდეგ გარდაცვლილი გამომატანეს. მას შემდეგ ვარ უპატრონო, ცოცხლად გარდაცვლილი! ვიჩივლე. თურმე ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ არაუგვიანეს 3 საათისა. გაუკეთეს 17–19 საათის შემდეგ. ვიჩივლე... მეორე საჩივარის შემდეგ, სხვაგვარად შევხედე ცხოვრებას და, როგორც პოეტმა კაცმა (პოეტი და ბოროტი? არ არსებობს!), თქვენც მოგწერეთ, რომ ჩივილს ვწყვეტდი. გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწიაო. მოვითხოვე მეუღლის 23 დღის პენსია. გამიშვეს გ. ტაბიძის №2–ში, მითხრეს: კანონია ასეთი, 30 სექტემბერსაც რომ გარდაცვლილიყო, მაინც ვერ მიიღებდითო. მართლაც, რომ გასაკვირია!

ედუარდ შევარდნაძის პერიოდში ჰონორარში ავიღე 5500 მანეთი და შევიტანე ბანკში. როცა მოვითხოვე ჩემი დანაზოგი, მიპასუხეს: – დაივიწყე ეს ფული, ბატონო თენგიზო.

ალბათ 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქუთაისის მერია და მწერალთა განყოფილება ქუთაისის საპატიო მოქალაქეობას მომანიჭებენ.

მყავს ცოცხალი 86 და 88 წლის დები. უვლიან შვილები. ჩემი სიცოცხლე კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ვმკურნალობდი მედკაპიტალის პოლიკნიკაში პროსტატაზე. გამოვიცვალე ორი ურولოგი. პირველმა დამინიშნა ურორეკი. 7 თვე ვღებულობდი აბებს. მეხმარებოდნენ დისშვილები, ველარ ვიტანდი შეფარულ მათხოვრობას. დავანებე თავი მკურნალობას. ჯანმრთელობა, რა თქმა უნდა, გამიუარესდა. მეორე ურولოგმა დამინიშნა დუტაპროსი. ვღებულობდი 5 თვე, უსახსრობის გამო მივატოვე მკურნალობა.

მაწუხებს გული (სტენოკარდია) ძირითადში ვხმარობ ნო–შპას. ასევე 75 მლგ-იან კარდიომაგნილინს.

მქონდა ცვალებადი წნევები (უმეტესად მაღალი). ორი წლის წინ დამინიშნეს ჩვენს პოლიკლინიკაში ლორისტა ნდ 100 მგ. 25 მგ.

ამა წლის ბოლო ოთხ თვეში წამლებზე დახარჯული მაქვს 450 ლარი.

ამჟამად მეგობრის და მეზობლის სულ ოთხასი ლარი ვალი მაქვს. გამოტანილი მაქვს წინასწარ პენსია. მათხოვრად ვიქეცი. თქვენი პენსიის დანამატიც რას მიზამს, მაგრამ... ლამის სანაგვე ბუნკერების „ყოველდილეული სტუმარი“ გამხადოთ. მე კი ამას ვერ გავაკეთებ! არადა, სხვა გზას არ მიტოვებს ცხოვრება. ამიტომ, მჯერა, ჩემი ცხოვრება თვითმკვლელობით დამთავრდება! გთხოვთ, ნუ დამიობლებთ ლექსებს!

ოთხი თვის წინ დიდუბე–ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრიდან ჩემს ბინაზე მობრძანდა ქალბატონი. რომ გამომკითხა ვინ ვიყავი და როგორ ვცხოვრობ, ვიგრძენი, შეწუხდა. ჩემი ბინა ერთოთახიანია. მეუბნება: – ეს ბინა მიყიდეთ ნათესავს, ან მეზობელს. გხედავ, 80 წელს მიტანებულ კაცს ერთი მომვლელიც გჭირდებაო. ბატონებო, წიგნები რომ გამოცემული მქონდეს, აქამდე გაყიდული მექნებოდა ბინა და გადასული ვიქნებოდი მშობლიურ ქუთაისში, თბილისში მეგობარი პოეტები ერთმანეთს ვუკითხავთ ჩვენს ნაწარმოებებს, ვიბეჭდები ლიტერატურულ ჟურნალ–გაზეთებში. ქუთაისში რომ გადავიდე, სრულიად გამოვეთიშები ლიტერატურულ ცხოვრებას. თუმცა, რად გვინდა, რომ ვბეჭდავთ, გაძლევს ვინმე ჰონორარს? წიგნების გამოშვებამდე ჩემი ქუთაისში გადასახლება გამოიწვევს ჩემს ნაადრევ სიკვდილს, ამიტომ ყველას ვთხოვ, ამ ხნის კაცს, რომელიც ყველგან გამორჩეული ვიყავი ჭკუითა და შემართებით, ნუ დამიწყებთ ჭკუის დარიგებას. მოვა დრო სამუდამოდ დავსახლდები ქუთაისში.

ბოლო სამი წელია ვმკურნალობ დიაბეტზე. ვღებულობ განუწყვეტლად დიაბეტონს 60 მგიანს და სიოფორ 1000–ს.

მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ 2002 წლის 20 თებერვლიდან. მაშინ, ასე თუ ისე, დავდიოდი, თავს ვიკავებდი წაქცევისაგან. თანდათან ისე გამირთულდა, დამტვრეული მაქვს ფეხები, ხელები. შემიძლია ახლაც ავიღო პირველი ჯგუფი, მაგრამ ან პენსია უნდა აირჩიო, ან ინვალიდის პენსია, აზრი არა აქვს პირველი ჯგუფის ინვალიდობას. ამიტომ სწორედ თქვენგან ვითხოვ დახმარებას.

ბატონო მინისტრო, აქ კიდევ ცოტას ვწერ ჩემი გაჭირვების შესახებ.

რას მერჩით ამ გაუბედურებულ კაცს? ადამიანობა და სამართალი არ არის ამ ქვეყანაზე?! ჩემნაირ ადამიანს, თანაც მოხუცსა და ავადმყოფს თუ არ ეხმარებით, აბა, ვის ეხმარებით?!

და მაინც, ბატონო დავით, თქვენ გაძლევთ ხმას!.

გულჩათხრობილ–გულჩაწყვეტილი
თ. სვანიძე

ჩემი მოკლე ავტობიოგრაფია

ხუთი დის შემდეგ ტყუპისცალ ძმასთან ერთად დავიბადე ქ. ქუთაისში 1937 წლის 20 თებერვალს. მამა დაბადებული იყო 1901 წელს. დამთავრებული ჰქონდა კლასიკური გიმნაზია. შვიდივე შვილს დაგვამთავრებინა უმაღლესი. ჩემი მშობლები ზრდიდნენ დედაჩემის ობოლ ორ დასა და ძმას. გვეძინა უმრავლესობას იატაკზე. მუთაქებად ხეების ნაჭრები გვქონდა, რომელიც შეხვეული იყო ძველმანებში. მე და ჩემი ძმა (გარდაიცვალა 40 წლის ასაკში ლეიკემიით) სკოლაში დავდიოდით წუღებით, რომელსაც ძირად ჰქონდა მანქანის საბურავის ჩამონაჭერი. ვთამაშობდით ჭინჭის ბურთით. ზამთრის პერიოდში სკოლაში დავდიოდით მამის შეკერილი ქალამნით, შეკერილს ღორის ტყავისაგან და წასმული ჰქონდა ღორის ქონი, რომ წყალი არ მიკარებოდა. სკოლა ჩვენი სახლიდან ორ კმ–დე იყო დაშორებული. ერთხელ ცოტა წავითამაშეთ გზაში. მამამ წინდები რომ სოველი გვინახა, გაგვჩოთქა.

მე სკოლაში წარჩინებულად ვსწავლობდი. ამიტომ მერვე კლასის მოსწავლე მიმიღეს ალკკ–ეს რიგებში. დავინიშნე კლასის ბიუროს მდივნად. ჩემნაირებს ისეთი უფლებები გვქონდა, შუა გაკვეთილიდან შეგვეძლო გავსულიყავით სკოლის კომკავშირის ოთახში. იწერებოდა კრების ოქმები და ა. შ. მეცხრე კლასელი პიონერთა სახლში ჩავეწერე ჭადრაკის წრეში. მასწავლებელმა „დაგვიანებული რაინდი“ მიწოდა. ორი წლის მუყაითი შრომის შედეგად გავხდი პირველთანრიგოსანი. ვთამაშობდი ქუთაისის ჭადრაკის გუნდის მესამე დაფაზე.

ოჯახს ძალიან უჭირდა. მეათე კლასის მოსწავლემ სააგურე ქარხანაში დავიწყე მუშაობა (დირექტორი გვენათესავებოდა).

სხვადასხვა საგნის მასწავლებლები რომ აგვიხსნიდნენ მეორე ან მესამე დღის გაკვეთილს, 5–10 წუთს იტოვებდნენ და იტყოდნენ: ვინ გამოვა დაფასთან და გაიმეორებს ჩემს ნალაპარაკებსო. ხელი პირველს მე მქონდა აწეული. გამიძახებდა და... დღიურში დიდ ხუთიანს ჩამიწერდა. ყოფილა შემთხვევა (დირექტორთან და პედაგოგებთან შეთანხმებით) ხუთივე საგნის მასწავლებელი გამიძახებდა. დღიურში ხუთი ხუთიანი მეწერა. ასეთი ერთი შემთხვევა არ ყოფილა. ერთხელ სკოლის მეგობრის ბინაში ვიყავი, კარგად მახსოვს, თავის ვაჟს უთხრა: თენგიზ ბიძია ასე და ასე იმსახურებდა ხუთ ხუთიანს. ასე უნდა ისწავლო, შვილოო. ამაზე დიდი სიხარული რა უნდა ყოფილიყო?...

გაკვეთილებიდან სახლში მისული გავრბოდი სააგურეზე. „ტაჭკით“ გამქონდა თბილი აგური საქმიან ეზოში და ვაწყობდი „შტაბელებად“. შტაბელში უნდა ყოფილიყო 200 აგური. ზოგჯერ ჩემით ნედლი აგურის გამოსაწვავად კამერებში, ვეხმარებოდი ოსტატებს. კვირა დღე სულ ქარხანაში ვიყავი. მაშინ უკვე იყო „ზლობინის ბრიგადები“. მთხოვეს ჩაწერა. უარი ვუთხარი, რადგან სხვა მიზანი მქონდა დასახული.

მამას უნდოდა დაუსწრებლად მესწავლა უმაღლესში და თან მემუშავა. დედამ თითქოს სოფელში გამიშვა დასასვენებლად. სინამდვილეში თბილისში ამოვყავი თავი. მოვეწყვე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. განაწილებით გამიშვეს მშობლიური ქალაქის საავტომობილო ქარხანაში. განვვლე ყველა დაბალი საფეხური. ქარხანამ უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი ლიმიტით მიმავლინა თბილისში, მანქანათმშენებლობის კვლევით ინსტიტუტში. სამ წელში გავხდი უფროსი მეცნიერ–მუშაკი.

ვცხოვრობდი ნაქირავებში. მიჭირდა ცხოვრება. მეგობრები დამეხმარნენ და მუშაობა დამაწყებინეს თბილქალაქმშენის ტრესტ №10 „მაღლივმშენში“ საწარმოო კომბინატის მთავარ მექანიკოსად. ვაშენებდით მხოლოდ მაღლივ საცხოვრებელ კორპუსებს, – 14 და 16- სართულიანებს. ორი წლის მუშაობის შემდეგ დამაწინაურეს, დავინიშნე მექანიზაციის სამმართველოს უფროსად. ბოლო რვა წელი, ვიდრე ჩემს დამაქცევარ „პერესტროიკამდე“, ვმუშაობდი სამშენებლო კომბინატ №3 „მაღლივმშენის“ დირექტორის მოადგილედ.

თბილისში 14 და 16-სართულიანი ბინების 70% ჩემი მუშაობის პერიოდში აშენდა. ამ კორპუსებს რომ ვხედავ, სული სიამაყის გრძნობით მევსება. ზოგჯერ თვალები ამიცრემლიანდება: ქვეყნისთვის რაღაც გამიკეთებია-მეთქი.

დღეს კი ყველასაგან მიტოვებულ-მივიწყებული ვარ, რამაც ექსპრომტად დამაწერინა:

ექსპრომტი
სანამ მაწვიმ–მათოოოს? –
სულს მიღრღნის სიმარტოვე...
ყველამ რომ მიმატოვოს,
ღმერთი არ მიმატოვებს!

თბილისი.
12.09.2016
თენგიზ სვანიძე

რაულ ჩილაჩავა

მომავალი წიგნიდან
„დახატული სახლი“

ცივი დაისი

ამ სიბოროტის უხილავ კედელს
მარტო მე ვხედავ და ვეჯახები.
გაჰქრნენ სახლები და ოჯახები,
მათ, ვინც არ გაჰქრა, კარები ჰკეტეს.
გრანიტის მპობელს და რკინის მკვნეტელს
გზა დაურკალავს ბოღმის თაღებით.
მე მასში ვცანი სისხლის ამღები
და შევაგებე ერთბაშად „ტეტე“.
რა შეუძლია ამ ხელს ტეტიანს,
როცა სარდალი არისტეტია,
მარტო დარჩენილს ვინ მომცეს რჩევა!..
ჭკნება ბაღი და ცვივა ვაშლები,
და მეც ივდაისსვე თამაშები,
სანამ სიბრიყვეს ჩაიდენს ევა.

28 მაისი, 2016

მე და სიზიფე

ვჩქარობ, არ დამრჩეს უთქმელი რამე
მნიშვნელოვანი და ფასეული.
მივჩერებივარ დაფას ეული,
ამ სიშავეში რა – შენ და რა – მე!

ვიხსენებ ჩავლილ ფარსებს და დრამებს,
ზამთრის ლოდინში მითრთის სხეული.
სანუკვარ ფოთლებს ნატვრის ხე უვლის,
გარიჟრაჟს გულში იხუტებს ღამე.

ვნება ბოლომდე ვინ დაიოკა?
ვინ სუნთქავს მშვიდად? ვინ და – იოგა!..
და მეც ხანდახან ყირაზე ვდგავარ!

თან ვფიქრობ: ღმერთო, რა ლურჯი ცაა!
სიზიფეს ლოდი მწვერვალზე ააქვს.
დაუცურდება? – ხელახლა ავა!

16 ივნისი, 2016

მზე-ბრა

ცხოვრების გზაზე ვერ ვპოვე „ზებრა",
ვერ გადავედი მშვიდად გადაღმა.
ამასობაში ბაღიც გადახმა,
გადაფერმკრთალდა თანდათან მზე-ბრა.
დრომ ნაჯაფარი ხელები ბებრა,
მაინც მეკვლის ხმას ჩემი ჰგავდა ხმა.
ისევ ბაღში ვარ... ისევ ვრგავ და ვხნავ,
არ მსურს, ჯერ კიდევ ჩამთვალონ ბებრად.
მიდასტურებენ თვალები სველი,
რომ კვლავ საბაბი გაჩნდა კმაყოფის.
მიწის წიაღში იძრა ნაყოფი,

ამოსვლას კანკალით ველი.
თუმცა გრიგალმა მლეწა დამბრიდა,
მაინც მეღვრება ნათელი ბრიდან.

16 ივნისი, 2016

ასაკი

ზოგჯერ ვიფიქრებ: ნამდვილად არ ჰგავს
სახლ-კარი სახლ-კარს, ვენახი ვენახს.
კურკანტელებში შაშვების სტვენა
ოდინდელ ხიბლს და სიცინცხლეს ჰკარგავს.

ბაღში, რომელიც ზაფხულმა ჰქარგა,
დამკვიდრებულა ქარების ენა
და სამომავლო ფოთოლთა ცვენა
უკვე აშინებს გუშინდელ ნარგავს.

მე გამოვედი იმ ასაკიდან,
როცა ოცნება ჰგონიათ გეგმა.
აგერ ერთბაშად მომსკდარმა დელგმამ
ცოდვა ჟუჟუნა წვიმას აკიდა.
თურმე წუწუნი იცის ასაკმა
თუ გული ჭკუამ არ დაასაქმა.

18 ივნისი, 2016

თოში

მე ენერგია შუქის ნაცვლად სითბოსთვის ვხარჯე
და ახლა, როგორც გადამწვარი ნათურა, უქმად
ვკიდივარ მკვდარი სურვილების ბოძზე და
ვარ ჯერ
უცნობი ბინდის ხახისათვის უგემო ლუკმა.

დღეებმა ისე ჩამიქროლეს, რომ აღარც მკითხეს:
„რას მიაღწიეთ საბოლოოდ ჯიუტი ცდებით?“
უხმოდ გავყურებ სინჯარაში ჩარჩენილ სითხეს
და შემზარავი სიჩუმიდან ჩამესმის: „ცდებით!“

იყო ნადიმი... ამორძალთა იყო ორგია,
მაცდურ დაფაზე რამდენიმე სვლა და შამათი.
თვალთა გუგები სიზმრებისთვის თითქოს მორგია,
რადგან გრიგალში თიხის ფრთები დაიფშვნა მათი.

გლახაკთა შორის ვინ შენიშნოს სამეფო ქცევა,
ჩემს ყულაბაშიც ოქროს ნაცვლად ცვივა გროშები.
მე გული მიგრძნობს, რომ შემეძლო სინათლედ
ქცევა
და ვერ მივმხვდარვარ, ამ სიცხეში რად ვითოშები!

11 ივნისი, 2016

ხრეში

უკვე ძნელია კარგისა და ცუდის გარჩევა,
ლამის ყველანი მიგვიჩნიონ მალე გიჟებად.
ირგვლივ ისეთი სახლებია, შიგნით არც შევალ,
მე თუმცა შიგნით არც არავინ მეპატიჟება.

ბევრი ოცნება გადაცვივდა უძირო ღრეში
და ველოდები ზიარების და მუხლმოყრის ჟამს...
ენატრებოდათ სიყრმის გზაზე ორმოებს ხრეში
და ცამ ისინი ხოშკაკალით უცებ მოხრიშა!

11 ივნისი, 2016

წარწერა ყდაზე

წერე, იკითხე, დაიზუთხე შენი ნაწერი,
მაინც არავის არ ჭირდება ამ ქვეყნად იგი.
სასაცილოა წიგნის გამო დახლებთან რიგი,
როცა ვერ ათბობს ცივ სხეულებს მზე ალმაცერი.

ცარიელია დაღვრემილი მგოსნის ფაცერი,
არავის ესმის გრიგალების გრიალში გრიგი,
რომელიც გაჰყვა დაჟანგული ბორბლების
ხრიგინს,
ვით ჟრუანტელი, სტრიქონიდან ამონაწვერი.

ამ წუთისოფლის იპოთეკას არა აქვს ფსკერი,
თუ დააზუსტე, სად აორთქლდა შენი გირაო
ან სიჭაბუკემ როდის შეჰკრა ბოლო ირაო

და სიჭარმაგეს საბოლოოდ დაუკრა კვერი!
გვსურს თუ არა გვსურს, მოიქცევა
მსახვრალი ასე:
ეპიტაფიას დაამსგავსებს წარწერას ყდაზე.

დახატული სახლი

დრომ დაამტკიცა, რომ ქვიტქკირზე უმტკიცესია,
სახლი, რომელიც ვერ ავაგე, მაგრამ დავხატე.
ის არ დაინგრა, როცა ლხინით ჭერი ავხადე,
როოცა გარშემო უთვალავი მტერი ესია.

ის შეიყვარა ანგელოსმა, ვით ეკლესია,
იდუმალებით შემოსილი, მართლაც სახატე,
სადაც გულიდან წამოსული სიტყვა დავხატე
და კანდელები ციმციმებენ, როგორც წესია.

ყველა სტუმარი, ვინც აქ მოდის, მხოლოდ ღვთის არი,
და მარტოობა კვალს არ სტოვებს შავს და საზარელს.
ამ კედლებს შორის მე აღვსდგები, როგორც ლაზარე,

თუნდაც ერთბაშად მკერდს დამასონ ასი ისარი.
დახატულ სახლში არც ღამდება, აღარც თენდება,
მსგავსი შენობა სხვაგან არსად არ აშენდება.

14 ივლისი, 2016

ზებრა

დიდხანს ვეძებე მიწისქვეშა გადასასვლელი,
მაგრამ მგზავრებმა მიმითითეს ზებრაზე უხმოდ.
მე გამასხენდა, რომ საწამლავს ჰგავდა სასმელი,
რომელმაც ბოლო აზარფეშით ციებას უხმო.

სასოწარკვეთ ამ ჩემს ნატვრის ხეს ფესვები უხმო
და ახლა თითქოს იმ ტრამვაის ბოლო ზარს ველი,
რომ მოვარდება სიბნელიდან, როგორც მძარცველი,
საკუთარ ნებით ვისაც თავი არავინ უყმო.

ო, როგორ მსურდა, ცალი თვალით მაინც მენახა,
გაღმა რა ხდება, რა ვნებებით თრთიან მდედრები.
თუმც გულთამპყრობელს მე ბოლომდე ვერ შევედრები,
მსგავსი სურვილი დღემდე მაინც შემომენახა.
ბედი მიმზადებს იქეთ მხარეს პრიზს, ნამდვილ
ზეპრიზს
და ამ შლიგინში იმედი მაქვს - მიმიხვდით? - ზებრის!

15 ივლისი, 2016

გულუბრყვილო სურვილი ყრმისა...

როცა ხეები უჩვეულოდ იყვნენ დიდები,
მინდოდა წლები შემენახა, ვით განძეული.
ვფიქრობდი: სანამ ნორჩია და მტკიცე სხეული,
დაუზღვეველად კლდის წვერზედაც დავეკიდები.

ცეცხლის ბობოქარ მდინარეზე გავდე ხიდები,
ვაგროვე ველად იაგუნდი მიმობნეული.
გულის ფიცარზე აღვიბეჭდე ხმები გრძნეული,
მე რომ მჩუქნიდნენ ტკბილ სიზმრებში ნანახი დები.

მაგრამ სურვილი... გულუბრყვილო
სურვილი ყრმისა,
მხურვალე ალხში შეინახოს ჭიქა ნაყინი,
დაიფშვნა, როგორც ქვებს და ლოდებს
შემსკდარი ტალღა.

რაც ჟამი გადის, უფრო მეტად ვშორდები მიზანს,
(სწორედ გასული ჟამი მირტყამს, ვით ძალაყინი)
და ძველებურად არც ხეები იწევენ მაღლა.

16 ივლისი, 2016

დალიდა

ისე რეკავენ ამ სახლიდან მოჩვენებები,
იფიქრებ, ძაბვით დაძაგრული იწვის კაბელი.
კვლავ ეწირება რწმენას შვიდი ძმა მაკაბელი
და ატმოსფერო დამუხტული არის ვნებებით.

აღმოსავლეთო, სისხლისფერად რომ იღებები,
ასე უღმერთოდ რად შემაბი ყელზე საბელი.
მე სარკმელს ქვემოთ თითქოს ხე ვარ გადასაბელი
და ზეცის მწარე ცრემლებია წვიმის შხეფები.

„მაინც აქა ვარ, მაინც აქ მსურს, მაინც აქ მინდა!“ –
მე სხვა სიტყვები არც მახსოვს და არც მახსენდება!
მოჩვენებებით სავსე სახლში ჩუმად თენდება, -

ჰა, უკვე ბოლო ტელეფონმაც სული გაკმინდა.
არც ბაღდადური, არც შალახო, ადანდალი და...
არაბულ მოტივს ფრანგულ სარმით იწყებს დალიდა.

17 ივლისი, 2016

ვინ ითხოვს დიდუბის პანთეონის გაფართოებას?!

ეკა ლომიძე

ცნობილი ადამიანები ახალ პანთეონს იწუნებენ.

ჯანსუღ ჩარკვიანი: „მახათას მთაზე მტერი ავიდა, შორია“.

დიდუბის პანთეონი დაიხურა. მახათას მთაზე ცნობილ ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა ახალ პანთეონს ჩაეყარა საფუძველი. „კვირის პალიტრისთვის" ცნობილი გახდა, რომ ამ სიახლემ რამდენიმე ადამიანის უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ხელისუფლებას და თბილისის მერიას წერილით მიმართავენ და მოითხოვენ დიდუბის პანთეონის კვლავ გახსნასა და ეკლესიის ეზოს ხარჯზე გაფართოებას:

„ბატონებო, მოგმართავთ საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა სახელით. რამდენიმე თვის წინათ დაიხურა ორასწლოვანი დიდუბის პანთეონი. ამ ფაქტმა სახელოვან მოღვაწეთა დაკრძალვის მიმართულებით გამოუვალი მდგომარეობა შექმნა. კატეგორიულად გთხოვთ, პანთეონის ტერიტორია გააფართოოთ დიდუბის ეკლესიასა და პანთეონს შორის ღობის მოხსნის ხარჯზე. ამრიგად, იოლად, ფულადი დანახარჯების გარეშე გადაწყდება ეს თავსატეხი. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს პრობლემა უახლოეს ხანებში თუ არ გადაწყდა, მალე უხერხულობაში აღმოვჩნდებით. დავინტერესდით და გაირკვა, რომ ამ საშურ, ეროვნულ საქმეს საპატრიარქო არ ეწინააღმდეგება“.

წერილს ხელს აწერენ: ჯანსუღ ჩარკვიანი, მერაბ ბერძენიშვილი, კახი კავსაძე, რევაზ მიშველაძე, გივი ბერიკაშვილი, ომარ მხეიძე, ლეილა აბაშიძე, მაყვალა გონაშვილი, გოგი ქავთარაძე, ვაჟა აზარაშვილი, სოსო სიგუა, ბაღათერ არაბული, თენგიზ ურთმელიძე, კახა ცაბაძე, გივი თოიძე.

რევაზ მიშველაძე: – წერილზე რეაქცია არ ჰქონიათ. მოგვიანებით, ქალაქის მერის მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე მე, როგორც საბჭოს თავმჯდომარემ, ვკითხე ნარმანიას. მითხრა, – ღობის მოხსნას ეწინააღმდეგება დიდუბის ეკლესიის წინამძღვარიო. მანამდე გვეუბნებოდა, პატრიარქი უარობსო, მივმართეთ პატრიარქს – არ ვარ წინააღმდეგიო. ვინ მისცა უფლება ამ პატარ-პატარა უწყებებს, რომ დახურონ 200-წლოვანი დიდუბის პანთეონი. რეზო ჩხეიძე რომ დაგვეკრძალა, თითქმის იძალა ქართულმა ინტელიგენციამ. კატეგორიულ უარზე იყო საკრებულო, პანთეონი დახურულიაო. რეზო ჭეიშვილი, იძულებული გავხდით, ქუთაისში წაგვესვენებინა. ცნობილი მეცნიერი და მწერალი მაგალი თოდუა თაბორის მთაზე დაკრძალეს, სადაც ზამთარში უმარხილოდ ვერ ახვალ. ნოდარ ტაბიძე, ცნობილი მეცნიერი, დიდუბის პანთეონის ნაცვლად, ნათესავების გვერდით დაასაფლავეს ვაკეში. ვერ გამიგია, კვირიკაშვილი და ალიბეგაშვილი რატომ არიან დიდუბის პანთეონის გაფართოების წინააღმდეგი, იმიტომ, რომ თვითონ არ დაიკრძალებიან დიდუბეში და სხვისი ბედი არ ადარდებთ?! სირცხვილია, საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა უმეტესობის მიერ დაწერილი განცხადების ფეხებზე დაკიდება. უზარმაზარი ეზო აქვს დიდუბის ეკლესიას. საჭიროა მხოლოდ ღობის მოხსნა. არ ხსნიან იმიტომ, რომ ეკლესიის წინამძღვრებს არ სურთ მყუდროება დაურღვიონ საქართველოსთვის პატივსაცემმა ადამიანებმა?!

– ეზოში რამდენი საფლავის ადგილი გეგულებათ?

– 50-100 საფლავის.

– ისიც რომ შეივსება, მერე?

– დიდუბის პანთეონში 100 საფლავის შევსებას დაახლოებით 200 წელი მაინც დასჭირდება.

– რეზო ჭეიშვილი რომ ქუთაისში დაიკრძალა, ამით რა დაშავდა?

– გინდათ მითხრათ, რომ დიდუბის პანთეონის გაფართოება არ არის საჭირო და წერილზე ხელისმომწერები ცდებიან, პანთეონის გაფართოებას რომ მოითხოვენ?!

ჯანსუღ ჩარკვიანი: – შესაძლოა, სხვა ადგილიც გამოიყოს, მაგრამ დიდუბის პანთეონი სულ სხვაა. ახალსაც რომ დიდუბის პანთეონი დაარქვან, აჯობებს.

– მახათას მთაზე იქნება ახალი პანთეონი...

– მტერი ავიდა მახათას მთაზე. შორია. მე სადაც დავიმარხები, იქ იქნება ჩემი პანთეონი.

კახი კავსაძე: – ხალხი იხოცება და ცაში ხომ არ ჩამოვკიდებთ? არ ვიცი, სად არის შესაძლებელი გაფართოება, მაგრამ დიდუბის პანთეონი რომ უნდა იყოს, ამას ლაპარაკი რად უნდა?..

ნინა ხატისკაცი, თბილისის მერის მოადგილე: – მთაწმინდის და დიდუბის პანთეონები დახურულია, მზადდება ახალი. საპატრიარქოსა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან მოლაპარაკების შემდეგ, მახათას მთაზე, ტაძრის მახლობლად გამოიყო ტერიტორია და მომზადდა პროექტი. მალე გამოცხადდება ტენდერი დაახლოებით მილიონნახევრიან სამუშაოებზე, რომლის მიზანი ახალი პანთეონის კეთილმოწყობაა.

იყო ლაპარაკი, რომ დიდუბის პანთეონი გაფართოებულიყო. დღევანდელი რეგულაციებით, მისი გაფართოება კატეგორიულად მიუღებელია. სასაფლაო არ უნდა იყოს დასახლებული ადგილიდან 300 მეტრით ნაკლებ რადიუსში... ძალიან მტკივნეული თემაა, მაგრამ არა მოუგვარებელი, რადგან ცნობილი პრაქტიკაა, გარკვეული პერიოდის შემდეგ პანთეონში გადასვენება.

დიდუბის პანთეონი ადრეც დახურულა

1893 წლის აპრილში „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" პირველი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი დაუკრძალავს შემდგომში პანთეონად გამოცხადებულ დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის სასაფლაოზე. პანთეონი ოფიციალურად 1915 წლის 26 მაისს დაუფუძნებიათ. იქ გამოჩენილ მოღვაწეთა და იმ ქველმოქმედთა ნეშტი დაიკრძალებოდა, ვისაც ეროვნული საქმისთვის სულ ცოტა, 10.000 მანეთი ექნებოდა შეწირული... საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1928 წლის 9 მაისს, თბილისის საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმმა რამდენიმე სასაფლაო, მათ შორის მთაწმინდისა და დიდუბისა, დახურა. 1938 წელს დიდუბის პანთეონის საერთოდ დახურვის განკარგულებაც გაუციათ, მაგრამ საზოგადოების აღშფოთების გამო ახალ შესაძლებლობათა გამონახვამდე“ თავი შეუკავებიათ.

1946 წლის 18 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით, დიდუბის პანთეონს მიემატა 750 კვმ მიწის ფართობი...

P. S. ეს წერილი „კვირის პალიტრამ“ დაბეჭდა (25. IX. 2016), მადლობის მეტი რა გვეთქმის გაზეთის მიმართ, რომ ხელისუფლების მიერ ჩაწიხლული (სააკაშვილის დროს „ჩარეცხილი“ ვიყავით) მხატვრული ინტელიგენციის სატკივარს ყურადღება მიაქცია. თითქმის ყველა გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ მოაწერა ხელი თხოვნას დიდუბის პანთეონის გაფართოების (ღობის მოხსნის ხარჯზე), შესახებ, მაგრამ ე. წ. უმაღლეს ეშელონებში ჩვენს თხოვნას დუმილით უპასუხეს.

„კვირის პალიტრის“ ზემოთხსენებული წერილიდან შევიტყვეთ, რომ დიდუბის პანთეონის გაფართოების კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა ქალაქის ვიცე მერი ვინმე ნ. ხატისკაცი.

ვკითხულობ: ვინ ჰკითხავს ამხანაგ ნ.ხატისკაცს მთაწმინდის და დიდუბის პანთეონების დახურვას? სად ამოიკითხა ნ. ხატისკაცმა, რომ პანთეონი საცხოვრებელი ადგილიდან 300 მეტრის მოშორებით უნდა იყოს (ხშირად დადის საზღვარგარეთ და გაიკითხოს: მართლა ქალაქგარეთაა პარიზის, ლონდონის, რომის და ბერლინის პანთეონები)? იქნებ ხელისუფლების ეს ვაიწარმომადგენლები თავიანთ საძვალედ მოიაზრებენ მახათის ე. წ. პანთეონს, თორემ მხატვრული ინტელიგენციის არც ერთი წარმომადგენელი არაა თანახმა მახათის მთაზე დაკრძალვისა. რამ შეაძულა ასე ნ. ხატისკაცს გამოჩენილი ქართველი პიროვნებანი? შურმა, ძვირფასებო, შურმა!

დამისახელოს ნ. ხატისკაცმა თუნდაც ერთი მაგალითი, რომ მსოფლიოს რომელიმე პანთეონი დაეხურა რომელიმე ხელისუფლებას. მეტი საქმე არაფერი გაქვთ ვიცემერებო? რატომ უპირისპირდებით ასე ენერგიულად იმათ, ვინც ქართველი ერის სულიერ აღზრდას ემსახურება?

თვალში ხომ არ გეპატარავებათ ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, ვინც თხოვნას ხელი მოაწერა?

პანთეონების დახურვა აზრად არ მოსვლია არცერთ მეფისნაცვალს და ამ გუბერნატორს, არც ერთ ცკ–ს მდივანს და მერს ორასი წლის განმავლობაში და თქვენ რა წითელი კოჭები ხართ თანამედროვე ხელისუფალნო?

ვაი, იმ ქვეყანას, სადაც ვიცე მერს ახსნა–განმარტება დაჭირდება იმაზე, რომ პანთეონი ჩვენი ისტორიული სიწმინდეა და მოქალაქენი მოკრძალებით დგებიან ღირსეულთა საფლავებთან.

ვაი, იმ ქვეყანას, სადაც ნ. ხატისკაცის გადასაწყვეტია მთაწმინდის და დიდუბის პანთეონების ბედი.

რევაზ მიშველაძე

ჩემი კუთვნილი მეოთხე ნაბიჯი

ქეთა კოხტაშვილი

უცნაურია არა? მახსოვს ვიდექი, მწვანე შუქის ანთებას ველოდებოდი, რომ გზაზე გადავსულიყავი, ლურჯი კაბა მეცვა, რომელსაც ქარი ოდნავ მიფრიალებდა ... ცალ ხელში ცხელი ყავა მეჭირა, მხარზე ჩანთა მქონდა გადაკიდებული, რომელშიც ფაილები და საბუთები ძლივს ეტეოდა, როგორც კი მწვანე შუქი დავინახე ნაბიჯი გადავდგი... ჯერ ერთი... შემდეგ მეორე... მესამე... მაგრამ მეოთხე? სადაა ჩემი კუთვნილი მეოთხე ნაბიჯი? რატომ ქრება ყველაფერი მესამე ნაბიჯის შემდეგ? ზუსტად მახსოვს, ვიდექი... ახლა კი გაუნძრევლად ვწევარ, მართალია სხეულში არ ვარ, მაგრამ უსხეულოდაც ვგრძნობ, რომ ვწევარ და ჩუმი სიცივე დამკრავს, გაფითრებული ვარ და თვალებს ვერ ვახელ... თავს შევიწროვებულად ვგრძნობ. არაფერი მესმის, მაგრამ ტირილს აღვიქვამ, ნელ-ნელა ყველაფერი მკრთალდება და უფერულდება... ეს ხომ დედაჩემია, დედაჩემი ლეილი... რატომ ტირის ასე? რატომ განიცდის? მას ჩემი პატარა დაიკო ანუგეშებს, მია... როგორ ჩქარა ძგერს მისი პატარა გული... ვერ ვხედავ, მაგრამ ვამჩნევ, რომ ირგვლივ ყველას შავი აცვია...

აი, ის ქალი, ჩემი უფროსია, ვგრძნობ მასში სიყალბეს, დანარჩენი თანამშრომლები მეტნაკლებად წუხან, განსაკუთრებით ის მწვანეთვალება გოგო, სულ ახალგაზრდაა... ალბათ ჯერ კიდევ სტუდენტი ?... ნეტავ რატომ წუხს ასე ჩემზე? მე ხომ მისი სახელიც კი არ მახსოვს?

საწყალი გოგო, ჯერ სულ ახალგაზრდა იყო...

ეს ვიღაც ნათესავის მეზობლის ბიძა იქნება ან ვინმე მაგდაგვარი...

მხოლოდ ოცდაექვსი წლის იყო, წარმოგიდგენათ? ეჰ...

პასუხობს მისნაირი და აი, მამაჩემიც. ღმერთო ჩემო! ის, ისე განიცდის... მეგონა ვძულდი. მას ყოველთვის უნდოდა მისი საქმე გამეგრძელებინა, მე კი იურისტობა გადავწყვიტე. ამის გამო არასდროს მოუმართავს ჩემთვის შვილოთი... მიახლოვდება.

შვილო...

მესმის დაბალი გამანადგურებელი ხმა, რომელიც მალევე მშორდება. მაგონდება, როგორ ეწეოდა სიგარეტს, რომელიც ნელ-ნელა ქრებოდა, სწორედ ასე მომივიდა ახლაც, თითქოს სიგარეტის ბოლმა მშთანთქა... და აი, სიგარეტის მწარე სუნს გაყოლილმა, იოანეს მივაგენე, შავებში ჩაცმული ხშირად მინახავს, თუმცა პირველად ვნახე მისი ჩაწითლებულ-ჩაშავებული თვალები. ის არც წუხდა, არც განიცდიდა და არც რაიმეს ნანობდა, მხოლოდ ტკიოდა. სხეული უთრთოდა, ყველა სძულდა, ყველა ეზიზღებოდა... განსაკუთრებით კი მე, ვინც ამ სამყაროში სრულიად მარტო დატოვა და თან აუარება მომაკვდინებელი ემოციები დაუტოვა... როგორ მახსოვს, პირველად რომ შევხვდი... სამი წლის წინ... ძაღლს ასეირნებდა... მისი სახე ნელ-ნელა იჯღაბნება და ფერები ირევა, ის კვლავ სიგარეტს ეწევა, ისევ და ისევ... ფერფლი ქარს მიაქვს და ფანტავს. მთელი ჩემი სული იფერფლება და წითელი ნაპერწკლები ნაცრისფრდება, იშლება... კადრები იფანტება. იფერფლება წარსული და მომავალიც... თითქოს უბრალოდ სურათების ფირი დაწვეს... მაგრამ ეს სურათების ფირი არ ყოფილა, ეს ჩემი ცხოვრება იყო!

ცოტახანი აღარაფერს ვგრძნობ.

როდის დაკრძალავთ ?

შაბათს - უპასუხა ბიძაჩემმა ვიღაც უცნობს.

არა! ხვალვე უნდა დაკრძალოთ! - ამბობს ჩემი მეგობარი ლუნა.

ლუნა, მგონი ის ერთადერთია, ვინც ჩემზე ღელავს, ვისაც ვუყვარვარ... ცდილობს შეეგუოს, რომ აღარ ვარ, ვერ იჯერებს, ვერ აღმიქვამს მკვდრად, გვამად, მაგრამ...

ბატონო ?

მას წვიმა უყვარდა! ხვალ კი იწვიმებს... ხვალ უნდა დაკრძალოთ!

ის ისე წუხდა... ყველა წუხდა, მაგრამ ის ისე, განსხვავებულად...

როგორ ბედავ!

ლუნას ვეღარ ვგრძნობ, ის წავიდა... მახსოვს სულ მეუბნებოდა, იურისტობა კარგია, მაგრამ შენი ნამდვილი მოწოდება პიანისტობააო... როგორ მიყვარდა ახალი მელოდიების შექმნა ნოტებით... იოანეს კი აკორდები უყვარდა, კიდევ უყვარდა, რომ წვიმაში ვცეკვავდი, უფრო სწორედ ეს მე მიყვარდა, მას კი მე ვუყვარდი და ისიც უყვარდა, რაც მე მიყვარდა... ვიცი ფიქრობდა, რომ კარგი პიანისტი ვიქნებოდი, გულის სიღრმეში მეც ამას ვფიქრობდი, მეტიც, გადავწყვიტე მოსმენაზე წავსულვიყავი, დავრეგისტრირდი კიდეც, ნეტავ ახლა ვის რაში სჭირდება მკვდარი პიანისტი...

როგორ მინდოდა ოცნებების ახდენა. ისე მოვკვდი, რომ პარაშუტით არ გადმოვმხტარვარ , არც დიდ სცენაზე დამიკრავს, არც სერფინგი მისწავლია ოკეანის ტალღებზე და არც სალსას ცეკვა... ვერ ვიჯერებ, რომ ეს დავუშვი! მხოლოდ საბუთებში ჩაფლული ვიძიებდი სამართალს, თუმცა ყველაზე უსამართლობა სამართლის ძიებაა!

ყველაფრის მიუხედავად, კარგი გრძნობაა სხეულში ყოფნა, რეფლექსები, გაუცნობიერებელი ან გაცნობიერებული ქმედებები და საოცარი ემოციური შემოტევები... არ ვიცი, კიდევ ოდესმე თუ განვიცდი ამ შეგრძნებას, შევძლებ არაფრისგან შექმნილი სხეული ვაკონტროლო, ვიფიქრო და გადაწყვეტილებები მივიღო?... ყველაზე მეტად მაინც ოცნება მენატრება, ნეტავ, მეტი მეოცნება...

როგორც წესი ოცნებაზე მეტად მომავლის გეგმებს ვქმნიდი, თუმცა დროდადრო საოცნებო კოშკებს ვაგებდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რეალურად მხოლოდ კედელი აღმიმართავს, უბრალოდ ვერ ვამჩნევდი, რადგან გამჭვირვალე იყო, მეგონა წინ მივდიოდი, ამ დროს კი ერთ ადგილას ვიდექი და არაფერს ვაკეთებდი! „ხანდახან ადამიანები ხიდების მაგივრად კედლებს ვაშენებთ“.

მოვიდნენ ჩემი ძველი კლასელები, მგონი ყველა. დავიჯერო კიდევ ვახსოვარ? რა კარგ დროს ვატარებდით ერთად, ნეტავ რატომ გავწყვიტეთ ურთიერთობები?... ყველაფერი დიდი ატმისფერი კითხვის ნიშნის ზემოქმედების ქვეშაა... შემდეგ კურსელები... ყველა წუხდა... ყველაში ვგრძნობდი, რაღაც სინანულისა და სიყვარულის ნაზავს, მაგრამ რატომ? რატომ არ გავახსენდი სიცოცხლეში? გმადლობთ, რომ ჩემთვის ამ ჭრელ-ჭრელ ყვავილებს იმეტებთ, მაგრამ რაში მჭირდება, მათ სუნსაც კი ვერ ვგრძნობ! არ ვიცი რა ხდებოდა, მაგრამ თითქოს ყველა გამჭვირვალე იყო, მათში სიცარიელეს ვხედავდი, ხოლო სიცარიელეში მათი გრძნობები ირეკლებოდა, როგორც გამჭვირვალე წყალი ირეკლავს გარშემო ფერებს, თუმცა ირგვლივ არავის ართმევს შეფერილობას, მხოლოდ აორმაგებს!

ლუნა, კვლავ ვიგრძენი, მასში მალული სიბრაზე იყო, მისი შავი თმა და თეთრი სახე, ძალიან მამძიმებდა, როგორი მნიშვნელოვანი იყო ის ჩემთვის... მას არასდროს მივუტოვებივარ! ყოველთვის ვახსოვდი!

როდესაც გეუბნებით, რომ წვიმაში უნდა დამარხოთ, ესე იგი, წვიმაში უნდა დამარხოთ! რაში სჭირდება თქვენი ტირილი მას? რაში სჭირდებით ახლა?...

მე სამი ნაბიჯი გადავდგი და შემდეგ უფსკრულში გადავეშვი, გადავიჩეხე, მინდოდა ფრთები გამეშალა, მაგრამ ისინი ზედმეტად დასუსტებულნი იყვნენ ამისთვის, მე ხომ ძარღვებში ნაცრისფერი სისხლი მიჩქეფდა...

ლუნა ტიროდა, მასთან დედაჩემი მივიდა და ჩაეხუტა, დედაჩემს ძალიან სტკიოდა, თითქოს ახლიდან უნდა გავეჩინე... ქერა თმას ჭაღარა შეჰპარვოდა, მისი თმის ფერი მქონდა, ოდნავ უფრო მუქი... ყოველთვის მეუბნებოდა - მე მგავხარო... კვლავ ყველაფერი ირევა... ვერავის ვეღარ ვგრძნობ, კვლავ მარტო დავრჩი. თითქოს სამუდამოდ დავკარგე კავშირი ჩემს სხეულთან, მაგრამ მეორე დღეს, ისევ ვიგრძენი ადამიანები. თითქოს ამიტაცეს და წამიყვანეს!

ატმისფერი რატომ აცვია ?

იკითხა ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ნატალიმ.

უყვარდა ატმისფერი - უპასუხა იოანემ უემოციოდ.

და კუბო იასამნისფერია...

იასამნისფერიც უყვარდა...

მართლაც, რომ მიყვარდა ატმისფერი და იასამნისფერიც, ალბათ აქამდე არავის ჰქონია იასამნისფერი კუბო, ორიგინალურობაც მიყვარდა... თითქოს სხეულში ვიყავი, ყველაფერს მივხვდი... ლუნამ და იოანემ ჩემი გასვენება ისე მოაწყვეს, როგორიც მე მენდომებოდა, მათ იცოდნენ ჩემში არსებული მოუსვენარი სიგიჟის შესახებ, რომელიც მუდმივად აქეთ-იქით ეხეთქებოდა და ველარ ვაკავებდი, ზოგს გონია, რომ ენერგია ფიზიკურია, მაგრამ ეს სისულელეა, ენერგია სულიდან მოდის.

სახეზე სისველეს ვგრძნობდი და საოცარ თავისუფლებას, მაგრამ გარემო მაინც დაძაბული იყო. არ მდომებია ვინმეს ჩემ გამო დაძაბულობა ეგრძნო, მინდოდა სიხარულით გავეცილებინე ყველას, მაგრამ არავინ იღიმოდა.

დავინახე ჩემი პირველი სიყვარული, ნოე. ეს ისეთი უცნაური იყო... მის გვერდით მისი ცოლი იდგა და შვილიც, რამხელა შვილი ჰყოლია... ექვსი წლის იქნებოდა, მასში წუხილზე მეტად სინანული ვიგრძენი. მია ხესთანაა ატუზული... აქ ჩემი სკოლის საუკეთესო მეგობარიცაა... თათა. მისი წუხილი საკმაოდ მკვეთრია, დავუარე სხვა შავებში გამოწყობილებსაც (რომელთაც შავოსნები შევარქვი, კარგი სახელია არა?), ძირითადად სულ მოვალეობას ვხედავდი მათში, მაგრამ რომ არ მოსულიყვნენ, როგორ შეიძლებოდა? რას იტყოდა მერე მათი ოჯახის მეზობელი ზაირა? ღმერთო, რა სისულელეა, რომ შემეძლოს აქედან ყველას გავაგდებდი, აი, რატომ არ დავდიოდი გასვენებებზე! გავაგრძელე შავოსნების თვალიერება, მოვალეობა და მოვალეობა. როცა ადამიანები გამომელია, ყვავილებზე გადავედი, ფერადი და ჭრელი ყვავილები: იები, ენძელები, ყოჩივარდები, იასამნები, ვარდები, ნარცისები... ახლა სადღაც ქვემოთ ჩავდივარ, სუნთქვა არ მეკვრის, ვერაფერ ადამიანურს ვერ განვიცდი... მაგრამ მაინც ვიგრძენი ცოტაოდენი შავი მასა ჩემზე.

მშვიდობით...

მშვიდობით...

მშვიდობით...

მგონი ეს სიტყვები ყველამ მითხრა, იოანეს გარდა, ის არ ჩანს. შავი მასა უფრო და უფრო იზრდება, ნელ-ნელა კი თვითონ ვხვდები შავი მასის ნაწილი. მარტო დავრჩი, ცოტა სიცივე, ცოტა აგრესია, ცოტა მონატრება და ცოტაც იმედგაცრუება. ჩემ ზემოთ კვლავ ვგრძნობდი ოთხ ადამიანს, ეს ის მწვანეთვალება გოგოა, ნოე შვილთან ერთად და კიდევ ჩემი კურსელი ნია...

მამა, ვინ ჩადეს მიწაში?

ჩემი მეგობარი...

ნეტავ ჩემი სახელი ვინ დაარქვა?

არადა რას წარმოიდგენდა, რომ მას ერქვა ჩემი სახელი...

არ ვიცი, პატარავ.

მოკვდა ?

ჰო.

მაგრამ ხომ ისევ გაცოცხლდება?

არა მგონია, საყვარელო.

მაგრამ თუ გაცოცხლდება ხომ გამაცნობ?

ის დაიხარა და შუბლზე აკოცა.

რა თქმა უნდა, გაგაცნობ.

წავიდნენ... დარჩა ორი.

ყველაზე მეტად ეს ორი ადამიანი ვერ წარმომედგინა ჩემს საფლავზე მარტო...

თქვენი მეგობარი იყო?

სიმართლე გითხრათ, კარგად არ ვიცნობდი... თქვენი?

ალბათ, კი.

კარგი ადამიანი იყო...

იყო...

მცირე პაუზა და ის ერთიც წავიდა. მწვანეთვალება კვლავ იდგა მარტო... ადამიანი, რომლისთვისაც არაფერი გამიკეთებია, არც კი მიცნობდა! მთელი ცხოვრება ვცდილობდი, სხვებისთვის ბედნიერება მიმენიჭებინა და ამის გამო, ჩემს გეგმებს გვერდით ვდებდი, ახლა კი ყველაფერი დაიშალა, მთელი სამყარო დაინგა, ხოლო ის ადამიანები, რომლის გულისთვისაც ყველაფერს ვაკეთებდი, გაქრნენ, აქ მხოლოდ ერთი მწვანეთვალება გოგოა, რომელის სახელსაც ვერაფრით ვიხსენებ. ალბათ ხვდება, რომ მარტო ყოფნის მეშინია, უბრალოდ დგას, თითქოს რაღაცას ელოდება, მაგრამ არა! ის თვითონაა ლოდინი. ალბათ ეს ნიშანია, რომ უნდა შეევეგუო, რომ მე ამის ნაწილი აღარ ვარ, არა? მაგრამ როგორ შეევეგუო იმას, რომ იოანე არ მოსულა? გოგონამ სამი ნაბიჯი გადადგა, ალბათ წასვლა დააპირა, მაგრამ გაჩერდა, წამით საკუთარი თავი მასში ვიგრძენი, შენელებული სუნთქვა, ჰაერის უკმარისობა, თითების კანკალი, აჩქარებული გულის ცემა და... და მან გადადგა მეოთხე ნაბიჯიც... მეხუთეც, მეექვსეც, მე კი თავს მასში აღარ ვგრძნობდი, რადგან ამის უფლება აღარ მქონდა.

ნაბიჯები... რა უცნაურია დრო, სულ ერთი წამით ადრე რომ გადამედგა ერთი ნაბიჯი, ან სულ ერთი წამით გვიან, ახლა საქორწილო კაბის ასარჩევად ვიქნებოდი... ერთი ნაბიჯი! ერთი წამი! აბსურდია... წესით ეს სევდისმომგვრელი უნდა იყოს, მაგრამ მხოლოდ ირონიასა და სარკაზმს ვხედავ! ცოტახანში კვლავ ვიგრძენი ნაბიჯები ჩემს საფლავზე. იოანე... ჩემთან ახლოს იყო, შავი და თეთრი ვარდები მოიტანა, როგორც ნოტები... შავ-თეთრი ვარდების მოტანა მხოლოდ იოანეს მოაფიქრდებოდა, როგორ ცდილობს მკვდარიც კი გამახაროს.

იოანე იშვიათად ტირის... ახლა ტიროდა. ვგრძნობდი, როგორ მეყინებოდა სისხლი ძარღვებში, მიუხედავად იმისა, რომ არც სისხლი და არც ძარღვები არ გამაჩნდა... სული კი იკაწრებოდა, შუშასავით იფშვნებოდა...

მეშინია გესმის? არ შეგიძლია უბრალოდ დამიბრუნდე?! უბრალოდ დამიბრუნდე?!

ვერც კი წარმოიდგენდა, როგორ მინდოდა ეს!

მიყვარხარ!

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, ტრიალებენ სიტყვები და არ ჩერდებიან, ირგვლივ სულ კიბეა, როგორ დავაღწიო თავი აქაურობას... კიბე იშლება და შავ ასფალტზე თეთრი ზოლები ჩნდება, როგორც ნოტები, მაგრამ ეს გადასასვლელი ზებრაა. მწვანე ინთება, მოემართება მანქანა, მისი სიჩქარე რაღაც გაელვებას ჰგავს...

დაბრუნებულს იოანე აღარ მხვდება, დიდხანს ვიცდიდი. იქამდე სანამ არ დაღამდა და არ მივხვდი, რომ სამუდამოდ უნდა დავმშვიდობებოდი კავშირს ჩემს სხეულთან, თუმცა ვიღაც მომიახლოვდა, საოცარი შიში დამეუფლა და მეტიც... ავფორიაქდი, ქაოსმა მომიცვა. შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც უკან დიდი სევდა მოჰყვებოდა... ღმერთო ჩემო, მას ისეთივე მწვანე თვალები ჰქონდა, როგორც იმ გოგოს.

მაპატიე! მაპატიე!

რა დააშავა? რა უნდა ვაპატიო?

არ მინდოდა, გეფიცები არ მინდოდა.

ბიჭი გულწრფელად ტიროდა და მგონი მივხვდი.

ძალიან ვწუხვარ! როცა გავიგე...

რატომ უნდა ვაპატიო მას? ყველაფერი წამართვა! ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა! პატიების თხოვნის უფლებაც კი არ აქვს!

დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს... რომ შემეძელოს!...

მაგრამ არ შეგიძლია! არ შეგიძლია!

მაპატიე! მაპატიე! გთხოვ...

მგონი გპატიობ... და აი, უკვე მზად ვარ სამუდამოდ გავშორდე ჩემს სხეულს, ის არ ყოფილა უბრალო „ჭურჭელი“, ის მთელი ისტორია იყო, რომელიც არა მხოლოდ ჩემ უკვე მკვდარ ნეირონებში ინახება, არამედ მთელ სივრცეში განაგრძობს არსებობას. სივრცეში, რომელიც სავსეა ემოციებით და არასწორხაზოვანი მიმართულებებით... ეს დეენემი არ ყოფილა, ეს მე ვიყავი! შეიძლება აღარავის ვახსოვდე ორმოცდაათი წლის შემდეგ, თუმცა ჩემი ყოველი ტკივილი, სიხარული, ბედნიერება თუ წყენა... ყველაფერი, რაც ჩემი ცხოვრების გარსს უკავშირდება იყო, არის და იქნება გამჭვირვალე სივრცეში!

ისევ ავდგები დილით ადრე, ისევ დავივარცხნი ჩემს აწეწილ თმებს, ისევ მოვიდუღებ ქაფიან „კაპუჩინოს“, ისევ გადავალ შავ-თეთრ ზებრაზე, ისევ ჩავეფლობი ფურცლებში, ისევ ავაგებ ოცნების კოშკებს, ისევ დავუკრავ ჩემს როიალზე, ისევ დავგეგმავ მომავლს და ისევ გავუღიმებ ყველას! ვიცი, რომ ასე იქნება...

უცნაურია არა? მახსოვს ვიდექი, მწვანე შუქის ანთებას ველოდებოდი, რომ გზაზე გადავსულიყავი, ლურჯი კაბა მეცვა, რომელსაც ქარი ოდნავ მიფრიალებდა... ცალ ხელში ცხელი ყავა მეჭირა, მხარზე ჩანთა მქონდა გადაკიდებული, რომელშიც ფაილები და საბუთები ძლივს ეტეოდა. როგორც კი მწვანე შუქი დავინახე, ნაბიჯი გადავდგი... ჯერ ერთი... შემდეგ მეორე... მესამე... მაგრამ მეოთხე? სადაა ჩემი კუთვნილი მეოთხე ნაბიჯი?

სანთელი

ირმა კეკელიძე

გაზაფხულზე, მარტის დასაწყისში, თოვლმა დნობა, რომ დაიწყო და ჰაერში გაზაფხულის სუნი დატრიალდა, ნენომ დილაუთენია სახლის კარი გამოაღო და ეზო–გარემოს გადაავლო თვალი. გარეთ გამოვიდა, ნაჯახს ხელი წაავლო და შეშის დასაჩეხად ეზოს კუთხისკენ გაემართა... ისე მოხერხებულად ანაწევრებდა დიდ მორებს, რომ ვაჟკაც კაცს შეშურდებოდა მისი ჯანღონისა და მოხერხების. დაჩეხილი შეშა ლამაზად მოათავსა ძველი კრამიტით გადახურულ ხის საწყობში და დაღლილ–დაქანცული იქვე ხის მორზე ჩამოჯდა... „სადა ხარ, შვილო, სად გამექეცი?!... აბა, ეს არის საქმე?!... მე უნდა ვჩეხდე შეშას?!.. ამხელა ვაჟკაცი გაგზარდე... თუმცა, რას დავეძებ შეშის ჩეხვას, ოღონდაც შინ დაბრუნდი და ყველაფერს გავაკეთებ, არაფრისთვის არ შეგაწუხებ!... ოღონდაც ჩემთან იყავი, ოღონდაც გხედავდე, რომ კარგად ხარ და არაფერს აღარ დავეძებ... ის ოხერი მაჭანკალიც, რომ მე მოვძებნე და ის უსინდისო გოგოც ჩემი რჩევით გახდა შენი ცოლი... შენზე საყვედური როგორღა ვთქვა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე მინდოდა, წინააღმდეგობა არ გაგიწევია... ომს ორჯერ გადაურჩი. ისე დამიბრუნა ღმერთმა შენი თავი, რომ ერთი ნაკაწრიც არა გქონია. ვინ იფიქრებდა, რომ შენს საკუთარ ოჯახში, ტყვიის გარეშე შიგ გულში დაიჭრებოდი!... ოღონდაც შინ დაბრუნდი, შვილო, და ყველაფერს თავიდან დავიწყებთ, ყველაფერს მივხედავთ. შენს გოგონასაც დავიბრუნებთ და კარგ ოჯახსაც შექმნი. ჯერ ისევ ახალგაზრდა ხარ“... – ფიქრობდა ნენო და თვალცრემლიანი უაზროდ გაჰყურებდა ეზო–გარემოს...

***

ტაძარში ყველა იცნობდა ზურაბს. ყოველდღე იქ იყო. ზოგს არ მოსწონდა და ალმაცერად გახედავდნენ ხოლმე ტაძარში შემოსულს. ზოგსაც მის დანახვაზე სიბრალულით ევსებოდა გული. მუდამ შუბლშეკრული იყო. უფრო ხშირად ხაკისფერი სამხედრო ტანსაცმელი ეცვა. მაღალი, მხარბეჭიანი იყო. შავგვრემანი, შავი წვერითა და თმით. შავი სქელი წარბებით და დიდრონი თვალებით, ისეთი გამჭოლი მზერით იცქირებოდა, რომ თითქოსდა ირგვლივ მყოფთ მისი გადაუხდელი ვალი ჰქონდათ. მთელს სამყაროს ეჭვის თვალით უყურებდა. არავის არ ესალმებოდა. შეაღებდა თუ არა ტაძრის მაღალ ხის კარებს, ივერიის ღვთისმშობლის ხატისკენ აიღებდა ხოლმე გეზს და ხატის წინ ერთსა და იმავე ადგილზე დადგებოდა. იქვე მდგარ შანდალზე, ჩამქრალი სანთლების ნარჩენებს ერთმანეთს გადააბამდა, ერთ მთლიან სანთელს გააკეთებდა და აანთებდა. უძრავად მდგარი უხმოდ მიშტერებოდა ღვთისმშობლის ხატს... არავინ იცოდა ვინ იყო, საიდან იყო, რას ფიქრობდა, რა ხდებოდა მის გულში... ტაძარში მყოფთაგან მხოლოდ რამოდენიმემ იცოდა, რომ ზურაბი ერქვა და თუ დაინახავდნენ ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინ შანდალზე დამაგრებულ გადაბმულ სანთლის ნარჩენებიდან გაკეთებულ სანთელს, ხვდებოდნენ, რომ ეს ზურაბის ნახელავი იყო...

გაზაფხულის ერთ კვირა დღეს, როდესაც ტაძარში წირვა მთავრდებოდა, ზურაბმა ტაძრის კარი უხეშად, ჯიქურ შეაღო. მრევლი აქეთ–იქით მისწი–მოსწია, რომ როგორმე ღვთისმშობლის ხატამდე მისულიყო. როდესაც სასურველ ადგილზე მივიდა, რამოდენიმე ჩამქრალი სანთლის ნარჩენისგან თავისებურად სანთელი გააკეთა, დაანთო და ხმამაღლა, თითქმის ყვირილით დაიწყო ლაპარაკი: „რა გინდოდა, რა არ გყოფნიდა, რაც შემეძლო ყველაფერს გისრულებდი... ქალაქი გინდოდა და წამოგიყვანე ქალაქში. ბინაც ვიქირავეთ. დღე და ღამე ვშრომობდი, რომ შენთვის და ბავშვისთვის არაფერი დამეკლო. უნამუსო გამოდექი, უნამუსო!... დედაჩემი და მამაჩემი ზედ გევლებოდნენ. რას არ ეზიდებოდნენ სოფლიდან, რომ როგორმე შენი ოხერი გული მოეგოთ, მაგრამ ვერაფერი ვერ დაგანახეს!... მადლობაც არასოდეს გითქვამს საწყალი ადამიანებისთვის... შენმა უნამუსობამ მამაჩემის სიცოცხლე შეიწირა. ორმოც წელს გადავაბიჯე, მეორედ გადავურჩი ომს, მაგრამ შინ დაბრუნებულს ისე ჩამისაფრდი, ისე მომკალი და ცოცხლად ისე დამმარხე, რომ ერთი მუჭა მიწაც არ მოგიყრია“...

***

კარგი ოჯახი ჰქონდათ ნენოს და თეიმურაზს. ბევრი შვილები უნდოდათ ჰყოლოდათ, მაგრამ ღმერთმა მხოლოდ ერთი ვაჟი, ზურაბი აჩუქათ... როდესაც ზურაბმა ინჟინრის დიპლომი მიიღო, დიპლომიანმა მექანიზატორმა, ისევ სოფელს მიაშურა. მექანიზატორის საქმე იქაც ბევრი იყო. როდესაც სულ ახალგაზრდა ყმაწვილმა ომში ამოყო თავი, ნენო და თეიმურაზი დღე-დაღამ ლოცულობდნენ, რათა მათი ერთადერთი შვილი უვნებელი დაბრუნებულიყო. დაბრუნდა კიდეც. მეზობლები ულოცავდნენ ზურაბს ომიდან დაბრუნებას, მაგრამ ახალგაზრდა მამაკაცი უკმაყოფილოდ ჩაიქნევდა ხოლმე ხელს და თავისთვის ჩაილაპარაკებდა: „მე კი დავბრუნდი, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ჩემს ომში ბრძოლას?! რაც დავკარგეთ იმას როდისღა დავიბრუნებთ?“...

გავიდა წლები. ზურაბსაც ასაკი მოემატა. გვერდზე სოფელში მცხოვრები მაჭანკალი, კესო, ნენოს შეუჩნდა და არ მოასვენა: „შენი ზურაბი ისეთ გოგოზე უნდა დავაქორწინო, რომ ჩემთან შენი ოჯახი მუდმივ ვალში იქნებაო. ჩემს მეზობლებს მარიამს და ვახტანგს ისეთი პირმცინარი და ლამაზი გოგო ჰყავთ, რომ შეხედავთ გული გაგინათდებათ. სოფლის მედ. პუნქტში მუშაობს, ლია ჰქვია, ექთანია... ბევრს მოსწონს სარძლოდ, მაგრამ ყველას თავს არ უყადრებს. აი, შენს ზურაბს კი ნამდვილად ვერ დაიწუნებს“... გაჭრა მაჭანკლის სიტყვებმა. ნენოს და თეიმურაზის ოჯახში დიდი საქორწინო სუფრა გაიშალა. გაიხარა ოჯახმა... ერთი წლის თავზე გოგონა, პატარა ნინო შეეძინათ... უხაროდა თეიმურაზს, სიხარულით ცას ასკდებოდა ნენო, ბედნიერი იყო ზურაბი. აღარ იცოდნენ რა ექნათ, როგორ ესიამოვნებინათ ახალგაზრდა დედა და პატარა პირმცინარი გოგონა... როდესაც ბავშვი ორი წლის გახდა, ლიას უხასიათობა დაეტყო, ჩუმჩუმად საყვედურობდა ქმარს: „რა მომავალი ექნება ჩვენს შვილს. ყველა ცდილობს ქალაქში მოიწყოს ცხოვრება. აქ ხომ არ უნდა ჩავკვდეთ დედაშენივით და მამაშენივით?!... გაინძერი, იღონე რამე. ინჟინერი ხარ, იქ უფრო უკეთეს სამსახურს მოძებნი. მეც სადმე საავადმყოფოში დავიწყებ მუშაობას. ბავშვიც უკეთეს გარემოში გაიზრდება. ცოდვაა, აქ ხომ არ უნდა ამოვხადოთ სული. ჩვენზე თუ არ ფიქრობ, ბავშვის მომავალზე იფიქრე!...“ ზურაბმა გაბედა და უთხრა მშობლებს ლიას სურვილი. თეიმურაზს გულზე ეკალივით მოხვდა შვილის და რძლის გადაწყვეტილება, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. დაღონებულმა ნენომ თავისთვის ჩაილაპარაკა: „თუკი ასე გირჩევნიათ, არ დავეძებ, ოღონდაც თქვენ კარგად მყავდეთ!... რაც შეგვეძლება აქედანაც მოგეხმარებით!...„

ქალაქის გარეუბანში ორ ოთახიანი ბინა იქირავეს. ზურაბმაც იქვე სახლთან ახლოს მშენებლობაზე, მუშად დაიწყო მუშაობა, სხვას ვერაფერს გახდა. ლიას მისმა მეგობარმა გოგონამ რკინიგზის საავადმყოფოში, ღამის მორიგე ექთნად უშოვა სამსახური და ისიც დასაქმდა. თავს არ იზოგავდა ზურაბი. შრომობდა, წვალობდა, რომ მისი ორი ლამაზი ქალბატონისთვის არაფერი დაეკლო. ყოველი კვირის ბოლოს ან თვითონ მიდიოდა სოფლად ან ნენო და თეიმურაზი ეწვეოდნენ ხოლმე სოფლის ძღვენით... სამ წელზე მეტ ხანს გასტანა სოფლიდან ქალაქში ჩამოსული ახალგაზრდა ოჯახის ყოფამ, როდესაც აგვისტოს ერთ მცხუნვარე დღეს, ქვეყანას და ზურაბსაც ფეხდაფეხ ისევ ომის ქარცეცხლი წამოეწია... წავიდა ზურაბი ომში... ისევ საშინელი დარდი და ვარამი შემოაწვა ნენოს და თეიმურაზს... ისევ უძილო ღამეები და შვილის მოლოდინში გათენებული ზაფხულის მზიანი, მაგრამ დარდიანი დღეები... ზაფხული გასული არ იყო, რომ ისევ დაბრუნდა ზურაბი. საღამო ხანი იყო, რომ სოფლის შარაგზაზე მიაბიჯებდა სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმული, დაღლილი და სახემოღუშული. ეზოს ჭიშკარი შუბლშეკრულმა გააღო. თეიმურაზი და ნენო სახლის წინ მდგარ გრძელ ხის სკამზე ჩამომსხდარიყვნენ და ფიქრში წასულები უბრად ისხდნენ. ჭიშკრის ხმაზე გამოფხიზლებულები ერთხანს გაოცებულები მიშტერებოდნენ მოულოდნელად დაბრუნებულ შვილს, მერე კი ნენოს შეძახილმა, თითქოს ცა გააპო: „ჩემი შვილი, ჩემი ზურაბი დაბრუნდა!... დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა!...“ გაჰყვიროდა ნენო და ისე მირბოდა შვილისკენ. მას უკან უხმოდ, ჩემი ზლუქუნით თეიმურაზი მისდევდა... ზურაბი დედ–მამასთან ერთად ხელგადახვეული გარინდული იდგა ეზოს შუა გულში, ცაზე საღამოხანს მკრთალად მოციმციმე სავსე მთვარე კი სამივეს თავზე დაჰყურებდა და მათ სიხარულს იზიარებდა...

ვახშმად ღამის მთელმა სოფელმა ერთად მოიყარა თავი. თეიმურაზის და ნენოს სიხარულს მთელი სოფელი შეუერთდა. ზურაბს ომიდან მშვიდობით დაბრუნებას, უკვე მეორედ ულოცავდნენ. ზურაბი კი, ისევ ხელის ჩაქნევით პასუხობდა: „ან პირველად და ან მეორედ ნეტავ რა გავაკეთე?!... მხოლოდ ჩემი ოხერი თავი ჩამოვიტანე!... ის, რაც არ უნდა დაგვეკარგა, რაც ჩვენია, მაინც დავკარგეთ!“... ვახშმობა მალე დაამთავრა. ფეხზე წამოდგა და ისე წარმოსთქვა: „უნდა წავიდე, ჩემს ლამაზ ქალბატონებსაც ისევე მოულოდნელად უნდა დავადგე თავს, როგორც თქვენ დაგადექით. არ მინდა ტელეფონით დავურეკო. გათენებამდე იქ ვიქნები“...

გარიჟრაჟზე, დილის ექვსი საათიც არ იქნებოდა, როდესაც ზურაბმა ბინის კარები ფრთხილად გააღო. დაინახა, რომ საძინებელ ოთახში შუქი ენთო. ოთახის კარი რომ შეაღო, გაოცდა. მეზობელი ქალი შუშანა, პატარა ნინოს, რომელიც საწოლში იწვა, თავზე სველ ნაჭერს ადებდა. ნინომ უცებ შეჰყვირა: „მამა, მამა მოვიდა!“ შეშინებულმა შუშანამ კარისკენ გაიხედა და მოულოდნელობისგან ენა ჩაუვარდა. ზურაბი დაბნეული მივარდა ბავშვს, ლოგინიდან წამოაყენა და გულში ჩაიკრა, ბავშვი სიცხისგან იწვოდა, შემდეგ შუშანას მიუბრუნდა და შეშინებულმა ჰკითხა: „ლია სად არის?“... შუშანა აიწურა, ხმას ვერ იღებდა, უხმოდ მიშტერებოდა ზურაბს, რომელმაც უკვე მკაცრი ხმით გაუმეორა: „ლია სად არის, ქალბატონო შუშანა?“ ქალი უცებ გამოერკვა. თავზე ხელი გადაისვა და გაოგნებულმა შეხედა თავზე ბოქაულივით წამომდგარ ზურაბს. შემდეგ თავი ჩაიქინდრა და ისე უპასუხა: „ლია სამსახურშია, დღეს მორიგეა, ბავშვი მე ჩამაბარა... ზურაბ, სულ დავიბენი... რა კარგია, რომ უვნებელი დაბრუნდი!“... პატარა გოგო მამის კისერზე ისე იყო ჩამოკიდებული, რომ გეგონებოდათ არასოდეს მოშორდება მის გულ–მკერდს ეს პატარა არსებაო.

დაბნეული ზურაბი თან ბავშვს ეფერებოდა, თანაც მეზობელ ქალს მიშტერებოდა. ზურაბი ისევ ჩაეკითხა შუშანას: „ბავშვი რომ სიცხიანია იცის?... შუშანამ არც აცია და არც აცხელა ისე მიახალა: „იცის, აბა, არ იცის? რამდენჯერ ვუთხარი, გადარეკე სამსახურში, ან მორიგეობა გაუცვალე ვინმეს. ბავშვს ასეთ მდგომარეობაში ნუ დატოვებ–მეთქი... მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალა. სამსახურს ვერ გავაცდენო და სიცხიანი ბავშვი მე შემაჩეჩა ხელში. სიცხემ უფრო მეტად აუწია. ძალიან ვნერვიულობდი. მიხარია, რომ გამოჩნდი. მთელი ღამეა ვურეკავ, მობილური ტელეფონი გამორთული აქვს. თვითონ ერთხელაც არ დაურეკავს. ნუთუ არ აინტერესებს, ბავშვი როგორ არის?!... ერთი საათის წინ სასწრაფო დახმარება გამოვიძახე. ვირუსი აქვსო!... დანიშნულებაც მოგვცეს, მაგრამ მე რომ წამლებზე წავიდე, ბავშვთან ვინ დავტოვო?!..“ არ ცხრებოდა შუშანა.

ზურაბი დაბნეული და გაოგნებული მიშტერებოდა ხან ბავშვს, ხანაც მეზობელ შუშანას. ბავშვი უხმოდ დანვა ლოგინზე. გოგონამ ტირილი დაიწყო: „მამა შენთან მინდა“. მამა მოეფერა პატარას და თითქმის ჩურჩულით უთხრა: „ნუ გეშინია, ნინიკო, წამლებს გიყიდი, დედასაც მოგიყვან და მალე დავბრუნდები“. ბავშვმა ტირილი შეწყვიტა, სახეზე ღიმილი მოედო და მამას შეეკითხა: „დედას მოიყვან?..“ მამამ უხმოდ დაუქნია თავი, ექიმის დანიშნულება გამოართვა შუშანას და სწრაფად დატოვა იქაურობა.

ავტომანქანაში მჯდარი ზურაბი, წამდაუწუმ ახსენებდა ტაქსის მძღოლს, რომ სწრაფად ევლო და დროულად მიეყვანა საავადმყოფომდე. როგორც იქნა მივიდა. განერვიულებულმა შეაღო საავადმყოფოს კარები. წინ დაცვის თანამშრომელი გადაეღობა და შეაჩერა... „ვერ გაგიშვებთ, არ შეიძლება!... ვისთან ბრძანდებით?... მე გაგირკვევთ თუ რამე გნებავთ“ – ეუბნებოდა დაბნეულ ზურაბს საავადმყოფოს დაცვის თანამშრომელი... ზურაბი თავს ვეღარ იკავებდა, ისე განერვიულებული უსხნიდა ახალგაზრდა დაცვის ბიჭს თავის მდგომარეობას და თან აჩქარებდა, რომ ლიასთვის დაეძახა...

საავადმყოფოს ფოიეში მდგარი მორიგე ექიმი ქალი შეშფოთებული უყურებდა ზურაბს და ხელების უაზრო მოძრაობით დაბნეული ესაუბრებოდა: „გუშინ საღამოს მოვარდა ლია საავადმყოფოში, მთხოვა, რომ შინ გამეშვა, რადგან ბავშვს სიცხე ჰქონდა. ვიღაც ახალგაზრდა ვაჟი ახლდა. მითხრა, რომ მისი მეუღლე იყო. მეც დავუჯერე და შინ გავუშვი. რამოდენიმეჯერ ადრეც მოაკითხა იმ ახალგაზრდა მამაკაცმა ლიას სამსახურში. ეჭვიც არ შემპარვია, რომ ის მისი მეუღლე არ იყო... ვერც წარმოვიდგენდი თუ მატყუებდა... მეტს ვერაფერს გეტყვით, გაოგნებული ვარ!...„

ზურაბმა შერყეული სახით გააღო ბინის კარები. ჩქარი ნაბიჯით შევიდა ბავშვის ოთახში. ნაყიდი წამლები შუშანას შეაჩეჩა ხელში... ბავშვს მიაშტერდა, ისე უყურებდა, თითქოს მას სთხოვდა პასუხს ყველაფერზე, რაც მის თავს ხდებოდა. გოგონა შეშინებული უყურებდა მამას. ბოლოს როგორც იქნა ჰკითხა: „მამა, დედა რატომ არ მოიყვანე?...“ ზურაბი დუმდა. ხმას არ იღებდა. ბავშვმა ისევ გაუმეორა: „მამა, დედა სად არის?...“ ზურაბი ბავშვის ხმაზე გამოფხიზლდა, გოგონა წამოაყენა საწოლიდან, ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა. შემდეგ ხმადაბლა უთხრა: „ნუ გეშინია, ალბათ მალე მოვა დედაშენი!“... გაოგნებულმა შუშანამ თავი ვერ შეიკავა ისე მიახალა ზურაბს: „რა სამსახური აქვს ასეთი, რომ მის მდგომარეობაში არ შედიან?!... რა მოხდებოდა რომ გამოეშვათ ავადმყოფ ბავშვთან?! თანაც ქმარი დაბრუნდი ომიდან!... რა არაადამიანები არიან!... რა უღმერთობაა!... გათენდა!... რითი ველარ დამთავრდა ღამის მორიგეობა?!“ შუშანას ქაქანი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კარის გაღების ხმა გაისმა. ლია შემოვიდა ოთახში. ზურაბის დანახვაზე შეცბა, ფერი დაკარგა. მის დანახვაზე შუშანამ ქაქანი გააგრძელა: „მადლობა ღმერთს, რომ დაბრუნდი! რა მოხდებოდა, რომ შენს მდგომარეობაში შესულიყვნენ და ბავშვთან გამოეშვით?“... ლიამ სწრაფადვე უპასუხა: „ძალიან ვეხვეწე და ვემუდარე მორიგე ექიმს, მაგრამ ვერაფერს გავხდი. კატეგორიული უარი მითხრა. ძალიან ვნერვიულობდი, თვალწინ სულ ბავშვი მედგა...“ გაფითრებულმა ზურაბმა ბავშვი საწოლში ჩააწვინა, ოთახში შემოსულ მეუღლეს გამეხებული სახით შეხედა და თვალი თვალში გაუყარა...

***

სასამართლოს დარბაზიდან გამოსულ ნენოს და თეიმურაზს გვერდზე მდგომი მეზობლები ამშვიდებდნენ. ნენომ ძლივს წამოილუღლუღა: „ბიჭი მეორედ იყო ომში. ცოლ–შვილს, დედ–მამას არაფერს გვაკლებდა. ყველაფერი ოჯახისთვის უნდოდა, შვილისთვის უნდოდა... უსინდისო გოგო, თვითონ ღალატობდა და ჩემი ბიჭი უნდა დაეპატიმრებინათ?! გაოგნებული თეიმურაზი ცდილობდა ნენო გაეჩუმებინა, მაგრამ თვითონაც ვერ შეიკავა თავი და ხმამაღლა ალაპარაკდა: „მეზობლის თვალწინ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლესო. მტკიცებულება არ ჰქონდა, რომ ნამდვილად უღალატაო!... მეტი რაღა მტკიცებულება უნდოდა!... ან კი, რომ არ შემოაკვდა, გასაკვირი არ არის?!“... გაფითრებულმა თეიმურაზმა უეცრად გულზე ხელი დაიდო და სასამართლოს კიბეზე ჩაიკეცა...

***

ტაძარში, ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინ მდგარმა ზურაბმა, საგულდაგულოდ შეაგროვა დამწვარი სანთლის ნარჩენები, შანდალზე დაამაგრა და დაანთო. ხან ღვთისმშობლის ხატს უყურებდა, ხან მის დანთებულ სანთელს. თავისთვის ლაპარაკობდა: „სანამ ციხეში ვიყავი, ორი წლის განმავლობაში, ისიც კი მოახერხე, რომ აქაურობა დატოვე, უცხოეთში გაიქეცი და ბავშვიც თან წაიყვანე. საწყალ მამაჩემს ხომ ბოლო მოუღე და საიქიოში გაისტუმრე. დედაჩემი საცოდავად მარტოდ არის დარჩენილი. იმის თავიც აღარ მაქვს, რომ საცოდავ ქალს გვერდში ამოვუდგე და ვანუგეშო!...“ ირგვლივ მყოფ ადამიანებს გადახედა. ხანში შესული მონაზონი ქალი მიუახლოვდა. დიდი კელაპტარი მიაწოდა და უთხრა: „დაანთე, შვილო, შეევედრე უფალს და გზას აუცილებლად გამოგიჩენს. სანთლის დანთება როცა გინდოდეს, არ მოგერიდოს, მე სულ ტაძარში ვარ... მთხოვე და რამდენი სანთელიც გინდა იმდენს მოგცემ. ნუღარ იწვალებ, სანთლის ნარჩენებს ერთმანეთს ნუღარ გადააბამ“... ზურაბმა მადლიერების ნიშნად ქალს გაუღიმა, სანთელი გამოართვა და დაანთო. ივერიის ღვთისმშობლის ხატს შეხედა და ჩურჩულით უთხრა: „ჩემი შვილი, ჩემი გოგო დამიბრუნე, მეტს არაფერს გთხოვ!...„

***

„... შენზე საყვედური როგორა ვთქვა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე მინდოდა. ყველაფერი დამიჯერე. წინააღმდეგობა არ გაგიწევია. ჩემი ამორჩეული ქალი შეირთე ცოლად... ორჯერ ომს გადაურჩი. ისე დამიბრუნა ღმერთმა შენი თავი ერთი განაკაწრიც არა გქონია!... ვინ იფიქრებდა, რომ შენს საკუთარ ოჯახში, ტყვიის გარეშე, შიგ გულში დაიჭრებოდი!... ოღონდ შინ დაბრუნდი, შვილო, და ყველაფერს თავიდან დავიწყებთ, ყველაფერს მოვუვლით, შენს გოგონასაც დავიბრუნებთ. ჯერ ისევ ახალგაზრდა ხარ და კარგ ოჯახსაც შექმნი. თითქმის შენი სიგრძე სანთელი ჩამოვქენი, ღვთისმშობელს დავუნთე, მჯერა, რომ დამეხმარება... ოღონდ შენი თავი დამიბრუნოს, მეტს არაფერს ვთხოვ... უფალო, გევედრები, ჩემი შვილი, ჩემი ბიჭი დამიბრუნე!...“ ფიქრობდა დილას, გარიჟრაჟზე გარეთ გამოსული ნენო და უაზროდ გაჰყურებდა უკაცოდ დარჩენილ ეზო–გარემოს.

ამირან ხეცაძე

***

ღამე არის გასაოცრად წყნარი,
დაღლილ მთვარეს უჩანს თავის ქალა,
სიო უკრავს ბეთჰოვენის ქნარით,
ვარსკვლავები თვალს უკრავენ ქალაქს,
ნაპირს ჰკოცნის მოდუდუნე მტკვარი
და უსველებს მზეზე გამშრალ კაბას.

ვერცხლის შუქი ეკონება გულში,
აქ, მთაწმინდას – მყუდროების მეფეს,
მარმარილოს სხივი კალთას უშლის,
სადაფივით თეთრი კბილნი ჰყეფენ,
ჩამყვირიან კრუალები ყურში –
„ჰე პოეტო, მიდი იოცნებე.“

მთაწმინდიდან ჩამოვდივარ დაბლა,
თან მომყვება ლამპიონთა გუნდი,
ტალღა მთვარეს უნანავებს აკვანს,
დასციმციმებს ლალი იაგუნდი,
გადმომყურებს მთვარის თავის ქალა
და მახურავს ვარსკვლავების ქუდი.

***

რატომ გავჩნდით ქვეყანაზე,
ანდა ვცოცხლობთ რისთვის,
ან ძარღვები რად გვაქვს სავსე,
წმინდა ქართულ სისხლით,
რას გვეძახის მზე და მთვარე,
ქარი რად ჰქრის რისხვით.

ჩვენს მიწაზე უცხო ტომის,
ფეხის ხმა რად ისმის,
რატომ შფოთავს დღეს დიდგორი,
რად სწუხს ან კრწანისი,
რას გვაუწყებს წინაპრების,
ძვლების ღაღადისი.

რომ შეგვეძლოს ხელის გაწვდა,
ჩვენი ქართველ ძმისთვის,
რომ ვიშრომოთ დაუღლელად,
უკეთესი დღისთვის
და ვიბრძოლოთ სანამ ვცოცხლობთ,
საქართველოს ხსნისთვის.
***

ქვეყანა ფასობს ენით და
ხალხი კულტურით, გმირობით,
ჩანჩქერი კლდიდან ხტომების,
დაუწერელი პირობით,
ნიავი ცელქი ქროლების,
ესოდენ უნაპირობით.

ბულბული ტკბილი გალობით,
გლეხი ხარით და უღელი,
ქვევრები სავსე ბადაგით,
ბეღელი ჭირნახულებით,
ხმალი ვაჟკაცის მარჯვენით,
კუნთმაგარით და უღლელით.

კაცი ქუდით და ულვაშით,
ქალი თმითა და მანდილით,
პოეტი თავისუფლების,
დაუოკებელ წადილით...
ვის ქვეყნის ბედი აწვალებს,
კაციც ის არის ნამდვილი.

***

საქართველოვ ტანჯულო,
მითხარ გენაცვალები,
დაფლეთილი სხეულით,
გაძარცვული ყანებით...
ეს მათხოვრადქცეული,
საით მიეჩქარები?!

სხვათა დანაპირებით,
ნუგბარით და ქადებით,
არა, არ მოიხიბლო,
შენ კი გენაცვალები,
არ გასწირო ადათი,
ოდით სათაყვანები.

არცა არვის ცდუნებით,
არცა ძალდატანებით,
შენი მიწა არ დათმო,
ამას გემუდარები,
თორემ ფერფლად გაქცევენ,
„დემოკრატი მამები“.

***

სულზე უტკბესო მამულო,
მთებიან – ქედებიანო,
მკერდგადაშლილო ველებო,
ბიბინა ბალახიანო,
ზეგანებო და ბორცვებო,
ნარ – ეკალ – ვარდებიანო.
ეზოებო და ბოსტნებო,
ხეებო ხეხილიანო,
ბაღო, ყანებო, ვენახო–
დაქარვულ მტევნებიანო,
ხვავით ავსილო ბეღლებო,
ქვევრებო მაჭრებიანო.
ღელეებო და ჭალებო,
კლდეებო ჩანჩქერიანო...
ღვთისკურთხეულო მიწაო,
ნათელო, სხეულმზიანო,
შენ გენაცვალე წალკოტო,
რომ საქართველო გქვიანო.

***

მიწას ლოკავს ხვლიკისფერი ხვატი,
ფოთლის ჩრდილებს იმედებად ვისევთ,
წყაროს წყალის მოწკრიალე ხმაში,
შეიცნობა იმედების სივრცე,
ჯვარისა და სვეტიცხოვლის ხატი,
გვფარავდა და დაგვიფარავს ისევ.

ქარი ფოთლებს ათამაშებს ვალსებს,
შინდი მღერის სალამურის ყელით,
საქართველოს სიყვარული გვავსებს,
საქართველოს სიყვარულით ვტკბებით,
გელათის და მოწამეთას კარზე,
გვესმის ნორჩი მლოცველების ხმები.

მწვანე ფერდობს შესევია ცხვარი,
იქ მეცხვარე ჯოხით უდგას ფარას,
ქვეყანაზე სანამ ვართ ცოცხალიმ
ქართველ და–ძმებს არ მოვექცეთ ავად,
სიონის და ქაშუეთის ჯვარი,
გვფარავდა და დაგვიფარავს მარად.

***

აღარაფერი აღარ მახარებს...
ელვა ურჩხულებს ღრუბლებში ძერწავს,
ალვებმა თავი დაბლა დახარეს,
ქარი ჯეჯილებს ქოჩორს უწეწავს,
გზად ყაყაჩოებს აახარხარებს,
მამული ყელში უზის გარეწარს
და არაფერი აღარ მახარებს.

ცაზე არ ცხრება ნისლები ავი,
მთვარეც არ ფიქრობს ახლა სამხარზე,
მწარე ფიქრები როგორც მეძავი,
გულისკენ ლტოლვას აღარ ახანებს,
მამულს მიფლითავს ყორანი შავი
და არაფერი აღარ მახარებს.

სანამდე ზეცა მოიწმინდება,
ვარსკვლავი თვალებს აახამხამებს,
ვიდრე იმედი აბიბინდება
ალბათ დარდები გულგვამს გახრავენ,
მე საქართველო მთელი მჭირდება,
და არაფერი აღარ მახარებს.

***

დილას ხელებში ჩააკვდა მთვარე,
მზემ მიმოფანტა ბაჯაღლო სხივი,
წალკოტი არის ეს არემარე,
გადაქარგული ზურმუხტის მძივით,
ქორფა მინდვრები ახელენ თვალებს,
აღტაცებული მერცხალი ჭყივის.

ნახირს ღიღინით მიდენის მწყემსი,
გარდაცვლილ მთვარეს უყეფს მურია,
ცხოვრება არის პატარა ლექსი,
ტანჯვა, ბრძოლა და სიხარულია,
ზოგს წუთისოფლის ესმის ანბანი,
ზოგიც ცოცხლადვე ხდება მუმია.

არა, არ მინდა მე სხვა ედემი,
არა, არ მინდა მე სხვა ალაგი,
მე ქართველი ვარ ჩემი ქმედებით,
ჩემი აზრით და სიტყვის მარაგით,
ამ მიწას თავზე შემოვევლები,
აქ არის ჩემი ძვალთშესალაგი.

***

ლამაზია ეს მთა–ბარი,
დალოცვილი, მადლიანი,
აქ ისევ ჩანს ნაკვალევი,
თევდორეს და დადიანის,
ცოდა დადის მომღიმარი,
უფრო მეტი დარდიანი.

სითბო დედულ–მამულეთის,
ყველაფერზე მეტი არის,
დავალ ქვეყნის სიყვარულით,
დამთვრალი და რეტიანი,
არ მომაკლოს ზეციერმა,
ამ მიწაზე ხეტიალი.

ველოდები საქართველოს,
უფრო ლამაზ გაზაფხულებს,
ვეხუტები მთებს, გორაკებს,
მინდვრებს, ველებს გადახნულებს,
დე, მამულო როცა მოვკვდე,
შენი კალთა გადამხურე.

***

ისევ ძალიან მაწუხებს ფიქრი,
ისევ ძალიან მაწუხებს დარდი,
რაც სიმართლეა პირდაპირ ითქმის,
ყველას დაგვყვება სატანის ლანდი,
კაცს ვერ იპოვნი ქუჩაში თითქმის
უფლის კარნახით რომელიც დადის.

ჩვენ ქართველ და–ძმებს: მაიას, ლელას,
ლაშას, ირაკლის და ბევრ მეგობარს,
ამპარტავნობა გვაწუხებს ყველას,
ვამბობ, თანაც ღმერთს შევთხოვ შენდობას,
თითქოს ეშმაკმა დაგვმართა ბნედა,
ქართველი ქართველს აღარ ენდობა.

ბავშვო, მოზარდო, ზრდილო, ხნიერო,
ჩვენ წინაპრები გვყავდნენ ზღაპრული,
ჩვენც მათებრ ცეცხლად უნდა ვიელვოთ,
რომ ჩვენც გმირობით ვიყოთ განთქმული...
გემუდარები ყოვლადძლიერო,
გაგვისპეტაკე სისხლი ქართული.

ცისანა ღლონტი – 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსი ცისანა ივანეს ასული ღლონტი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ცისანა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ქართული სალიტერატურო კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის კოლორიტულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1984 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „წიგნის სამყაროში“ გამოაქვეყნეთ წერილი „ძირძველი თბილისელი ვარ“, რომელიც მწერალ ირაკლი უგულავას მიუძღვენით. მას შემდეგ თქვენი ნაწერები სისტემატურად ქვეყნდება სალიტერატურო თუ სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში და საყოველთაო ინტერესითაც სარგებლობს.

თქვენი ლიტერატურული ინტერესების სფეროში, უპირველეს ყოვლისა, წინარე საუკუნის 50-იანი წლების პოეტური თაობა მოექცა, თაობა, რომელიც პრინციპულად, თანმიმდევრულად ამსხვრევდა კომუნისტური იდეოლოგიის მიერ თავსმოხვეულ სტერეოტიპებს და პოეზიას ადამიანურ სუნთქვას, ადამიანურ ვნებებსა და ზმანებებს უბრუნებდა. გატაცებით იკვლევდით და იკვლევთ ქართული ლექსის ისეთი აღიარებული დიდოსტატების შემოქმედებას, როგორნიც იყვნენ მურმან ლებანიძე, იოსებ ნონეშვილი, მიხეილ ქვლივიძე, ნაზი კილასონია, ანა კალანდაძე, ოთარ ჭელიძე, არჩილ სულაკაური, მორის ფოცხიშვილი, მუხრან მაჭავარიანი. განსაკუთრებული გატაცებით ამ უკანასკნელის – ქართული ლექსის რაინდისა და მეციხოვნის შემოქმედებას იკვლევთ. მუხრანის პოეზიას მიეძღვნა თქვენი საკანდიდატო მონოგრაფიაც _ „50-იანი წლების პოეტური თაობა – მუხრან მაჭავარიანი“.

თქვენს კალამს ეკუთვნის აგრეთვე საინტერესო წერილები მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე ჩხაიძის, თეიმურაზ ჯანგულაშვილის, ვახტანგ გორგანელის, რევაზ მიშველაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

საინტერესო და მნიშვნელოვანია თქვენი მრავალწლიანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის უფროს რედაქტორად და რესპუბლიკურ გამომცემლობათა განყოფილების უფროსად, თსუ დოცენტად, რუსთავის ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორად, საერო აკადემიასთან არსებული სახელოვნებო სკოლა-ლიცეუმის პედაგოგად, გაზეთ „წიგნის სამყაროს“ მთავარ რედაქტორად.

ქალბატონო ცისანა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ მწერალსა და მეცნიერს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ავთანდილ ივანიძე – 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და მხატვარი ავთანდილ არჩილის ძე ივანიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ავთანდილ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი პოეტური ნათლობა 1967 წელს შედგა, როდესაც გორის სალიტერატურო ალმანახ „ლიახვში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით და პერიოდულად ბეჭდავთ თქვენი შემოქმედების ნიმუშებს ქართულ პერიოდიკაში.

ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა „საუბარი გულთან“, „ჰიმნი სიყვარულისა“, „შენთან ერთად“... ამ კრებულებს თქვენი მშობლიური კუთხის – მესხეთის ნათელი ადგას, ვარძიითა და ხერთვისითაა შთაგონებული თქვენი ლექსების ლირიკულ გმირს კარგად მოეხსენება, რომ ქართველებმა ხსნის გზა სხვათა სამეფო კარზე არ უნდა ვეძებოთ, რადგანაც ის ჩვენსავე გულშია დაბუდებული; რაინდული სულის პატრონს მწვერვალებისკენ მიუწევს გული და იქ, ცის თაღთან ახლოს, სურს დაივანოს. დრო მისთვის დამფრთხალი იაბოა, რომელსაც მუდმივი წვრთნა და დაურვება სჭირდება, ცდილობს გაერკვეს, თუ რით განსხვავდება ცოდვა მადლისაგან, ის კი კარგად იცის, რომ წუთისოფელს, ცრუ და მრუდ წუთისოფელს დროზე ადრე არ უნდა განერიდო, ხმალამოღებული უნდა იბრძოდე იმ სიწმინდეების დასაცავად, ჩვენმა წინაპრებმა მოსავლელად და საპატრონოდ რომ დაგვიტოვეს...

რა ჩინებულად თარგმნეთ მიხეილ ლერმონტოვის, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევას, სერგეი ესენინის ლექსები.

თვითნასწავლი მხატვარი ბრძანდებით და ხელოვნების ამ ურთულეს ჟანრს საკუთარი სულის ნაწილს უყოყმანოდ უთმობთ.

ნაყოფიერია თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. სხვადასხვა დროს ეწეოდით პედაგოგიურ მოღვაწეობას, იყავით საშუალო სკოლების დირექტორის მოადგილე და დირექტორი, თბილისის გლდანისა და კრწანისის რაიონების განათლების განყოფილებების ინსპექტორი და მეთოდისტი, განათლების რესპუბლიკური სკოლის მეთოდისტი, გაზეთ „სარანგის“ თანამშრომელი, გაზეთის „საუბრები ბიბლიაზე“ მთავარი რედაქტორი. დღემდე განაგრძობთ პედაგოგიურ მოღვაწეობას და ბავშვებს სახვით და გამოყენებით ხელოვნებას აზიარებთ.

თქვენი მწერლური ღვაწლი ორჯერ აღინიშნა „შოთაობის“ (მესხეთი) პრემიებით.

ბატონო ავთანდილ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას თანამოკალმეს, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ჩვენი სამშობლოს გაბრწყინებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მერაბ ბერაძე – 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მერაბ ვლადიმერის ძე ბერაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ბატონო მერაბ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან დიდებულ პიროვნებას _ მწერალს, ჟურნალისტს, მამულიშვილს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში _ დაბადების 80 წლისთავს.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო და მრავალწახნაგოვანი შემოქმედებითი ცხოვრება.

1971 წელს დღის სინათლე იხილა თქვენმა პირველმა ნაწარმოებებმა _ იუმორისტულმა ნოველებმა და ნაკვესებმა. იუმორის გრძნობა, ნათელი და ხალასი იუმორის გრძნობა დღემდე არ დაკლებია თქვენს შემოქმედებას და შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დიდად გეხმარებათ ჩვენი უსიხარულო, უმძიმესი დღეების გადატანაში.

მართლაც რომ ჩინებული დრამატურგი ბრძანდებით. თქვენი პიესები „მზე ნეკერჩხლის ტყეში“, „ორი ბილეთი შეგვიანებული მგზავრებისათვის“, „ცივა, საყელო აიწიეთ“, „ცთუნება“, „ქალაქელი გვრიტები და შავი მარგალიტები“, „უკანასკნელი ტყვია“ წარმატებით იდგმებოდა, როგორც ქართული, ისე საზღვარგარეთის თეატრების სცენაზე. წარმატების საიდუმლო კი ის გახლავთ, რომ მათ გამოარჩევთ დიდი ცხოვრებისეული სიმართლე, პლასტიკურობა, პუბლიცისტური სიმახვილე, სიუჟეტის სიმძაფრე და თემის აქტუალობა..

უყურადღებოდ არც პატარები დაგიტოვებიათ, რომლებიც მუდამ ხალისით ესწრებოდნენ თქვენი პიესების მიხედვით შექმნილ თოჯინურ სპექტაკლებს („ძალა ერთობაშია“, „ხელმარჯვე ოსტატები“).

თქვენი პიესები ცალკე წიგნადაცაა გამოცემული.

თქვენს ლექსებზე არაერთი სიმღერა შეიქმნა, რომელთა შორის ობოლ მარგალიტივით ბრწყინავს „პაპანაქება ზაფხულში“. ამ ბოლო წლებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა თქვენ ლექსს დედაზე „ავუნთოთ სანთლები მშობლებს“, რომელიც არაერთ ჟურნალ-გაზეთში დაიბეჭდა და არაერთ ენაზეც ითარგმნა.

არაერთი სატელევიზიო ფილმის სცენარისტი ბრძანდებით, რომელთა შორის განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მხატვრულ ფილმს „მე მოვედი“.

ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა თქვენს ისეთ მნიშვნელოვან წიგნებს, როგორიცაა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი“, „ანეგდოტები და კურიოზები ტელევიზიაში“, „საჩუქარი“, „ცოდვაა დასავიწყებლად“...

მართლაც რომ დიდი და სახელოვანი გზა განვლეთ საქართველოს ტელევიზიაში, სადაც სატელევიზიო პროგრამა „ენერგიის“ სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყავით. ყველას გვახსოვს, რომ მთელ ძალასა და რუდუნებას ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიებასა და პოპულარიზაციას ახმარდით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოს მთიანეთში განლაგებულ 74 ეკლესია-მონასტერში მზის სხივებს გარდაქმნიან ელექტროენერგიად და ამ შუქზე ტარდება საეკლესიო რიტუალები.

მონიჭებული გაქვთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და 1990 წლის ყველაზე პოპულარული ჟურნალისტის წოდება, ჟურნალისტთა ფედერაციის 4 პრიზი, ხართ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებული ხართ იუნესკოს მედლით მეცნიერების პროპაგანდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, საქართველოს ეროვნული აკადემიის პრიზით _ „მამულის ერთგულებისათვის“.

ჩვენო მერაბ!

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და კოლეგას, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



გალაქტიონ ღლონტი – 90

90 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გალაქტიონ ანთიმოზის ძე ღლონტი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გალაქტიონ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ ღირსეულ წევრს და გილოცავენ დაბადების 90 წლისთავს.

მთელი თქვენი შეგნებული სიცოცხლე მშობელი ქვეყნის უანგარო, მუხლჩაუხრელ სამსახურს შეალიეთ. თითქმის ექვსი ათეული წელი იღვაწეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. იყავით გამომცემლობა „მეცნიერების“ უფროსი რედაქტორი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემათა რედაქციის კორესპონდენტი.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნით, რომელთა თვალწინ დაიბადა ან უკვე ლეგენდად ქცეული „პირველი სხივი“ _ თსუ ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების ორგანო. და მხოლოდ თქვენი საოცარი თავმდაბლობისა თუ მოკრძალების გამო ძალზე დაგვიანებით შედგა თქვენი პოეტური ნათლობა. დიახ, მხოლოდ 2006 წელს გაზეთ „კალმასობაში“ დაიბეჭდა თქვენი ლექსები, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე შემოქმედის სულის ნაჟური. მას შემდეგ სამი პოეტური კრებულის გამიცემა მოახერხეთ და ამ კრებულებს („ბინდის ნათელი“, „სული ცისაკენ მიემართება“, „ასი ლექსი“) ინტერესით შეხვდა ქართველი მკითხველი. ამ კრებულებში შესულ ლექსებს ემოციურობა, გრძნობათა სიწრფელე და სისათუთე, უშუალობა, სილაღე და ბუნებრიობა გამოარჩევს.

დასაფასებელია თქვენი ხანგრძლივი საზოგადოებრივი საქმიანობა. სხვადასხვა დროს არჩეული იყავით თბილისის კალინინის რაიონის საბჭოს V და VI მოწვევის დეპუტატად და თქვენი წვლილიც შეგქონდათ დედაქალაქის წინსვლასა და განვითარებაში, ხართ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

თქვენი მნიშვნელოვანი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ერთ-ერთი უპირველესი სამთავრობო ჯილდოთი _ ღირსების ორდენით, შრომის ვეტერანის მედლით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით; მონიჭებული გაქვთ საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება...

ბატონო გალაქტიონ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშობლოს სამსახურში დახარჯულ შემოქმედს, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და თქვენი სანუკვარი ოცნებების განხორციელებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ქოჯა - გოჯა

ნოდარ შანიძე

საქართველოს ისტორიის უძველესი ფურცელი გადავშალოთ. ფარნავაზი არ არის საკუთარი სახელი, არამედ საპატიო სახელწოდება უნდა იყოს.

„ფარნავაზი“ პრეცესიას ნიშნავს, ორთავ საროსს, ქართულ ანბანსაც და ასე ყველაფერი ერთმანეთს რაგვარ დაემთხვა?

იქნებ არის ძველი, აღმოსავლური, მინამგვანი სახელდება, ალბათ ჩასწორებულია. ქურუმებმა ისე გაასწორეს, რომ 666-ი, 72-ი, 28 და 43 იც გამოსულიყო. წოდების რიცხვულობა ჩანს ერთგვარი კანონიზაციით სარგებლობდა იმ დროებაში. სხვა ფარნავაზი არც მახსენდება. იგი ერთადერთია!

აქვე, საჭიროა ვიცოდეთ, იმ საუკუნეებში მიღებული იყო რომის იმპერიასთან კავშირის გამოსახატავად და რომის იმპერატორთა პატივისცემის ნიშნად, იმპერატორთა საგვარეულო სახელის მიხედვით საპატიო სახელწოდების ტარება. თუ საქართველო რომის იმპერიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა.

შერქმეული ქართველმა მეფემ არა რომისგან, არამედ ქურუმებისგან მიიღო. გამოსარკვევი რჩება ნამდვილი საკუთარი სახელი მეფისა. ამის დასადგენად ჩვენ ხელთ არაფერი გვაქვს. პასუხი არ მოგვეპოვება. კითხვას ამ გზის ღიად ვტოვებთ.

ფარნავაზის ქრონოლოგიურ რკალში კიდევ ერთი კაცია – ქუჯი.

სახელდება სწორად, დაუზიანებლადაა დაცული? ნუთუ სიტყვა დამახინჯებულია? არც ამ წოდებას აქვს პარალელი.

ქუჯი - ქოჯა. რომელი დაწერილობაა სწორი, ეს უნდა გამოვიძიოთ.

მართალია, აქ ჩვენ გვაქვს დაცილება. დაბოლოება „ი“ს ქართულში დიალექტურად დაბოლოება „ა“ ენაცვლება. სიტყვას აღვადგენ აზრის მიხედვით, რადგან ჩანს ნაკვალევი. ხოლო, რაკი ქართულ ანბანში არ გვაქვს ასო „უ“, არჩევანი ხმოვან „ო“ ზე შევაჩეროთ. ვინცობაა არის შეცდომა, ეს იქნება ლაფსუსი ისტორიულ წყაროსი და არა ლეგენდისა. ამისგან არც ერთი ისტორიული დოკუმენტი დაზღვეული არ არის.

დაშორება, რომელსაც ჩვენ ყურადღება მივაქციეთ, ქართულ საისტორიო თხზულებებისათვის არ ახალია: არსოკ – არშაკ; ბარაცმან – ბარცომ; ღადამ – ადამ;

შერქმეულები შემდეგ განსხვავებას წარმოგვიდგენს: ქუჯი – ქოჯა; გოჯი – გოჯა. პირვანდელი სრული ფორმა სახელისა არის ქოჯა. ეს ეჭვი სამართლიანია. საქმე ისაა, სახელ ქოჯას პირდაპირი საგანი, ისევე როგორც სახელდება ფარნავაზისა - რიცხვია. ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ორი წოდების რედაქციული ურთიერთობის გამოსარკვევად.

მართებულად მიგვაჩნია ამ წყვილი შერქმეულის რიცხვი ვეძებოთ და ერთმანეთს შევუდაროთ. წარმოდგენილი მიმოხილვა დაადასტურებს, ფარნავაზის გამოძახილს ქოჯასა და გოჯაში ვპოულობთ.

ციხეგოჯი. ჯერ კიდევ კოლხეთის სამეფოს დროს ფარნავაზმა ერისთავად დასვა იქ ქუჯი და ციხეგოჯი სწორედ მას აუგია. ძვ. წ. არ მე ჯჯ საუკუნეში.

ქვემორე გამოკვლევიდან ჩვენთვის ცხადი გახდება, ეს სახელი ფარნავაზის სახელდების რიცხვულ მნიშვნელობას მიუდგება და ალბათ რაიმეს კიდევაც დაგვიჟამეულებს.

ეს რომ არ არის დაცილებული სინამდვილეს, დასტურდება შემდეგის მიხედვით.

ქ ო ჯ ა (ქოჯა)

24 16 35 1

სიტყვა ოთხი პალეოგრაფიული ერთეულისაგან შედგება. რიცხვი 4 ალბათ მზის 4 წლიან ციკლზე მიგვითითებს. ა ანი განმხოლოებულ ერთეულად უნდა ჩაითვალოს. ასეც შეიძლება ავთვალოთ (3 + 1 = 4). სიტყვა სამისა და ერთის რაოდენობრივი ფორმულაა. მზის კალენდრის ნაკიან წელიწადზე მიანიშნებს.

თუ ქ – ო = 8. 24 – 16 = 8. რვა მზის ციკლია.

ო = 16. მზის ციკლი.

ქ = 24. მზის ციკლი.

თუკი ჯ + ა = 36. 35 + 1 = 36. 36 მზის ციკლია.

უკეთუ ქ + ო = 40. 24 + 16 = 40. 40 მზის ციკლია.

ვინცობაა ო + ჯ + ა = 52. 16 + 35 + 1 = 52. 52 მზის ციკლია.

თუ რომ ქ + ო + ჯ = 76. 24 + 16 + 35 = 76. 76 მზის ციკლია.

4 იდან 40 მდე 9 ოთხეულია. 40 დან 76 მდეც 9 ოთხეულია. 9 მზის რიცხვია.

.სიტყვა ქოჯაში გაცხადებული მზის 4 წლიან ციკლთან თანხმობაში მოსული ოთხის ჯერადი შემდეგი სიდიდეები (ციკლები) ამოვიკითხეთ: 4; 8; 16; 24; 36; 40; 52; 76. ოდენობებს შორისებში გამორჩენილი ოთხეულების რაოდენობაც ასე დალაგდება: 2;1;2;2;5. შევაჯამებთ და 12 ი გამოვა. წელიწადში 12 თვეა. სიტყვა ქოჯა ქანით იწყება. ქ -ანი ქვეყანაა. ქვეყანა 24 საათია. 4 დან 24 ის ჩათვლით 6 ოთხეულია. ქვეყანა 6 დღეში შეიქმნა.

ჩვენ ქ (ქანის) რიცხვს ო (ონის) რიცხვი გამოვაკელით და 8 დარჩა. თუკი ამ 8 ს ო (ონის) რიცხვზე 16 ზე გავამრავლებთ, 128 გამოგვივა. არის სხვა გზაც:

ო (ონი) სიტყვაში მეორე ასო ნიშანია. მისი რიცხვი 16 ია. თუკი თექვსმეტს ორჯერ ავიღებთ (რაკი ო – ნი რიგით მეორეა), 32 ი დაშთება. 32 ი 128 წლიანი ციკლის მეოთხედია. ვინცობაა 32 ს 4 ზე (სიტყვის ასოთა რაოდენობაზე) გადავამრავლებთ, 128 დ გადაიქცევა. 128 მზის ის რიცხვია, მხოლოდ ქართულად რომ იწოდება.

ზემოთ წარმოდგენილმა ანალიზმა, ვით ვნახეთ, დაადასტურა, სახელი დეფექტურად ყოფილა მოღწეული, დაზიანებული სახითაა შეტანილი ქართულ ძეგლში. რარიგ გამოირკვა, რიცხვიც მოშლილია. მაშასადამე, აქ სახელი ამგვარად უნდა აღვადგინოთ: ქ ო ჯ ა. მასში მზის ჟამეულებია ჩადებული. ეს უმიზეზოდ არ ხდება.

სიტყვა გოჯაც კოდური მნიშვნელობისაა. შეიკრიბება „გოჯ“ა და არა „გოჯი“. ეს ჩანს შემდეგის მიხედვით.

გ ო ჯ ა (გოჯა)

3 16 35 1

3 +16 = 19

3 + 16 + 35 = 54

ფარნავაზის რიცხვს და მზის რიცხვებით სავსე სიტყვა „ქოჯას“ „გოჯა“ მთვარის რიცხვებით პასუხობს.

ის გარემოება, რომ გოჯაც სიდიდეა, მოულოდნელი არ არის და ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. გოჯა – ერთი მხრით ხოლო ფარნავაზი და ქოჯა მეორე მხრით შეხვედრას შემდეგ რიცხვულ რკალში იძლევიან.

თუ გ (განსა) და ო (ონს) შევკრებთ, 19 ი გამოვა. ეს მთვარის 19 წლიანი კვანძური მოძრაობაა.

ჯ (ჯანის) რიცხვი 35 ია. თუკი 19 + 35 ს 54 ი იქნება. საროსი 18 წელი და 10 ან 11 დღეა. სამკეცი საროსი 54 წელია.

ონიდან ჯანამდე 18 ასო ნიშანია. 18 მთვარის ციკლია. სამჯერ თვრამეტი – 54 ია – ისევ სამკეცი საროსი.

გოჯ სამი პალეოგრაფიული ერთეულია. მოდით სიტყვას სახელობით ბრუნვის ნიშანი „ა“ ჩამოვაშოროთ და ფუძე გოჯ დავტოვოთ. (აქ ა (ანი) ცალკე დავაყენოთ, ის ხომ მთვარეს აღნიშნავს) გოჯ = 54. უკეთუ ამ ოდენობას წინ ასოთა რაოდენობის აღმნიშვნელ სამიანს დავუწერთ, მთვარის კალენდარულ წელიწადს 354 ს მივიღებთ.

ქართულმა ანბანმა ნოლი არ იცის. ვინცობაა 54 ს ბოლოს ნოლს დავუმატებთ, პირველი ჟამის აღმნიშვნელი თარიღი გამოვა – 540 წელი.

ახლა გოჯ - ი ა ნით დავასრულოთ, პირვანდელი ვარიანტი ამ სახელისა ჩანს არის „გოჯა“ რომლისგანაც შემდეგ გაცუდებული ფორმა წარმოშობილა. (ა ნი მთვარეა. მისი რიცხვი 1 ია) სიტყვა შუა გავყოთ გო – ჯა, ხოლო, ბოლო ორი პალეოგრაფიული ერთეულის, ჯ ანისა და ა ნის რიცხვები შევაჯამოთ, 36 ი დარჩება. რას უნდა ნიშნავდეს 36, თუ არა ქართული ანბანის ასოთა რაოდენობას? ფარნავაზის ქმედობის ერთ - ერთ მნიშვნელოვან ამბავს, ანბანში ასო „ჯ“ანის შემდგომ ასო „ჰ“აეს გაჩენის უწყებას?

გ ანიდან ო ნამდე ასოთა წყებაა. 12 ასო ნიშანია. მე 12 ე ასო ლასია. ზოდიაქალური სათვალავით თევზი, ცხენთევზა. 12 ნიშანი სამ ოთხეულს შეიცავს. ეს თორმეტეული მესამე ასო ნიშნიდან, განიდან იწყება და სამჯერ 12 = 36 ს. თვეთა სამი თორმეტეული, მინიშნება მასზედ – მესამე ნაკი იანგარიშეო.

ო ნიდან ღ ანამდეც ხომ ასოებია. მათი რაოდენობა 19 ია.

ახლა მოდით 19 ხ 36 ზე, 684 დაშთება – საროსის დიდი ჟამეული -ბაბილონური საროსი.

საფიქრებელია, ბიბლია საქართველოში გაცილებით ადრე ითარგმნა, ვიდრე გვეუბნებიან. რადგან, ზემოთ მოტანილ მზისა და მთვარის რიცხვებში ბიბლიური თემატიკაა.

გოჯა – გ -ანი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრაობს ხოლო, ა-ნი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ო-ნი და ჯ-ანი უძრავი ნიშნებია. ო-ნი 16 ია. ჯ-ანი 35 ია. თუ რომ მათ შევკრებთ 51 ად გადაიქცევა, ხოლო, თუ ამ ციფრს წინ პალეოგრაფიული ერთეულების ჯამს – 2 ს დავუწერთ, 251 გახდება. თუკი ამ რიცხვს უკუღმა წავიკითხავთ, 8 ხ 19 = 152 იქნება.

რაზე მიგვანიშნებს 8 და 19 ი? ქურუმთა ქართული წელთაღრიცხვა მთვარის კალენდარული ცხრამეტწლეულებისა და მზე მთვარის დაბნელებათა ჟამეულებს 436 წლიდან იწყებს. 436 წლიდან ათვლილი 152 წელი ძვ წ, აღ 285 წელს დასრულდება, ხოლო 284 წელს მთვარის მე 9 ე მოქცევის პირველი წელი იწყება.

სიტყვა ქოჯა (ქოჯა) მზის რიცხვებს ანგარიშობს, გოჯა (გოჯა) – მთვარისას. ამის მიხედვით საფიქრებელია, ძველი ციხეების სახელწოდებები ციფრებით გველაპარაკებიან.

დასასრულს კიდევ ერთი შენიშვნა: ეს ბწკარედები ნეკრესში დაიწერა.

საგულისხმოა, ნეკრესი ჩრდილოეთიდან სამხრეთის ცას გაჰყურებს. ჩანს, იგი სამხრეთის ცის დაკვირვებისთვისაა აღზევებული და აზრი, რომ ჩვენი ქურუმები სამხრეთისაკენ პირმიქცეულები იდგნენ, როდესაც თავიანთ წესს აღასრულებდნენ, აქ, ალაზონიოსის უსაშველოდ გაშლილ ველზე დასტურდება.

აღმართეთ საქართველოს დედაქალაქის მთავარ მოედანზე ფარნავაზის ძეგლი. მიუდგით მას გვერდით ქართული ასტრონომიული თავგადასავლის მომთხრობი ნეკრესული წარწერა. დედაქალაქის მთავარ მოედანს სახელი აღარასოდეს გადაერქმევა.

ანაიდა ბოსტანჯიანი

ჩემს ქართველ დოგილს

თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა,
დედასავით დამიბერდა,
ერთი სიტყვით, მხოლოდ სიტყვის
მსახურება დამებედა.

მაყვალა გონაშვილი

უწმინდესია ყველა სიტყვა
უფლის ბაგიდან.
სიტყვის მოგვები ვართ ჩვენც
სიტყვის დასაბამიდან.
უფალთან მივა
ორ ენაზე, რაც ლოცვად ითქვა,
სიტყვა – ნობათი სულისა და
ბაღნარი ხილთა.
შენი სიტყვებიც სალბუნია
და ალამდარობს,
პოეტურ სიტყვის ჯადოქარო,
ქართველო დაო.
ხარ კეთილ სიტყვის გადია და
ავის – მგმობელი.
პირველად იყო სიტყვა
ბოლო სიტყვის მშობელი.
ეს ორი ენა ჩემთვის გახდა
წმიდათაწმიდა,
ამ ორ ენაზე უკვდავების
სიმღერა მინდა.
უფლის ნობათი არის ენა
შენიც, ჩემიცა.
შენი სახელი მაყვალივით
სიტკბოს შეიცავს.
გშვენოდეს მუდამ
ეგ სიკეთე, ეგ ქართველობა,
მინდა გისურვო სიტყვის ძალა
და მზეგრძელობა.

გერონტი მესხი

სამაჩაბლოს ბულბული

ხმები მოაქვს ზენა ქარს
სამაჩაბლოს ბულბულის,
ნახნავს თუ ნავენახარს
სურნელი სდის სუმბულის.
მადლი სცხია მიდამოს
ბარაქის და ხვავისა,
რაც არ უნდა ვიდავოთ,
დგას იმედი ხვალისა...
გალობს, გალობს ბულბული.
ტოლს არ უდებს ბარე ორს,
მზეზე მბზინავ ბუმბულით
ეხამება გარემოს.
ნუღარ იქმთო საძრახისს,
ომს – უარი ბარემო!...
მოუხმეთო, დაგვძახის,
გონს ორივე მხარემო.
ხმით უგალობს ფრინველი
სამაჩაბლოს მომავალს.
ჰკვირობს ბევრის მხილველი,
დაფანტულნი რომა ვართ.
ჰანგებს აფრქვევს... დაეძებს
ძმათა შორის სამართალს.
მოიძიებს და ეგეც
გაუყვება გზამართალს.
ახსოვს, ქუჩის დაისი
სიკვდილს მოჰყვა ფრთებიანს,
სადაც ომის ხმა ისმის,
იქ ფრინველნიც ფრთხებიან...
მიატოვებს გვირგვინებმა,
ცისარტყელაც გამოჩნდა...
ომმა ასე ინება...
იქცა ყველას გამოცდად.
და ხმაურობს ის ველი,
ძმები შუღლს რომ ვიწყებდით,
მონაცრისფრო ფრინველი
მღერის თავდავიწყებით,
მღერის თავგამეტებით,
მღერის თავდაჯერებით,
გზებზე აღარ ეტევა
ჯადოსნური ბგერები.
ეფინება მანდილად
ხალხებს ჩიტის გალობა.
წვიმად მოვა ნამდვილად –
ციდან ღმერთის წყალობა.
გალობს, თითქოს აკვანთან
იავნანას მღერიან...
გასროლის დრო დამთავრდა,
ახლა ძმობის ჯერია!

ივეტა პავლიაშვილი-დოხნაძე

წარსულის გამონათება

ნაღვლიან გულზე, ზღვის ულაყ ტალღებს
ჩემი წარსული თან გავატანე.
ისიც გაჭენდა და დაიკარგა
არ ვიცი საით და რომელ მხარეს...

მე კი ვდარაჯობ, დასალიერში
ცას არ ვაშორებ უაზრო მზერას,
ვიცი დილამდე დამიბრუნდება,
რატომღაც ასე, ჯიუტად მჯერა.

და... უცებ შედგა ზღვაზე დუმილი,
დაცხრა ულაყი ტალღების ლტოლვა,
დაეშვა ნელა და ისიც ცივი,
როგორც ჭაობში დაღლილი ღალღა.

მეგონა ფიქრი დავკარგე სადღაც,
მეგონა სევდა მომიკვდა თეთრი,
ტალღები ზღვაზე დაფდაფებს ახლა,
ნეტავ ამ ტანჯვას თუ ხედავს ღმერთი.

ეჰ, ბედ-იღბალი ასეა თურმე,
კარგიც და ცუდიც მიდის და მოდის,
ზოგჯერ კი უცებ მოვა ქარივით
და გადაგიშლის უმიზნო ლოდინს.

ლეილა იასეშვილი

***

სიკეთე და სიყვარული,
ჩვენი მოდგმის არსი,
მთლად დავკარგეთ, აღარა აქვს,
აღარა აქვს აზრი.
შური, მტრობა ერთმანეთის,
ბოროტების მსხვერპლი,
ასე სწრაფად რად მრავლდება,
თუკი ყველა ვებრძვით?
ამოვაგდოთ ფესვიანად,
არ დავტოვოთ ხნულში,
ბოროტება არავისთვის
არ გავივლოთ გულში.
და გაფიცებთ, ვინც კი ქვეყნად
გირჩევნიათ ყველას,
გაჭირვებულს რომ შეხვდებით,
რომელიც გთხოვთ შველას,
არც დაფიქრდეთ უსათუოდ,
უნდა დაეხმაროთ,
სიკეთე ჰქენ, თუ სიკეთით,
გინდა გაიხარო!
სიკეთე და სიყვარული,
ჩვენი მოდგმის არსი,
მთლად დავკარგეთ, აღარა აქვს,
აღარა აქვს ფასი.

***

ეს თოვლ-ჭყაპი კი არა,
ეს ქარი და წვიმა,
ეს ტალახი კი არა,
მზის სხივები გვინდა!
ეს სიცივე კი არა,
ბოროტება.. ო, არა...
გამცემი და ორპირი,
მოღალატე, ღრიალა,
ჩამოგვცილდეს დროა
ყველა შავი ლაქა,
რაც ამ წლებში ხალხმა
გასაჭირი ნახა.
ჰოდა, ჩემო ქართველნო,
ღვთივ კურთხეულ ქვეყნის,
ვიზეიმოთ, რადგან
არ გაგვწირავს ღმერთი!

***

წლებმა უცებ გაირბინეს,
ვერც მოვასწარ ფიქრი,
იმ განვლილი ოცნებების
დღეებს ფრთხილად ვითვლი.
ო... რამდენი სათაყვანო
წუთი წუთზე გავიდა,
ერთ ოცნებას დავდე თავი,
სხვა გზა მეტი არც მინდა.
ჩემი მიწა, ჩემი ხალხი,
ჩემი მთა და ბარი,
აი, ჩემი სიცოცხლის გზა,
ეს იყო და არის!

ლალი ხვედელიანი

თბილისი

ხოხობი მიგოგმანობდა
აბიბინებულ ველზედა,
შეიფრთხიალა ლამაზმა,
მაფიქრებინა შენზედა.
ხოხბის ნაკვალევს გამოვყევ,
შენამდე მოველ, თბილისო,
შენი სახელის გამგონეს
ტანს ჟრუანტელი მივლისო...
გორგასლის ნასროლ ისარსა
ვერ აცდენია ხოხობი,
სურნელოვანი ცრემლებით
ატირდა ვარდი-კოკობი,
უკანასკნელად ხოხობმა,
თვალი რომ დაახამხამა,
წყაროც კი ადუღებულა
ხოხობის ცოდვით – კამკამა.
მერე ჭენებით მიაგდო
წყაროსთან მეფემ ცხენიო,
მოწყურებულმა ვახტანგმა
წყარო იხილა ცხელიო...
ზაფხულის ცხელი დღე იყო,
მზეს ადნებოდა ივლისი,
იქ , მერე, უშენებია,
ვახტანგ გორგასალს თბილისი...

ელინოფილური კრიტიციზმი ქართულ მწერლობაში (XI ს.)

სოსო სიგუა

რწმენა და ფანატიზმი

ყველა დროში ადამიანის გონი მიდის ფიქრით და ოცნებით რაღაც ახალ, აკვიატებულ იდეამდე. ეს ცვლის ცხოვრებას, აზრს ანიჭებს წარმავალ ამქვეყნიურ არსებობას, ჰკვებავს და სტიმულს აძლევს მოქმედებას, თუნდაც ფანატიზმის წყარო და მიზანი იყოს ილუზიის საბურველში გახვეული.

ყველაზე დაუჯერებელი, როგორც ღვთაებრივი, იყო სწორედ სარწმუნო.

ასე მოხდა XIX-XX საუკუნეებში, როცა კაცთა გონება შეიპყრო სოციალიზმის იდეალებმა, საიდანაც წამოვიდა როგორც კომუნისტური, ისე ნაციონალურ–სოციალისტური იდეოლოგია.

ასე დაიმორჩილა ქრისტიანთა მასები ასკეტურმა იდეალებმა, მისტიკურმა სულიერმა სწრაფვამ ადრეულ საუკუნეებში, ზეციური სასუფეველისკენ მზერამ, რასაც მოჰყვა ჯერ პირველ ქრისტიანთა თავგანწირვა, შემდეგ ამქვეყნიდან განდგომა და მასობრივი ეკლესიათმშენებლობა.

სიტყვა ფანატიზმი მოდის ძველბერძნული სიკვდილის ღმერთის თანატოსისგან, რაც ახლავს ყველა რწმენას.

მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა თვითმკვლელობას კრძალავდა, რადგან ყოველ ადამიანს მარადიული სასუფეველი ამქვეყნიური ტანჯვისა და შრომის ფასად უნდა მოეპოვებინა, გამოეყენებინა ხორციელი, მიწიერი არსებობა სულის უკვდავებისათვის.

ეს კი იძლეოდა კულტურის განვითარების სტიმულს.

მხოლოდ ფანატიკური, საღვთო რწმენით ანთებულ ადამიანებს შეეძლოთ ოჯახისა და სახლ–კარის მიტოვება, ამქვეყნიურ სიამეთაგან განდგომა, მკაცრ პირობებში ნებაყოფლობითი ცხოვრება, მუდმივი შრომა, მარხვა, ტანჯვა, წერა, გადაწერა, შენება და ლოცვა.

ეს იყო არქაულ–წარმართული მსხვერპლშეწირვის ვარიაცია.

ისინი ჰგავდნენ ფუტკრებს, რომლებიც თავად უჩინრად ქრებიან, მაგრამ კაცთათვის სტოვებენ თაფლსა და სანთელს.

რომ არა ქრისტე, ეკლესია–მონასტრები და რწმენას შეწირული ბერ–მონაზვნები, შუასაუკუნეებში აღარც კულტურა იარსებებდა, ბარბაროსი გერმანული ტომების მიერ რომის იმპერიის დანგრევა სულიერების დასასრულიც გახდებოდა.

სახელმწიფოებრიობა ყოველთვის იყო ქართველთათვის სუსტი მხარე, როგორც ვწერდით. მაგრამ ტაძართმშენებლობა და მთარგმნელობითი მუშაობა განსაცვიფრებელია, იმდენად ყოვლისმომცველია და მასშტაბური.

რელიგიური ფანატიზმი აქაც გამოვლინდა, რაც არ გადავიდა სახელმწიფოებრივ ძალმოსილებაზე. სახელმწიფოს არქონამ, ერთი მხრივ გააძლიერა კულტურის ავტონომია, მეორე მხრივ – ხელი შეუშალა კულტურას, რათა მეტი თავისთავადობით შემოსილიყო და სხვათათვის ნიმუშად ქცეულიყო.

კრიტიციზმი

X საუკუნის 80–იანი წლებიდან ქართულ აზროვნებაში ქრისტიანულ–ეთნიკურ მითოსს შეენაცვლა კრიტიციზმი, რაც გამოიწვია ბიზანტიური კულტურის ღრმად გაცნობამ, ბიზანტიური კულტურის წარმატებამ სხვადასხვა სფეროში.

ეს ტენდენცია ჩაისახა ათონის ივერთა მონასტერში.

ელინოფილი ქართველები ცდილობენ მაქსიმალურად აითვისონ ის, რაც ბერძნებს გაუკეთებიათ, ამოწურონ არა მხოლოდ ქრისტიანული საგანძური, არამედ გადაწვდენ ანტიკასაც, რადგან, როგორც შენიშნავს იოანე პეტრიწი სოკრატეს დამოწმებით – უმეცრებაზე უფრო საშინელი სენი არ არსებობს.

როგორც ვთქვით, ქრისტიანულ–ეთნიკური მითოსი განამტკიცებდა ნაციონალურ სიამაყეს, ხელს უწყობდა კულტურულ შეკავშირებას. მაგრამ შემდგომი თაობის მწიგნობრები, როცა კარგად გაეცნენ ბიზანტიელ მოაზროვნეებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ ათონის მთაზე, შავ მთაზე, პეტრიწონში ან სწავლობდნენ მანგანის აკადემიაში, – დარწმუნებდნენ, რომ ქართველებს ბევრი რამ აკლდათ.

საჭირო იყო ამ დანაკლისის შევსება, დაუცხრომელი მთარგმნელობითი მუშაობა, ინტელექტუალური თვალსაწიერის გავრცობა.

ამჯერადაც უცხოეთის ძალა და გამოცდილება გახდა სტიმულის მომცემი.

იოანე ათონელი ეუბნება თავის ვაჟს, ექვთიმეს:

„ქართლისა ქვეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან“.

ექვთიმე ცდილობდა, რომ ყველაფერი მოესწრო. ეს სიჩქარე, ეს სისწრაფე მოითხოვდა ტექსტების შემოკლება–შემატებას, თავისუფალ მოპყრობას, რაც უკვე აღარ მოსწონდათ გიორგი ათონელს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს.

ისინი არჩევდნენ მაქსიმალურ სიზუსტეს, მთავარი საუბროვნო მომენტების გათვალისწინებას. ამიტომ თარგმნიდა ეფრემ მცირე ფსევდო–დიონისე არეოპაგელს, იოანე დამასკელს, არსენ იყალთოელი – „დიდ სჯულისკანონს“, იოანე პეტრიწი – პროკლე დიადოხოსს, ნემესიოს ემესელს, გიორგი ათონელი სრულყოფდა ბიბლიურ და საგალობელთა ტექსტებს, თითქოს ყველაფერს თავიდან იწყებდნენ.

კრიტიციზმის გამოხატულება იყო ის, რომ ეფრემ მცირე ქართულ ენას **„ლიტონსა“** და **„ჩჩვილს“** უწოდებდა, იოანე პეტრიწი **„მდაბრიონთა ენას“** წვრთნიდა ნეოლოგიზმებითა და რთული სინტაქსით, ბერძნული კალკირებული კონსტრუქციებით.

ასე ცდილობდა დაეძლია ქართული ენის **„დუხჭირობა“**. ეფრემ მცირე წერდა – **„ხოლო მე ამისათვის დავშუერ, ენაჲმცა ქართული ბერძულისადა მიმეყვანა“.**

ამ ტენდენციას აძლიერებდა ჰაგიოგრაფიული ტექსტების მეტრასირების რთული სტილიც.

კონსტანტინეპოლში განსწავლული ბასილ ვაჩეს ძე, ეფრემ მცირის უმცროსი ძმა, საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი 1090–1100 წლებში, შენიშნავდა – **„ნათესავი ქართველთა არს მარტივ და ამასთან ლიტონიცა“** (კ. კეკელიძე); ხოლო დავითის მემატიანე იტყვის – **„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა“,** ე. ი. ქართველობას აკლდა განათლება და ერთგულების გრძნობაც.

ასეთსავე კრიტიციზმს ამჟღავნებდა კიდევ ერთი კათალიკოს–პატრიარქი, გიორგი III–ის პერიოდის მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერის ძე – **„უმძვინვარესნი და უველურესნი“** იყვნენ ჩვენი ნათესავები და ამიტომ მოავლინა უფალმა სუსტი ქალი, რათა ჩვენი ქედფიცხელობა დაეცხროო.

ბერძნებს ღმერთმა ენამჭევრობისა და ფილოსოფოსობის ნიჭი მისცა, ქართველებს – მარტივი გონება, სიწრფელე და უმანკოებაო.

გიორგი მცირის სიტყვით, **„ნაკლულევანებაჲ ენისა ჩუენისაჲ“** შეუვსია ექვთიმე ათონელს, რადგან **„ბარბაროზ წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათვის და უმეცრებისათვის ჩუენისა“.**

ეს არ იყო ნიჰილიზმი, ეროვნულ ღირსებათა უარყოფა და უცხოურით გატაცება, მორჩილება ბიზანტიური კულტურისადმი, არამედ – რეალური ამაღლების სურვილი.

ეჭვი და ძიება, გაცნობა და დაძლევა მიდიოდა ჭეშმარიტების პრობლემამდე. ამიტომ მოაზროვნენი იხედებოდნენ ქრისტიანული თეოლოგიის მიღმა – ნეოპლატონიზმისა და ანტიკური კულტურისაკენ (შ. ნუცუბიძე).

ცოდნის უარყოფა და ბრმა რწმენა კრიტიციზმით შეპყრობილს, ცხადია, მიუღებლად მიაჩნდა.

მანგანის აკადემიის მესვეურებს, იქ განათლებამიღებულ ახალგაზრდებს დევიზად ექნებოდათ იოანე დამასკელის სიტყვა:

„არაა საჭირო ანტიკური ფილოსოფიური მოძღვრების უგულებელყოფა. იქნება მათთანაც ვიპოვოთ რაიმე გამოსადეგი და შევიძინოთ რაიმე სულის სარგებელი“.

ამგვარ მითითებათა მიხედვით, ქართველმა ელინოფილებმა შეძლეს ქართული კულტურის, ენისა და სტილის, ცოდნისა და აზროვნების უნივერსალიზება.

სკეპტიციზმი

კრიტიკას ყოველთვის ახლავს სკეპსისი, ეჭვი და უნდობლობა.

ქრისტიანობის წიაღში, ისევ ბიზანტიელთა შთაგონებით, აღმოცენდა სკეპტიციზმი, რაც მრავალ სფეროს გადაწვდა და იქცა განახლების ფერმენტად.

კრიტიკული სიფხიზლე რელიგიურ ურთიერთობასაც შეეხო:

გიორგი ათონელი ეჭვს გამოთქვამს თუ როგორ უნდა ესაუბრათ ერთმანეთს შორის გაბრიელ ქართველსა და რომაელ ლეონს, როცა პირველმა ლათინური არ იცოდა, მეორემ – ქართული.

ფილოლოგიური სიზუსტე, წყაროთა დამოწმება და შემოწმება, მათი კრიტიკული ათვისება ასევე აჩენდა ეჭვებს, რომელთაც სჭირდებოდა დოკუმენტური გაქარწყლება.

სანდო იყო მხოლოდ თვალით ხილული და ყურით მოსმენილი ფაქტი თუ ამბავი. მაგ., როცა გიორგი ათონელი წერდა იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებას, თვითმხილველი სულიერი ძმების მონათხრობს ენდობოდა მხოლოდ ფიცის შემდეგ, ან წერილობითი სახით.

ასეთი ტენდენცია აღმოცენდა ქრისტიანული მისტიციზმის, ხილვებისა და სასწაულების, საიქიოს მითის პარალელურად.

სკეპსისი გზას კაფავდა ჭეშმარიტებისაკენ და შემდეგ იგი თავად დაამკვიდრებდა ახალ სულიერ ღირებულებას.

მისი საფუძველი იქნებოდა არა ქრისტიანულ–ეთნიკური მითოსი, არამედ რეალური ცოდნა, სიმართლე. საამისო ბაზისი კი იყო ქართული ენის გამდიდრება, კულტურის ძეგლების გადმოტანა, კომენტირება და გააზრება, ტაძართმშენებლობის გაგრძელება.

ეფრემ მცირესაც კი ეჭვი შეჰპარვია ღმერთის ცად მყოფობაში – ეს სიმბოლურად უნდა გავიგოთ, რადგან არავინ იცის სად არის ღმერთიო. ზეცა ყველაზე მაღალია და იმიტომ ვამბობთ ასეო.

ეჭვი და უნდობლობა გასჩენიათ მეფეებსაც. მათაც ბრმა რწმენას არჩიეს განსჯა, ნახვა და შესწავლა:

ბაგრატ IV: **„ვიდრე თვალითა არა ვიხილო, არა მრწამს“** (გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება):

დავით IV: **„რაჲ უწყი თუ რა არის კოქსა ამას შინა ანუ რაჲსა თაყვანისვცემთ“** (ნიკოლოზ გულაბერისძე).

კრიტიციზმი შეეხო არა მხოლოდ კულტურასა და აზროვნებას, არამედ – საზოგადოებასაც, ქართველთა ცხოვრების წესს.

გიორგი მცირეს შენიშნული აქვს ერისკაცთა გარყვნილება, საეკლესიო პირთა სიხარბე, ფულით თანამდებობების მოხვეჭა, ხალხის მძიმე ცხოვრება (ჯ. აფციაური).

ყოველი ურჯულოება და ცოდვა მღვდელთაგან მოდისო, – დაწერს მემატიანე XII საუკუნეში.

ქართველთა მდგომარეობა რომ კარგი ყოფილიყო, გიორგი ათონელი 80 ქართველ ბავშვს არ წაიყვანდა ბიზანტიაში. მანამდე, როცა ხუთი წელი იმყოფებოდა საქართველოში, ეკლესიის რეფორმაც უცდია, რაც აღსრულდა 1104 წელს, რუის-ურბნისის კრებაზე.

ერთი მხრივ რეალობა, მეორე მხრივ – ანტიკური კულტურის გაცნობა, წარმოქმნიდა და აძლიერებდა სკეპტიციზმსა და კრიტიკულ ხედვას.

***

ეთნიკური მითოსით დაიწყო აღმოსავლური ქრისტიანობის დაძლევაც, რადგან თავად კონსტანტინეპოლი პირველობას ესწრაფვოდა. იგი აღარ იცავდა პენტარქიის პრინციპს, რასაც მოჰყვა ქრისტიანობის გათიშვა მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებად.

ფანატიზმი წარმოშობდა მითოსსა და ლეგენდას, იძლეოდა მოქმედების სტიმულსა და ენერგიას, კრიტიციზმი და სკეპტიციზმი არღვევდა ბრმა რწმენას და ამკვიდრებდა რაციონალიზმს.

ორივე მათგანი ერთდებოდა ერის ცნობიერებაში, რასაც მოჰქონდა პროგრესი, ბიზანტინიზმის დაძლევა ბიზანტიური კულტურიდანვე მიღებული სტიმულებითა და ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის პათოსით.

იროდი ასანაშვილი

ათონის მთისკენ...

ბორჯომ-ბაკურიანის მეუფე სერაფიმე, ყველასათვის სათნო და სულიერი მამაა, თავისი სიწმინდით და სიმშვიდით, ნათელი და მომღიმარი სახით. ძლივს გადაურჩა სოხუმში მძვინვარე ომს, გამოასწრო, მაგრამ დედამ, ანგელინა მარგველაშვილმა არ დატოვა სოხუმი, ომის საშინელება თავს დაატყდა, როგორღაც ახერხებდა ხოლმე შვილის ნახვას, სოხუმიდან გადმოსვლას ბორჯომში. გარდაიცვალა ქალბატონი ანგელინა, გული დასწყვიტა დედის გარდაცვალებამ, უკვე დედის გარეშე მყოფმა ერის ანაბარა იგრძნო თავი.

რა გამოლევს ბოროტს და მზაკვარს, მეუფესაც წამოეწია საშინელება. უთქმელი ამბავი, ამას უფალი განაგებს და განსჯის. სამების ტაძარს ხალხი მოაწყდა, მოდიოდა ნაკადი, ერთ-ერთი დარბაზი უამრავი ხალხით გაივსო, სუნთქვა ჭირდა, დაჰკრა სამმა საათმა და მეუფეც გამოჩნდა...

- მეუფე, მეუფე! – იხუვლა ხალხმა, სიჩუმე ჩამოვარდა, მოდიოდა ნელი ნაბიჯით, ყველას ლოცავდა. უცებ ხანშიშესულმა ქალმა დაუძახა და უთხრა: მეუფეო,

არ ვიცი რატომ, ხალხი ორად გაიყო. მეუფე მივიდა და თავზე ხელი დაადო, დალოცა, გამოჯანმრთელება უსურვა, გაუღიმა და ის იყო უნდა გაყოფილ გზას გაჰყოლოდა, რომ ამ ქალმა უთხრა: – დრო მოვა, მეუფეო! შენს ნაკვალევს დაუწყებენ ძებნას, ყველა კარგ ადამიანს მტერი თან სდევს, რა დალევს იუდებს, ლიუციფერებსა და კაენის მოდგმას! მირჩევნია ცოცხალი აღარ ვიყო, როცა დაბრუნდებით, შენ დაბრუნდები, მეუფეო, ხალხი მოგითხოვს!

მეუფემ დალოცა ქალი და განერიდა. ხალხი ახმაურდა, შეძახილები ისმოდა: დედაკაცი, რომელსაც მეუფე მიუახლოვდა ტანჯვით ადიოდა საფეხურებზე, მეუფე წამოეწია.

– დალოცვილმა იარე, დედი, გამოჯანმრთელდი, უფალმა გაგაძლიეროს!

– გმადლობთ, გზა ბედნიერი, უფალმა გაგაძლიეროს, მეუფევ! ძალა შეგმატოს.

დედაკაცი უკანმოუხედავად ადიოდა საფეხურებზე. თითქოს გამოჯანმრთელდაო.

– ესრეთ ძლიერო და კეთილო, საით მიდის შენი დიდება?

– ათონის მთისკენ, დედილო!

– მეც გაგაცილებ, შენი წყალობით, დალოცვით ჩემი ფეხები აღსდგა, სადამდეც შევძლებ, შენს გამცილებლურ გზას გამოვყვები, ხალხი ვერ იგრძნობს დაღლას, უფლის წყალობით, მეუფეო.

ის მიდიოდა გაყიდული, განწირული, ჭორით დაღლილი... მიდიოდა, სადაც ბევრი ჭეშმარიტი ქართველი გადაიხვენა, დარდმორეული, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი ტოვებდა სამშობლოს უკიდეგანოდ.

- გვტოვებ, მიდიხარ, და შენი ერი, წმინდა ცრემლებით გაცილებს.

ილოცე ქართველი ერისთვის.

ცრემლი იღვრებოდა. ამ დროს ერთი ახალგაზრდა წამოეწია და მიმართა:

– მეუფეო! მთელი ცხოვრების ტვირთი სასუფევლამდე თუ ჯოჯოხეთამდე...

ერი ტირის და ერი გაცილებს.
ბოროტი ენა შხამს ვერ მოგაგებს,
კაენის მოდგმას რა დალევს ქვეყნად,
სადაც გინდ იყო მაინც მოგაგნებს.
კვლავ ამოკვირტავს ისტორიაში,
შენი სიწმინდე და მამაცობა,
გახსოვდეს შენი ერი ლოცულობს,
შენი სიკეთით სულ ამაყობდა.
კარგს ვინ შეიმშვნებს ცად უფლის
მეტი
იესო ქრისტე ჯვარზე გააკრეს,
სამშობლოს, ერის მოსიყვარულე,
კაენის მოდგმამ სულით გაძარცვეს!..
გზას დაგილოცავს მაღალი ღმერთი,
ქართველი ერი ვერ დაგივიწყებს,
ბედნიერების გზებით იარე,
უფალი ყველგან გზას გაგინათებს!

– მეუფეო! თქვენ დაბრუნდებით, ერი გელოდებათ, გვიყვარხართ!

ხალხმა იხუვლა, არასოდეს დამავიწყდება მეუფის თვალები თუ როგორი მადლიერებით გადმოხედა ხალხს.

მეუფემ ლოცვა აღავლინა, ხალხს მიეფერა, სიამით თვალი გადაავლო შეგროვილ მრევლს, გამოემშვიდობა და წავიდა... იგი გაუყვა გზას უცხოეთისკენ, ის ხალხს დააკლდა, მისი ღვთიური საქმე გაგრძელდება, სადაც იმსახურებს.

მეუფეს ხალხის ცრემლი დაეფინა სავალ ბილიკზე, გასწირეს მისი ერთგულება. ნათქვამია: „ოქრო, რაც უნდა დიდ ტალახში ჩაფლა იგი თავის ბრწყინვალებას არ დაკარგავს!“ მეუფე ღვთისგან ბოძებულ დიდებას ვერ დაკარგავს, რაც უნდა ტალახი ესროლონ უგუნურმა ადამიანებმა, ის გაბრწყინდება ათონის მთაზე. უფალი მოუშუშებს უგუნურთაგან მიყენებულ ტკივილს და ვაი, ცოდვა, ცოდვა მარადიული და მოურჩენელი უდანაშაულო ენის გაქეზებით.

საით მიდის ეს დიდება, ეს მძვინვარება ბოროტებისა, ჭეშმარიტი მამულიშვილების განდევნა და შეურაცხყოფა, ცარიელდება საქართველო, ისტორია კი ოქროს წიგნს ავსებს, ოქროს წარუშლელი ასოებით, მემატიანე ინახავს საისტორიო მოვლენებს, კლდის ქიმზე გაბრწყინდება უფლისგან სიმართლე, მოლოდინით დაღლილი ხალხი გაიხარებს მარადისი აქაური და იქაური ბრძენი და მოაზროვნე, უმისამართო, სხვისი გონებით მართული ადამიანები დაიტანჯებიან ამ მოგონებით და წარუშლელი ტკივილით.

ის უფრო განდიდდა, ვითარც განუკითხავი ადამიანების ხელით ეკლის გვირგვინით... იგი ჯადოსნური სიტყვებით გვაპურებდა, რთულად გასაძლისია უმისობა, მრავალთა ადამიანთა. დადუმებულნი, სევდით მოსილი გულებით და ცრემლიანი თვალებით გაჰყურებენ მის გზას. ის მიდიოდა, მიმზიდველი იყო მისი ნაბიჯები, ძალას არ კარგავდა ხალხში მისი სიშორე... ის უფრო უახლოვდებოდა ხალხს, რწმენაშერყეული, დაუღლელი სტოვებდა ქართულ მიწას, ემშვიდობებოდა ქართულ შეძახილებს, თავდაუხრელი მიდიოდა სევდიანი ღიმილმორეული, ხალხის გულში უკვდავად ჩასახული. დაგვიანებით ჩამოვა ალბათ, ის მიდის ათონის მთაზე, სადაც დაანათებს უფალი მადლიან სხივს და უფრო აამაღლებს.

ქ.თბილისი
(ვერა) 18.09.2016

ადამის მოდგმა

საღამო იყო, მთაწმინდის ნიავი უბერავდა. აივანზე გადაყუდებულმა მამამ დაიძახა: - „ვაიმე გული!“ მამა გარდაიცვალა. კინაღამ ჭკუიდან შევიშალე, როცა დედა მამის გაყინულ სხეულზე ვიხილე ატირებული, გავირინდე, გავოგნდი. გვერდით ჩემთან ერთად შეზრდილი აკაკი იდგა, ნუგეშს მაძლევდა, არ მტოვებდა. პატარა გოგა, რომელიც მამაჩემს ძალიან უყვარდა გულამოსკვნით ტიროდა. მოდიოდნენ ახლობლები, მაგრამ რა ანუგეშებდა გახეთქილ გულს. მიცვალებულის გარშემო ხალხი შემოიკრიბა. კარგად რომ დაღამდა, ძალიან შინაურების გარდა ყველა წავიდ-წამოვიდა. დედას ჩავეხუტე და გულიანად ავტირდი.

- დაწყნარდი, შვილო, რას იზამ, ასეთია მუხთალი ბედისწერა. ახლა ვიფიქროთ როგორ მივაგოთ პატივი, რაიმე გზა უნდა მოვნახოთ, კაცი ხარ, არ დაიბნე, თავი არ შეირცხვინო, შენი იმედი მაქვს. აბა , შენ იცი!

იმხელა რამ დამაკისრა დედამ მგონი, ოცი წლით გავიზარდე. ავიღე ჩემს თავზე ყოველივე და მამას ღირსეული პატივი მივაგე. ნელ-ნელა მოვიკრიბე ძალები და დედასთან ერთად გავუდექი ცხოვრების გზას. რაც ჩემი გასაკეთებელია, არავის ვიხმობ, მე თავად ვუძღვები ყოველივეს. გაქრნენ ადამიანები ჩემი ცხოვრებიდან. მამის დროს ხალხისგან ძილი და მოსვენება არ მქონდა. ახლა აღარავის ვახსოვართ.

დედამ მკითხა: - რას ფიქრობო. მე ამაყად გადავხედე და ჩავიღიმე, ვიგრძენი, რომ მამის ღიმილი და მისი დიდი ნებისყოფა ჩემში გადმოინერგა.

- შვილო, ჩვენ ახლა ოკეანის შუაგულში უხომალდოდ დავრჩით. ოთხივე მხრივ ნაპირია, უნდა გავცუროთ. ჩვენი ხელის წამშველებელი მხოლოდ უფალია. არავისი იმედი არ გქონდეს. თუ ვინმემ ეს ჩვენი განსაცდელი შეიგრძნო, შეიძლება ჩვენი ჩაძირვაც მოისურვონ. მოდი ცალ-ცალი ხელი ერთმანეთს ჩავჭიდოთ, ცალ-ცალით გავცუროთ, როცა საცურაო ხელები დაგვეღლება, დასვენებული ხელები გამოვიყენოთ. დაღლილი ხელები ერთმანეთს ჩავჭიდოთ და რწმენით გავცუროთ ნაპირზე. საჭედმპყრობელი შენა ხარ უკვე, შვილო, მე ქალი და დედა ვარ. შენი ვალია დედას უპატრონო, მე რა შემიძლია, უმწეო ქალი ვარ.

დედამ დამარწმუნა, რომ ჩემზე იყო ყველაფერი დამოკიდებული. მაგრამ იდუმალად აჩრდილივით დამდევდა და ცხოვრებას მასწავლიდა. წინ მე მაყენებდა, მთხოვდა და მეუბნებოდა: - კაცი ხარ, მიდი, მიაწექი ცხოვრებას. ყოველგვარი დაბრკოლება უნდა გადალახო, ხვალ მეც აღარ ვიქნები, ვინ იქნება შენი პატრონი? კაცი ხარ, ცოლ-შვილი გეყოლება, უნდა მიხედო...

და მეც ცხოვრებაგამოვლილი კაცივით მივარღვევდი ცხოვრების მძაფრ ტალღებს. დედა კი აჩრდილივით დამდევდა და თურმე გზას მიკვალავდა. ხანდახან არც ვაკვირდებოდი ისე მივქროდი. დედა მრუდე გზისკენ მიმავალ საჭეს ხელს კიდებდა და მიმართულებას ცვლიდა.

- შემეშალა? აქეთ არ უნდა წავსულიყავი, დედა?

- შვილო, მდორე წყლის ნდობას სჯობს ტალღებს ებრძოლო...

ვხვდებოდი და ვსწავლობი უამრავ რამეს. როცა ტკბილად მეძინა, ვგრძნობდი, რომ ეკლიან გზებს კაფავდა. ლამპრით გზას მინათებდა და ცხოვრებას მასწავლიდა. უფსკრულს ავსებდა, ბევრჯერ არ ვუჯერებდი, მაგრამ როცა წამუხვლას ვგრძნობდი, დედის მედგრად მჯეროდა, თავის ნაზ ხელს ისე მაგრად წამტაცებდა, რომ კლდეც ირყეოდა. ცხოვრებისეული ჩასაფრებული აფთრებისაგან თავდაუზოგავად მიცავდა, ლომის ფაფარს მაფარებდა...

გადიოდა დრო, მეც ვიზრდებოდი, მინდოდა ყველასთვის პატივი მეცა, დედა ძლიერთა ჩრდილს მაფარებდა, ყველას პატივს ვცემდი, წამოვიწიე, ცხოვრებას დავეწიე.

ერთ დღეს ავად გავხდი, ვისთანაც ხელსავსე მივსულვარ არც კი მოვუკითხივარ, ორი კეთილშობილი მოფარფატე ფერიის მეტს. არავინ დამირეკა, დავღონდი, ვისი იმედიც მეგონა, რომ მქონდა, არც კი გავახსენდი...

და ჰა, დაჰკრა დაფთაფმა, თავს დედა მედგა, მამის გარდაცვალებიდან თერთმეტი წელი გვერდიდან არ მომშორებია, ერთმა ახლად შეძენილმა უფროსმა მეგობარმა დამირეკა.

- ყმაწვილო, როგორ ხარ? ხომ არაფერი გჭირდება, არ მოგერიდოს, ახლავე წამოვალ სადაც ხარ.

დედის სიტყვები გამახსენდა: - შენ უკვე ლომის საბრძანებლისკენ მიიწევ, ეს დედამიწა ძალმომრეობისაა. თუ ძლიერად ხარ, ყველა ხალიჩას დაგიფენს, თუ არა, ყველა კარს მოგიკეტავს. არასოდეს არაფერს ელოდო არავისგან, უფალი მოგცემს გზას. გაეცი თვით უგნურზედაც ზომიერად, რათა სულელად არ ჩაგთვალოს თვით სულელმაც...

მივყვებოდი გზას, მახსენდებოდა დედა და ორი ულამაზესი ქალბატონი, რომელნიც მშობლებივით დამიდგნენ გვერდში და ის ახლად შეძენილი ადამიანი, ვისგანაც არ ველოდი...

მე დავინახე ცხოვრება კარგად, შევიგრძენი ბევრი რამ, დიდი ხანია მარტო ვუძღვები ცხოვრებას, მაგრამ მე უკვე სამი დედა მყავს. უფალო, არცერთს არ მოაკლო ჩემი იმედი, ვეცდები გავამართლო მათი ნდობა. მათი გულწრფელი ზრუნვა გასაჭირში თუ ლხინში არასოდეს დამავიწყდება.

უფალო, გადმოხედე ერს მადლიანი თვალებით და ჩემს სამ დედას, რომლებმაც ჩემი ჭირი გაითავისეს.

საღამო იყო. შელილისფერებულ ვერის უბანს მთაწმინდის ნიავი ეალერსებოდა და მეც შევიცან ცხოვრება უკვე...

ქ. თბილისი, (ვერა)
9.10.2016წ.

ლიდა სტვილია

... ეშერისაკენ გავყურებ – ზეცას...

...ეშერისაკენ გავყურებ ზეცას...
მოულოდნელად ვგრძნობ, მოვა წვიმა!...
რომ გადავფერთხო ციდან ღრუბლები
პაპის მშვილდისარს ვჭიმავ და ვჭიმავ!
... წვიმა კი არა... თოვლი! ო, თოვლი
მოულოდნელად დღეს თოვლიც მოვა!
... მაგრამ იებში დაახამხამა
გაზაფხულივით თვალები მოლმა!
ჰეი! ეშერა, ვინ თქვა ვერ გვშველის?!
მოღმურ-მიღმური ძმებისაგან მოღლილს!
მწამს, მწამს, მწამს სოხუმს, უოდორს, გალს, ოსეთს
ვერანაირი ბურღი ვერ მოგვღრნის! –
... სხვას, სამშობლოდან მიწა კი არა
არ გავაყოლოთ მისხალიც-ღორღის!
... მორჩეს მსოფლიო საველე-დოღი!
... მორჩეს მსოფლიო საველე-დოღი!

... აჰა, ვაი მათ! ოსეთ–სოხუმის
წართმევა ვისიც ნათავხედია!

... ფანდურ-ჩონგურის... გიტარისა და...
აფხიარცის და... დოლის ხმებიანს, –
ჭუნირ–ნაღარის, და სალამურის
ჩვენ დებს – პოეტებს – ბრძოლის ხმებიანს!...
ჩემს დებს – პოეტებს – იარებიანს!
შემბრალ-შემწყალეთ, არ შებღალულებს –
ოჯახში – ოჯახს ბოძად შედგმულებს! –
როგორც საბელი – პოეზიის და
დედა–შვილობის უღელს შებმულებს –
ერთი პირობით შეკრულ ერთგულებს!–
სხვაგან არსად არ გაგვიხედია!
...ღელავს მწერალთა სხდომის დარბაზი!
... ო, საქართველო – ჩვენი ხვედრია!
–სალამი!... ერთად ყოფნის სურვილის,
ნათლია პოეტს – მზია ხეთაგურს!
... ღელავს მწერალთა სხდომის დარბაზი! –
ერთადო! ორად კი არ ხეთქავს გულს!
...ვინ არ ჩამოდის... რა არ ჩამოაქვთ?! –
... ზნე-ჩვეულება ჩინურ... ბერძნული!...
ჩვენი ლამაზი საქართველოთი
მთელი მსოფლიო არის – შეძრული!
...ჩვენც გესტუმრებით სხვა ქვეყნებს – როსმე!
აქვე, ალოშიც!... მამულს წართმეულს! –
... – წართმეულ – ოსეთს!...
...ვაჰ, საქართველოვ! ჩვენ ამის მომსწრეს! –
საცაა მოგვსპეს!... საცაა მოგვსრეს!...
... ვაჰ, საქართველოს!... და ჩვენ! – დებს მგოსნებს! –
ჩვენ – დებს!... პოეტებს – ბრძოლის ხმებიანს!
... ჩვენ დებს პოეტებს – იარებიან!
აჰა... ვაი მათ! ოსეთ-სოხუმის
წართმევა ვისიც ნათავხედია!
თავის ჭკუაზე ვერ გაგვხედნიან!
...ღელავს მწერალთა სხდომის დარბაზი! –
ო, საქართველო – ჩვენი ხვედრია! –
მხოლოდ და მხოლოდ – ქართველი ერის!–
გვთანხმდებიან თუ... არ გვთანხმდებიან!

... ბრალი – სამიდღემჩიო!

...ო, თქვე დაუნდობლებო! –
კარგად გცნობ თქვენს – მონოგრამს!...
...ნუთუ? მართლა აღადგენთ
ძველ-ბატონყმურ მონობას?!–
...ერს ერთმანეთს ამტერებთ!–
ძაღლზე უფრო – ძაღლდებით!...
სად?...
თორემ მსოფლიოდან
წასალეკი ბრძანდებით!
...ძმებს ერთმანეთს ამტერებთ, –
არ გიმადლით დაც – არა! –
თქვე აღვირახსნილებო! –
არ გენდობით – სხვა – არა!...
საქართველოს – დავრიშულ, –
ვერაგული განწყობით
სიმებივით უწყვეტთ – გზებს –
ჩონგურივით აწყობილს!
...ცრუმორწმუნე... ცინიკური, –
ავარებო! არ ცხრებით! –
გვარ-ტომის ცოდვილებო,
ხართ ფაშისტი – „ნაცები!“
უჰ... ეს გვარნაყიდები!...
არ გვზოგავენ! გვგესლავენ?!
ბრალი – სამიდღემჩიო
ნაპოლეონ მესამეს!
...თქვე აღვირახსნილებო!
კარგად ვცნობ თქვენს – მონოგრამს!...
... ნუთუ? მართლა აღადგენთ –
ძველ–ბატონყმურ მონობას?!
...გვარგადაკეთებულებს
...პირველღამის უფლება
...ჰმ... ჩამორთმეულებო! –
... გლეხის ქალი – დარიკო
ცოცხალ–მკვდრების სულებო!
ესვრის! –
კვლავ თქვენი მოსვლა
უფალმაც რომ ინებოს!
გთხოვთ, ნუ კარგავთ – გონებას!...
აწ... მაინც ნუ დაკარგავთ
აწ, აწ, მაინც – გონებას!
– ჭავჭავაძის ცხონებას!
– ჭავჭავაძის ცხონებამ!...
– ჯუღაშვილის – ცხონებამ!

თავისთავის მეპატრონე უნდა იყოს ქალი!

...დიახ, ქალი უნდა იყოს
უტეხი და კერპი!...
რომ ვაჟკაცმა ვერ შეჰბედოს
მისალმების მეტი!
ნაფოტებად არ მიაჩნდეს
მისი ხომალდ–ნავი!
...თავისთავის მეპატრონე
უნდა იყოს ქალი!
...დიახ... მიუკარებელი!
ავი, ეკლებმსხვრევი!
... ქალი – სათაყვანებელი!
უტეხ – კაჟა, კერპი!
...აღარ უნდა გახდეს – ქალი
მაცდურ კაცის მსხვერპლი!
უნდა ცნობდეს – წამტყუებელს!
არ მიყვეს ცრუ – „დავლურს“!
უნდა გრძნობდეს უღალატო
ქალი! – წრფელ სიყვარულს!
...დიახ, ქალი უნდა იყოს
უტეხი და კერპი!
რომ ვაჟკაცმა ვერ შეჰბედოს
მისალმების მეტი!

... ჩამოაღწიე საქართველოში?!...–

„მე, დამარცხებული გნოლი ვარ,
შენ გამარჯვებული არწივი!“ –

მედეა კახიძე

...ჩამოაღწიე საქართველოში!
შენ იქ დაიწვი შენი ერისთვის!
...არდამარცხებულს გნოლო, შენს ლექსებს
იბერია და სვანეთ–ეგრისი
კითხულობენ და ზარს არისხებენ! –
პოეტო ქალო! გგლოვობს მერმისი!
...ფერფლად დაფრინავ, დაო–მედეა –
განახლებული! როგორც ფენიქსი!
ცოცხალი დგახარ ისევ ჩემს თვალწინ,
რატომ არ მართმევ ვარდებს რომ გაწვდი?!
იფრინე, დაო!... ისევ შეგხვდება
...და ჩამოართმევ იებს შენს – არწივს!
...ო, მოფარფატევ! გგლოვობს მერმისი!
განახლებულო! როგორც – ფენიქსი!

ვაი, ბოროტებას! – შვილო!

ვაი, ბოროტებას!–
შვილო! –
ჩემი თავი შემოგევლოს! –
კარგის მქნელო, კარგის მთქმელო!
ვაჟკაცურო! ვაჟკაცურობს! –
ეკალბარდის გაღმიდანაც
გამოღმა ხმის – მეთვალყურეო!
...ყეფს ძაღლები ხშირა-ხშირა!
კივის ბუი ხშირა-ხშირა!
ჩვენი ოსეთ–აფხაზეთი
ქართველებს ვინ გამოგვხშირა?!
– მორიგება!
– დაზავება!–
შვილი დაჟინებით ჩივა!
თავდამსხმელთა გასაგონად
ამღერებს და ლარებს ჭიმავს?!
–ჭირს და ლხინს ვინც არ გამიყოფთ –
არ მინდევხართ ახალ ჭირად?!
მირჩევნია ჩემთვის ვიყო! –
ისევ ჩემთვის – „ჩქიმი ჯიმა!“
დედა! ეს, რაც ხდება ქვეყნად
ვხედავ, მღვიძავს, მეც არ მძინავს!
– სიმღერებით ვუმკლავდები
დარდს მოწოლილს ყელში – ჟინად!

მუხიანში

...მუხიანში არ ისმის –
არა! მუხის შრიალი!...
აქ, მუხების კი არა...
არ ჩანს თხმელის ფშიარიც!
...ქარი? ქარი რქებს ირქენს
როგორც ხარი – მფშვინავი!
...ფანჯარასთან – ჩხიკვები!
...ალვის ხეზე – ყორნები!
ავუქშიე, აბა, რა? –
ხომ არ მოვეფერები?!
...აღარც მიმინოები,
არც ორბი... არც არწივი!...
... პატარა მგალობელი
„ჩიტი–კუტა“ – დაწივის!...
... და... ისიც იქექება!
ბუმბულებს იპუტავს,
– შენაც არ გაგვიფრინდე!
– გესმის?
ჰეი–კუტა!
კუტა! შენს იმედზე ვართ!
მგალობელო – კუტა!

... ვბედავ!

– ვაი, ნანა! გაურუჯავს
მზე კვამლიან ალმურს! –
...ვიდრე... მართლა მოვიქნევდე
„ლეკურსა“ და „დავლურს!“
– გასწით!
ცხრა მახეში ვხედავ
საქართველოს გაბმულს!...
...ვბედავ!
ნურვინ მეცილებით
ჩემს სამშობლო-მამულს!

...სიზმარში მითხრა – ცოტა გამწიეთ!...

ან განსვენებულ პოეტ–მეუღლეს გიორგი წერეთელს

...ვერ გაუმკლავდი შენს ბედისწერას –
ვერ აგაშორე სიკვდილის ცელი!
...იყვავილებენ მინდვრები, მაგრამ –
არ გამიშრება საშენო ცრემლი!...
... ჩაგაწვინეს!... და... იმავე ღამით
სიზმარში მითხარ: – ცოტა გამწიეთ!...
მაგრამ... ვერასგზით ვერ ვაგებინებ
შენს უკანასკნელ თხოვნას - ქვაწვიებს!
...კი, ლექსებს ზოგნი აჰყავთ ზეცამდე...
იაკობის კიბით თუ... სხვა რამ ხვედრით,
...დიდუბეს შენაც დაამშვენებდი
რჩეულ ლექსების ვით ერთი გვერდი!...

ვაკურსვლ:

25 სექტემბერს ჭყონდიდელობის სახალხო ზეიმზე მარტვილის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს:

რევაზ მიშველაძე – საქართველოს სახალხო მწერალი, პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი;

სოსო სიგუა – მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

ნომადი ბართაია – პროფესორი, პოეტი;

რომან რურუა – ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში;

მურთაზ ხურცილავა – სსრკ ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი, სსრკ და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი.

ვულოცავთ ასალ არჩეულ საპატიო მოქალაქეებს და ვუსურვებთ ასალ წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირში

*

21 ოქტომბერს მწერლის სახლში გაიმართა აჭარელი პოეტის ვარდო დევაძის საბავშვო კრებულის „უკვდავების წყარო“ პრეზენტაცია, რომელიც გახსნა წიგნის რედაქტორმა მანანა გორგიშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ავტორის მორიგი კრებული, ისაუბრა მის მნიშვნელობაზე, თუ რამდენად საჭირო და აუცილებელია ბავშვებისათვის ასე ლამაზად გაფორმებული წიგნების გამოცემა, რათა მათ ვასწავლოთ და შევაყვაროთ ქართული ანბანი. წიგნის დიზაინერი ახალგაზრდა მხატვარი თეონა ჯანჯალაშვილია. საღამო მარინა კოლხიდაშვილის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა გაალამაზა. გამომსვლელებმა მიულოცეს ვარდო დევაძეს წიგნის გამოცემა, მაყვალა გონაშვილმა აღნიშნა, რომ ასე სათუთად, რუდუნებით, სიყვარულით და მოწიწებით თავმოყრილი ლექსები, რებუსები და გასაფერადებლები საოცრად გაუადვილებს ჩვენს პატარებს ქართული ანბანის ასოთა ათვისებასა და შესწავლას და მწერალთა კავშირის სახელით ვარდო დევაძეს გადასცა მარიკა ბარათაშვილის პრემია. დასასრულს ვარდო დევაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

*

27 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირმა მოზარდ მაყურებელთა თეატრში რეზო ინანიშვილის ხსოვნის საღამო გამართა. საღამო გახსნეს მაყვალა გონაშვილმა და თეიმურაზ ჩალაბაშვილმა. სიტყვით გამოვიდნენ რევაზ



მიშველაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, მერაბ კოკოჩაშვილი, ერეკლე საღლიანი, თინათინ მღვდლიაშვილი, თამარ შაიშმელაშვილი, ბესიკ ღვინიაშვილი... ნაჩვენები იქნა ვიდეო მასალები რეზო ინანიშვილის მონაწილეობით, ასევე კარლო საკანდელიძის და ზაირა ლებანიძის მიერ წაკითხული მოთხრობები და ვახუშტი კოტეტიშვილის მოგონება. მოთხრობები და ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა: ელდინო საღარაძემ, ვანო იანტბელიძემ, ზურაბ ანთელავამ, თემურ ხუნაშვილმა, თენგიზ გიორგაძემ. საღამო ხალხური სიმღერებით გაალამაზა ბავშვთა ანსამბლმა „ალილომ“ და რამინ მიქაბერიძემ.

*

16 ივლისს მწერლის სახლში ირმა კეკელიძის წიგნის „კვირაცხოვლობა“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც გახსნა მაყვალა გონაშვილმა. მან მიულოცა ავტორს ახალი წიგნის გამოსვლა, ვრცლად ისაუბრა მის შემოქმედებაზე და მწერალთა კავშირის სახელით გადასცა აკაკი წერეთლის პრემია. მსახიობებმა წაიკითხეს ირმა კეკელიძის მოთხრობები, გამომსვლელებმა მიულოცეს მას და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს. საღამო მარინა კოლხიდაშვილის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა გაალამაზა. დასასრულს ირმა კეკელიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

ახალი წიგნები





ილოლის გზეთი
№10
ფასი 1 ლარი
1-30 ნოემბერი
2015

მისამართი: ვაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail.ru; luizagogelia@mail.ru

9 771987 698009